CYAN BLACK

საქართველოს რესპუბლიკა

ოთხშაბათი, 15 სექტემბერი, 2004 წელი. №214 (4943) * გაზეთი დაარსებულია 1918 წელს, აღდგენილია 1990 წელს. * ფასი 50 თეთრი

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

◎ პარლამენტის თავმჯდომარე

ვინც გული სიამაყით აგვივსო...

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის ინიციატივით საქართველოს ოლიმპიური ნაკრების წევრებს გუშინ პარლამენტში შეხვედრა გაუმართეს.

როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ ოლიმპიური ნაკრებისადმი მიმართვაში განაცხადა, საქართველო ამაყობს ოლიმპიური ნაკრების თითოეული წევრით, განსაკუთრებით - იმ პიროვნებებით, ვინც ათენის ოლიმპიადაზე ოქროს და ვერცხლის მედლები მოიპოვა.

„საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს სიამაყით ევსებოდა გული, როდესაც მსოფლიო ათენში აყდერებულ საქართველოს ჰიმნს ისმენდა. საქართველოსთვის დამარცხების ხანა დამთავრდა და გამარჯვებების პერიოდი დაიწო“, — აღნიშნა ნინო ბურჯანაძემ ოლიმპიელებისადმი მიმართვაში.

ოლიმპიურ ნაკრებს შეხვედრა პარლამენტის რუსთაველის სახელობის დარბაზში ცოცხალი მუსიკისა და შამპანურის თანხლებით გაუმართეს.

◎ სკოლა

მიიღეს პრეზიდენტის საჩუქარი

სამცხე-ჯავახეთის სასკოლო ოლქის მთავარმა სამმართველომ გუშინ პირველკლასელთათვის პრეზიდენტის საჩუქარი — 1600 ცალი ჩანთა და წიგნების კომპლექტი მიიღო, რომელიც სამი დღის განმავლობაში ექვსივე რაიონში დანაწილდება.

როგორც სასკოლო ოლქის თავმჯდომარე ეოგი ივანიძე აცხადებს, პრეზიდენტის ძღვენი რეგიონში არსებული მხოლოდ ქართულენოვანი სკოლებისთვისაა გათვალისწინებული. 20 სექტემბერს, ახალი სასწავლო წლის შეიმის დასრულებისთანავე 134 სკოლის ყველა პირველკლასელი საინფორმაციო ცენტრებში ეცნობა ინფორმაციას ეროვნული ტესტირების ფორმატის, ტესტირებისა და ტესტირებულ საგნებთან დაკავშირებულ ინფორმაციას.

ეროვნული ტესტირების ცენტრი ინფორმაციას ავრცელებს ინტერნეტ-ბანერებზე, ტელევიზიებსა და ბეჭდვით მედიაში. ინფორმაციის ეროვნული ცენტრი ინფორმაციას ავრცელებს ინტერნეტ-ბანერებზე, ტელევიზიებსა და ბეჭდვით მედიაში.

◎ კანონმდებლები

ნინო ბურჯანაძე: დიდი მუშაობა მოგვიწევს საქართველოს ერთიანობისთვის

პარლამენტის პლენარული სხდომა

14 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის 2004 წლის საშემოდგომო სესიის პლენარული სხდომები ოფიციალურად გაიხსნა და პლენარულ სხდომათა დარბაზში სახელმწიფო ჰიმნი აჟღერდა. პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ იმედი გამოთქვა, რომ ეს სესიის მუშაობა ჩვენი ქვეყნისათვის წარმატებული იქნება.

საშემოდგომო სესიის გახსნისთანავე ქართველმა პარლამენტარებმა რუსეთის ფედერაციაში ბესლანის ტრაგედიის მსხვერპლთა ხსოვნას წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს და დადუპულთა ოჯახებს თანაგრძნობა და სამძიმარი გამოუცხადეს. როგორც ნინო ბურჯანაძემ აღნიშნა, ურეგირებოდ არ შეიძლება იმ საშინელების დატოვება, რაც ბესლანში მოხდა. პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, ამ ტრაგედიას კიდევ უფრო ამძიმებს ის ფაქტი, რომ მისი მსხვერპლი ასობით ბავშვი გახდა, და ამდენად, ტერორიზმს გამართლება არა აქვს, იმის მიუხედავად, რა მიზანსაც არ უნდა ასახელებდნენ თავად ტერორისტები.

ამის შემდეგ, ნინო ბურჯანაძე დეპუტატთა წინაშე საქართველოს პარლამენტის მომავალი საქმიანობისა და საშემოდგომო სესიის საკანონმდებლო გეგმის შესახებ სიტყვით გამოვიდა. როგორც მან აღნიშნა, უმოკლეს დროში ერთი წელი გახდება საქართველოში მომხდარი იმ უმნიშვნელოვანესი მოვლენიდან, რომელიც მსოფლიო ისტორიაში „ვარდების რევოლუციის“ სახელით შევიდა და ეს მოვლენა სწორედ ამ პარლამენტის კედლებში დაიწყო. „სიამაყით შემიძლია ვთქვა, რომ ყველამ ერთად მივაღწიეთ წარმატებას, გავამართლეთ საერთაშორისო თანამგობრობის იმედები და გავაცრუეთ იმ ადამიანების იმედები, რომლებიც „ვარდების რევოლუციის“ დღიდან, რამდენიმე კვირის, რამდენიმე თვის შემდეგ, სკეპტიკურად იყვნენ განწყობილნი.

იხ. მე-2 გვ.

◎ ინფორმაცია

კომიტეტის მორიგი სხდომა

გაიმართა შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეის (PABSEC) ეკონომიკურ, სავაჭრო, ტექნოლოგიურ და ეკოლოგიურ საკითხთა კომიტეტის 23-ე სხდომა. მასში, საქართველოს ჩათვლით, შავი ზღვის რეგიონში შემავალი 12 სახელმწიფო მონაწილეობდა.

სხდომას, საპატიო სტუმრის სტატუსით, პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე დაესწრო. პარლამენტის თავმჯდომარე საპარლამენტო ასამბლეის კომიტეტის სხდომის მონაწილეებს მიესალმა და საზეიმოდ აღნიშნა ეკონომიკური, სავაჭრო, ტექნოლოგიური და ეკოლოგიური საკითხების კომიტეტის მნიშვნელოვანი როლი შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეაში. ასევე, ისაუბრა სამხრეთ კავკასიის რეგიონისათვის ამ საერთაშორისო გაერთიანების შეუცვლელ წვლილზე და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

პაუ, პაუ, „ჟორო“, ნუ ფრენ...

საქართველოს თავდაცვის მინისტრი გიორგი ბარამიძე გუშინ კოდორის ხეობაში გაფრინდა და თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსთან ვახტანგ კაპანაძესთან, კოდორის ხეობაში პრეზიდენტის რწმუნებულთან ემზარ კვიციანთან, თავდაცვის სამინისტროს სპეციალისტებთან ერთად ხეობაში დისლოცირებული დაჯგუფების ინსპექტირება ჩაატარა.

თავდაცვის მინისტრი ადასტურებს გავრცელებულ ინფორმაციას რუსული ვერტმფრენების მიერ კოდორის ხეობაში საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევის შესახებ. როგორც ხეობაში გამგზავრებამდე „ინტერ-პრესს“ ბარამიძემ განუცხადა, გუშინწინ საქართველოს საჰაერო სივრცე ორმა — „მი-8“ და „მი-24“ ტიპის ვერტმფრენმა დაარღვია, თუმცა ამ დროისათვის ხეობაში ვითარება მშვიდია და კონტროლს ექვემდებარება. ამასთან, გიორგი ბარამიძე ხეობაში ადგილობრივი მოსახლეობით დაკომპლექტებული ბატალიონის „მონადირის“ აღდგენას არ გამორიცხავს.

მინისტრის თქმით, მისი ვიზიტის კიდევ ერთი მთავარი მიზანია კოდორის ხეობაში შექმნილი დაძაბულობის ფონზე ზამთრის სეზონისთვის მოსამზადებელი სამუშაოების მიმდინარეობის განხილვა. „ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს, რათა ხეობის მოსახლეობის უსაფრთხოება დაიცვას და ზამთრისთვის ადგილობრივი მცხოვრებლები პროდუქტებით, მედიკამენტებითა და პირველადი საჭიროების ნივთებით უზრუნველყოს“, — აღნიშნა მან.

რუსეთი, ცხადია, კვლავ უარყოფს...

რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალები უარყოფენ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ რუსულმა ვერტმფრენებმა საქართველოს საჰაერო სივრცე დაარღვიეს.

— რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების ვერტმფრენებს არც ორშაბათს, არც სამშაბათს რუსეთ-საქართველოს საზღვრის გასწვრივ არავითარი ფრენა არ განუხორციელებიათ და მით უმეტეს, საქართველოს საჰაერო სივრცე არ დაურღვევიათ“, — განაცხადა რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების პრეს-სამსახურის უფროსმა ალექსანდრე დრობიშევსკიმ.

რას ვიზამთ, — ჩვეულება, მართლაც, რჯულზე უმტკიცესია.

ჩამოყალიბდა დროებითი კომისია

საქართველოს პარლამენტმა გუშინ ენერგეტიკის სექტორში არსებულ დარღვევათა შემსწავლელი დროებითი კომისია ჩამოაყალიბა, რომლის ხელმძღვანელად საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი გია ნაცვლიშვილი დაამტკიცეს.

ახლადშექმნილი კომისიას შეისწავლის ენერგეტიკის სფეროში არსებულ ყველა დარღვევას, დაწყებული გრანტების ხარჯვიდან, დამთავრებული ტარიფის გათვლით.

დაამტკიცეს ახალი ელჩები

საქართველოს ოთხი ახალი ელჩი ეყოლება.

პარლამენტმა გუშინ ყაზახეთისა და ყირგიზეთის რესპუბლიკებში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ზურაბ შურღაია დაამტკიცა, თურქმენეთსა და ავღანეთში — ალექსი პეტრაშვილი, ესპანეთის სამეფოში საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად — ლაშა ოთხმეშური, ხოლო იტალიაში საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბაალ გოგსაძე გახდა.

სხდომა აჭარაშიც გაიხსნა

აჭარამ ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საშემოდგომო სესიის პირველი სხდომა გაიხსნა. სხდომის დღის წესრიგში 6 საკითხია შეტანილი, მათ შორის — აჭარის ბიუჯეტის კანონპროექტი, რომელიც, როგორც დეპუტატები აცხადებენ, ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელმა ხელისუფლებამ სესიაზე მოულოდნელად წარმოადგინა.

დეპუტატ ეკა ხერხეულიძის განცხადებით, უმაღლესი საბჭო ბიუჯეტის პირველი მოსმენით მიღებას არ აპირებს, ვინაიდან კანონპროექტის განხილვა საკომიტეტო მოსმენების შემდეგ უნდა მომხდარიყო.

განაცხადების შემოტანის ვადა გაგრძელებულია

ბათუმის შპს „ინგურისგის“ აუქციონზე განაცხადების მიღება კიდევ ორ კვირას იქნება შესაძლებელი. ეს გადაწყვეტილება ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ პოტენციური ინვესტორების თხოვნის საფუძველზე მიიღო — დაინტერესებულმა პირებმა ობიექტის სრულყოფილად შესასწავლად დამატებითი დრო ითხოვეს.

ამის გათვალისწინებით სამინისტრო იუწყება, რომ აუქციონი გაიმართება 29 სექტემბერს, 15 საათზე, ქ. ბათუმში, განაცხადების მიღება კი იწარმოებს 28 სექტემბრის 17 საათამდე ეკონომიკური განვითარების სამინისტროში.

თბილისს გაზმომარაგება აღუდგება

დღეიდან „გაზპრომი“ საქართველოს ბუნებრივ აირს სრული მოცულობით მიაწვდის, ქართული მხარე კი აგვისტოს თვეში მოხმარებული აირის საფასურსა და ძველ დავალიანებას 2005 წლის 1 იანვარამდე დაფარავს.

ამ შეთანხმებას მიაღწიეს „გაზპრომთან“ მოლაპარაკების მიზნით მოსკოვში ჩასულმა „თბილგაზის“ გენერალურმა დირექტორმა დავით მორჩილაძემ და გაზის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტმა დავით ინგოროყვამ.

დივერსია „ქართლი 2“-ზე

„ქართლი 2“-ის 500-კილოვოლტიან მაღალი ძაბვის გადამცემ ხაზზე გუშინ დილით დივერსია განხორციელდა.

როგორც პრესკონფერენციაზე საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა გუშინ განაცხადა, ჯერჯერობით დაუდგენელია, იყო თუ არა ეს საბოტაჟი და ამის გარკვევას უმაშროების სამინისტროსთან ერთად ენერგეტიკის სამინისტროც შეეცდება.

— მომხდარი ავარია ქვეყნის ელექტრომომარაგებაზე არ ასახულა, რადგან გადამცემი ხაზის ანძა არ წაქცეულა. ამჟამად ენერგეტიკისები ავარიის ლიკვიდაციას ცდილობენ. შევეცდებით, ეს ისე გავაკეთოთ, რომ ელექტრომომარაგების შეწყვეტა საჭირო არ გახდეს, — განაცხადა გილაურმა.

ინტერ-პრესი.

◎ რას წერენ, რას ამბობენ... ჩვენზე

„ვაშინგტონ პოსტი“ (აშშ), 13 სექტემბერი. washingtonpost.com

რუსეთი აღყაფია

როგორც გაზეთის რედაქციის წინათქმაშია აღნიშნული, ამერიკელმა მეცნიერმა, სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორმა მაიკლ მაკფოლმა „ვაშინგტონ პოსტის“ 12 სექტემბრის ნომერში გამოაქვეყნა ვრცელი ანალიტიკური სტატია სათაურით „რუსეთი აღყაფია“, რომელშიც იგი ბოლო დროს მომხდარ ტერორისტულ აქტებს ეხება და ამ ფონზე პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის პოლიტიკას აანალიზებს.

„ჯერ რუსული თვითმფრინავების აფეთქებამ, შემდეგ მოსკოვის მეტროსთან მომხდარმა ტერაქტმა და, ბოლოს, ბესლანის ტრაგედიამ, რომლებმაც ასეულობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, მსოფლიოში ფართო რეზონანსი გამოიწვია. ამ საშინელ მოვლენებთან დაკავშირებით ამერიკელებს (და არა მარტო მათ) ბევრი მნიშვნელოვანი კითხვა ებადებათ, რომლებიც პასუხს მოითხოვენ. ვლადიმერ პუტინი, რომელიც 2000 წელს პრეზიდენტად აირჩიეს, თავის თანამემამულეებს სახელმწიფოს გაძლიერებას, დემოკრატიულ მმართველობასა და ეკონომიკურ აყვავებას დაპირდა, მაგრამ რუსეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ გაჭირვებულ მდგომარეობაშია დარჩენილი, მათი უსაფრთხოების დონე კი დაეცა. გარდა ამისა, რუსეთის ლიდერი ძალიან ავიწროებს მასმედიასაც, რომელიც მის პოლიტიკურ კურსსა და საქმიანობას აკრიტიკებს.

იხ. მე-2 გვ.

გუშინ ევროპის სტადიონებზე ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირის I ტურის მაგჩები გაიმართა. გაუწყებთ მათს შედეგებს:

„არსენალი“ — „ეინდჰოვენი“ 1:0, „პანათინაიკოსი“ — „რუსენბორგი“ 2:1, „შახტიორი“ — „მილანი“ 0:1, „სელტიკი“ — „ბარსელონა“ 1:3, „ვალენსია“ — „ანდერლეხტი“ 2:0, „ინტერი“ — „ვერდერი“ 2:0, „პორტუ“ — ცსკა 0:0, პსჟ — „ჩელსი“ 0:3.

ინტერპანორამა

სენიტური წინააღმდეგობის მებრძოლებმა ცეცხლი გაუხსნეს ამერიკელთა საგანკო კოლონას, რომელიც ცდილობდა დასავლეთიდან ბაღდადში შესვლას. საპასუხო ცეცხლით აშშ არმიის ჯარისკაცებმა დახოცეს თავდამსხმელები და გაანადგურეს რამდენიმე პატარა მაღაზია.

კოლინ პაუელი თვლის, რომ ვლადიმერ პუტინის უკანასკნელი განკარგულებებით, რაც ცვლის ქვეყნის საკონსტიტუციო წყობას და აძლიერებს აღმასრულებელ ხელისუფლებას, რუსეთი კარგავს პოტენციალს, რომელიც დემოკრატიული რეფორმების წლებში მოიპოვა.

თავისი შოუს მე-19 სეზონის აღსანიშნავად ოპრა უინფრიმ გადაწყვიტა, გულუხვად დაესაჩუქრებინა მაყურებელი. 276-ივე ქალმა, რომლებიც სტუდიაში ესწრებოდნენ შოუს, წამყვანისაგან საჩუქრად მიიღო 28 000 დოლარად ღირებული ავტომობილი Pontiac G6.

ბერლინის კედლის დანგრევიდან 15 წლის შემდეგ სულ უფრო მეტი გერმანელი გამოდის მისი აღდგენის მოთხოვნით. ანალიტიკოსების აზრით, ბევრ გერმანელს მართლაც მიაჩნია, რომ გდრ-ში ცხოვრება ბევრად უკეთესი იყო.

ნომერში წაიკითხავთ:

ახალი გამგებელი აკაკი სიხარულიძე პრობლემების მოგვარებით იწყებს

გურჯაანის ცენტრში, „პაპას ბაღში“ დაიწყო ახალგაზრდული ცენტრის მოწყობა, კეთდება ღია სცენა, მალე აღადგენენ აუზს.

მე-3 გვ.

„აბსურდის თეატრი“ - რუსთავში

ოფშორული ფირმები რუსთავის მეტალურგიულ კომბინატს იყოფენ და ძარცვავენ.

მე-4 გვ.

ტროას სიმბოლო - ანდრია აფაქიძეს

სახელოვან ქართველ მეცნიერს ანდრია აფაქიძეს ტროას გათხრების ხელმძღვანელმა მანფრედ კოფმანმა ტროას სიმბოლო გადასცა. კოფმანი ფიქრობს, რომ ტროას გათხრები, რომლებიც 134 წელია მიმდინარეობს, კიდევ დიდხანს გაგრძელდება.

მე-6 გვ.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 214. ოთხშაბათი. 15 სექტემბერი. 2004 წელი.

◎ კანონმდებლები

ნინო ბურჯანაძე: დიდი მუშაობა მოგვიწევს საქართველოს ერთიანობისთვის

(პირველი გვერდიდან)

გახსოვთ, ალბათ ე.წ. პროგნოზები, თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები, რომ საქართველო ქაოსსა და უბედურების მორევში ჩაეშვებოდა და რომ ვერ მოხერხდებოდა ჩვენი, თქვენი, ყველას ერთიანობის შენარჩუნება“, – აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ და აქვე დასძინა, რომ რევოლუციის ლიდერების უმნიშვნელოვანესი ერთობა, რომელსაც პრინციპული და გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, დღეს შენარჩუნებულია.

„მოხარული ვარ, რომ სკეპტიკურად განწყობილ ამ ადამიანებს, დღეს ნამდვილად არა აქვთ შესაძლებლობა, ნიშნი მოგვიგონ. მნიშვნელოვანი გახლავთ ის, რომ ამ ერთობის მიუხედავად, შეგვიძლია, ყველაზე არასასიამოვნო სიმართლეც კი ერთმანეთს გულწრფელად ვუთხრათ და მივანიშნოთ, ვიმსჯელოთ, ვიკამათოთ იმ პრობლემებზე, რომლებიც უდავოდ არსებობს. არ მინდა, ჩვენს მოსახლეობას შთაბეჭდილება დარჩეს, რომ ყველაფრით, რაც გავაკეთეთ, აღფრთოვანებული ვართ, თითქოს, მიგვიჩნია, რომ ქვეყანაში უკვე იდეალური მდგომარეობაა და მოსახლეობას ყველა იმედი უკვე შევურსულეთ. რა თქმა უნდა, ასე არ არის – შეუძლებელი იყო ერთ წელიწადში იმ დანგრეული და გაპარგახებული ქვეყნის ფეხზე დაყენება, რომელიც წინა ხელისუფლებისაგან მემკვიდრეობით მივიღეთ. სხვათა შორის, ბევრი სკეპტიკოსისგან განსხვავებით, ჩვენი მოსახლეობა არც ითხოვდა და არც ელოდა, რომ ერთ წელიწადში ყველა პრობლემას გადავუწყვეტდით. ვფიქრობ, იმ ნაბიჯებით, რომლებიც გადადგა, ხალხმა დაინახა – სახელმწიფოში მოვიდა ხელისუფლება, რომელსაც იმის ძალა და გამბედაობა შესწევს, რომ ქვეყანა წინ წაიყვანოს“.

ამ კუთხით, ნინო ბურჯანაძემ კორუფციის წინააღმდეგ გამოცხადებული ნამდვილი ბრძოლა და ქართული ჯარის შექმნის გაბედული მცდელობა დაასახელა, რაც ქართული სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი აგრიბუტია. მან განსაკუთრებით აღნიშნა აჭარის რეგიონის, როგორც საქართველოს განუყოფელი ნაწილის დაბრუნება, ისაუბრა, აგრეთვე, სახელმწიფო საზღვრებისა და სამართლებრივი ინსტიტუტების გაძლიერებაზე, ღემოკრატიული და თავისუფალი არჩევნების ჩატარებაზე, რომელზეც მთელი მსოფლიო აღლაპარაკდა. **„ვფიქრობ, პირველი პერიოდისათვის ეს წინ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯებია, თუმცა, ამის მიუხედავად, თითოეულ ჩვენგანს, საქართველოს პარლამენტს უმნიშვნელოვანესი სამუშაო ელის, რათა საქართველო ერთიანი გახდეს. საქართველოს ხელისუფლებას, მათ შორის, პარლამენტს ყოველთვის უნდა ესმოდეს საქართველოს მოსახლეობის ხმა. პარლამენტი ნამდვილად უნდა დარჩეს ხალხის წარმომადგენლობით ორგანოდ, უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ იმ ასიათასობით ადამიანს წარმოვადგენთ, ვინც წვიმაში, ქარსა და ცივსა და ცხელში, აქ, ჩვენს გვერდით იდგნენ, იმ ათიათასობით და ასიათასობით ადამიანს, რომელიც გასაოცარი იმედის გრძნობით ყველაფერს ტელევიზიით აღევნებდა თვალყურს“.**

პარლამენტის თავმჯდომარის შეფასებით, საქართველოს ხვალინდელი დღისათვის გადამწყვეტია რეფორმების პროცესის გაგრძელება და მისი წარმატებით დასრულება, რათა ჩვენს საზოგადოებას ახალი პრობლემები კი არ შევუქმნათ, არამედ შევუქმნათ ახალი შესაძლებლობები. **„პარლამენტის მთავარი ამოცანაა, ისეთი კანონები მივიღოთ, რომელიც ჩვენს მოსახლეობას, თითოეულ ქართველს, საქართველოს თითოეულ მოქალაქეს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლინების საშუალებას მისცემს“,** – აღნიშნა ნინო ბურჯანაძემ და პარლამენტის სახელით, საზოგადოებას აღუთქვა, რომ ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რათა მოქალაქეთა კეთილდღეობა რადიკალურად გაუმჯობესდეს. **„აუცილებელია, ყველამ ერთად, პროფესიონალიზმისა და შესაძლებლობების გამოყენებით მოვახერხოთ, ღირსეულად ვემსახუროთ ჩვენს ხალხს. ამისათვის, უპირველესად, კარგად უნდა გავიაზროთ ყველა ამოცანა, რომელიც დღეს ქართული სახელმწიფოს წინაშე დგას“.** ნინო ბურჯანაძემ უპირველეს პრიორიტეტად საქართველოს გაერთიანება და ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის გადაწყვეტა დაასახელა. **„აბსოლუტურად ვარ დარწმუნებული, რომ ამას გავაკეთებთ და გავაკეთებთ სწორედ ამ მოწვევის პარლამენტის მუშაობის დროს. ამას სწორედ საქართველოს პრეზიდენტი გაკეთებს, თავისი პრეზიდენტობის პირველი პერიოდის განმავლობაში. ჩვენ, შევძლებთ, საქართველოს თითოეულ მოქალაქეს ჩვენს ქვეყანაში ღირსეული ცხოვრების შესაძლებლობა მივცეთ“.**

პარლამენტის თავმჯდომარემ თავის გამოსვლაში ქვეყნის განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებად ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობა დაასახელა და ამ მხრივ, გადამწყვეტი როლი საქართველოს პარლამენტსა და მის მიერ მიღებულ კანონებს დაუკისრა. **„ჩვენი მთავარი პრიორიტეტი ის გახლავთ, რომ ქვეყანაში შევქმნათ ისეთი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას შეუწყობს ხელს, მსოფლიოს მასშტაბით სხვადასხვა ინვესტიციის მოიზიდავს, რაც აღმავლობის დაწყების მნიშვნელოვან გარანტიას მოგვცემს“.** ამის მთავარ პირობად მან ახალი საგადასახადო კოდექსის მიღება დაასახელა, რომელიც საქართველოში სრულიად ახალ რეალობას შექმნის. **„აუცილებელია, რომ თითოეულ ბიზნესმენს, რომელიც საქართველოში ფულს ჩადებს, იმის გარანტია ჰქონდეს, რომ არც ერთი კანონიერად ჩადებული თეთრი ხელყოფილი არ იქნება, არც ერთი კანონიერად გადადგმული ნაბიჯი დაუნახავი არ იქნება და საქართველოს ხელისუფლების მხრიდან დაუცვალი არ იქნება. პრინციპულად მნიშვნელოვანია ის, რომ სრულიად ახლებურად უნდა გავიაზროთ და მივიღოთ ახალი კანონი „ინვესტიციების დაცვის შესახებ“, ასევე, უნდა გაგრძელდეს სასამართლო, და საერთოდ, სამართალდამცავი ორგანოების რეფორმა. დღეს, მოსახლეობას უნდა დავუბრუნოთ იმის რწმენა, რომ მას სამართლისა და სამართლის პოვნა შეუძლია. სამართლის პოვნაში პრინციპული მნიშვნელობა სწორედ დამოუკიდებელ სასამართლო ხელისუფლებას ენიჭება“,** – აღნიშნა ნინო ბურჯანაძემ.

მისი თქმით, პრინციპულად მნიშვნელოვანია, საერთაშორისო არენაზე საქართველოს პოზიციების გამყარება, რაშიც პარლამენტსა და თითოეულ დეპუტატს ძალზე მნიშვნელოვანი როლი აკისრია, უცხოეთის საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ჩვენს მეგობარ სახელმწიფოებთან სერიოზული კონტაქტები არსებობს და ნინო ბურჯანაძის განცხადებით, ხელიდან არ უნდა გავუშვათ შემთხვევა, რომ ჩვენი პრობლემები და ჩვენი ხმა მსოფლიო თანამეგობრობას მივაწვდინოთ. მანვე საქართველოს სახელმწიფო გაძლიერებისათვის აქტუალურ საკითხად მსოფლიო თანამეგობრობასა და ანტიტერორისტულ კოალიციაში თანამონაწილეობა დაასახელა. **„მართალია, ჩვენი ქვეყანა პატარაა, მაგრამ ის რეალურად ცდილობს, დიდი სახელმწიფოების გვერდით დადგეს და მსოფლიო თანამეგობრობის მშენებლობაში თავისი, თუნდაც მცირე, მაგრამ სერიოზული წვლილი შეიტანოს. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ როგორც ჩვენი, ისე მსოფლიოს მოქალაქეები, ტერორიზმის შიშით დაზაფრულნი არ იყვნენ, ტერორიზმის წინაღმდეგ ბრძოლაში ნებისმიერ სახელმწიფოსთან ვითანამშრომლებთ, პირველ რიგში, მეზობლებთან, მაგრამ ეს ბრძოლა ორმხრივი უნდა იყოს. ჩვენ გეჭირდება მეზობლების, ჩვენი მეგობარი, ან არამეგობარი სახელმწიფოების გვერდში დგომა ერთიანობისათვის. გეჭიროდა თანამშრომლობა ყველა სახელმწიფოსთან, რომელიც საერთო ღირებულებებს აღიარებს. თუ სახელმწიფო საერთო ფასეულობებს არ აღიარებს, ის ჩვენი მეგობარი ქვეყანა არ შეიძლება იყოს, რადგან საყოველთაოდ ცნობილია – დემოკრატიული სახელმწიფოები ერთმანეთის წინააღმდეგ არ იბრძვიან. გვაქვს იმის პრეგენზია, რომ ვართ დემოკრატიული სახელმწიფო და ორმაგი სტანდარტით არ ვმოქმედებთ. გარწმუნებთ, არც ერთ იმ სახელმწიფოსთან, რომელიც ასევე დემოკრატიულ ფასეულობებზეა აგებული და ორმაგი სტანდარტით არ მოქმედებს, პრობლემა არ გვექნება. პრობლემა მხოლოდ მაშინ შეიქმნება, როდესაც ჩვენთან ორმაგი სტანდარტით საუბარს შეეცდებიან. პრობლემა მაშინ გვექნება, როდესაც ესა თუ ის სახელმწიფო საკუთარ კკეთილს თავის კკეთილად მიიღებს, ჩვენს კკეთილს კი არად დაგიდვეთ. თანასწორუფლებიანი და პარტნიორული ურთიერთობა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც სახელმწიფოთს ერთმანეთის ესმის და პატივს სცემს. ვფიქრობ, ჩვენი უმთავრესი პრიორიტეტი მომავალ პერიოდში ევროპულ სტრუქტურებსა და ევროატლანტიკურ ალიანსში მაქსიმალური ინტეგრირება იქნება“.**

პარლამენტის თავმჯდომარემ დეპუტატებს მიმართა, რომ ის სერიოზული პროცესი, რასაც ევროპულთან ქართული კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ქვია, ევროკავშირისაკენ პირველი ნაბიჯის გადადგმას შეუწყობს ხელს. **„ჩვენ მოვახერხებთ ევროკავშირის სპეციალური, ასოცირებულის წევრის სტატუსის მიღებას. დარწმუნებული ვარ, ეს მომავალი საქმიანობისათვის ძალზე მნიშვნელოვანი იქნება“,** – განაცხადა მან და კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა საქართველოს პარლამენტის მზადყოფნას, საკუთარი წვლილი შეიტანოს მეზობელ სახელმწიფოებთან ნორმალური ურთიერთობების განვითარებაში, მათ შორის, ცხადია, რუსეთთან. **„მოველით, რომ ბოლოს და ბოლოს, რუსეთის ფედერაცია და მისი ხელმძღვანელობა საქართველოსთან ორმაგი სტანდარტით მოქმედებასა და საკუთარი ჭირის სხვაზე გადაბრალებას თავს დაანებებს, რისი მაგალითიც ამ რამდენიმე დღის განმავლობაში თვალნათლივ გაცხადდა, როდესაც ბესლანში მართლაც, დიდი უბედურება მოხდა. რამდენიმე ადამიანმა, გაურკვეველ ძალთა ჯგუფმა სცადა, თვალის ასახვევად საქართველოსაკენ აგრესიის ის ვექტორი წარემართა, რომელიც საქართველოს ნამდვილად არ დაუმსახურებია. ღრმად ვართ დარწმუნებული, რუსეთის ფედერაციასთან მხოლოდ მაშინ შეეძლებთ ნორმალური და კეთილმეზობლური ურთიერთობის აგებას, თუ იგი მართლაც ითამაშებს იმ როლს, რომელიც მან კონფლიქტების მოწესრიგებაში უნდა შეასრულოს, და არა ისე, რომ ერთი მხრივ, ეცადოს, სეპარატისტებს ხელი შეუწყოს და მეორე მხრივ, განაცხადოს, რომ პატივს სცემს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. სიტყვა და საქმე ერთი უნდა იყოს. თუ, პატივს სცემენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მათ მიერვე აღიარებულ საერთაშორისო ვალდებულებებს, ამ შემთხვევაში დსთ-ს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, თუნდაც, აფხაზეთში სარკინიგზო მიმოსვლასთან დაკავშირებით არ უნდა ირღვეოდეს და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოქალაქეებს, აბსოლუტურად უკანონოდ, რუსეთის მოქალაქეობა არ უნდა ენიჭებოდეს“.**

ნინო ბურჯანაძემ აღნიშნა, რომ საქართველოს სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისა და გაძლიერებისათვის ბრძოლაში თითოეული პარლამენტარის თანადგომას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან დღევანდელ ხელისუფლებას, რომელსაც უამრავი ადამიანი იმედის თვალით შესცქერის, უფლება არა აქვს, მათ უკანასკნელი იმედი გაუცრუოს. **„ყველაფერს გავაკეთებთ, რომ შევინარჩუნოთ ქვეყნის განვითარებისათვის აუცილებელი სიძლიერე, რომ პარლამენტი, მართლაც, ეფექტური და მოქმედი ორგანო იყოს, შეასრულოს ძალზე მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და ამავდროულად, თავისი საკონტროლო და საზედამხედველო ფუნქციები. პარლამენტის თავმჯდომარემ აქვე გაიხსენა ზოგიერთი სკეპტიკოსის გამონათქვამი, თითქოს, პარლამენტი არაფერს გააკრიტიკებდა, ყველაფერს მხარს დაუჭერდა და აბსოლუტურად მორჩილი იქნებოდა. დიახ, იქ, სადაც დარწმუნებული ვართ, რომ საჭიროა ერთობა, პარლამენტი ნებისმიერ გადაწყვეტილებას მხარს ერთსულოვნად დაუჭერს. მაგრამ, არაერთხელ ვნახეთ, რომ იმის უნარიც შეგვწევს, კრიტიკულად შევხედოთ ნებისმიერ გადაწყვეტილებასა თუ წინადადებას, მიუხედავად იმისა, თუ ვისგან მომდინარეობს იგი. სწორედ ამაშია ამ გუნდის ძალა. ჩვენ, შეგვიძლია მწვავე კრიტიკისა და მწვავე დებატების შემთხვევაშიც ვიპოვოთ ის საღი აზრი და ერთადერთი გადაწყვეტილება, რომელიც სწორია არა რომელიმე პოლიტიკური ლიდერისა თუ პოლიტიკური ძალის, არამედ ერთიანი სახელმწიფო ინტერესებისათვის. იმედი მაქვს, ჩვენი მოსახლეობა ამ სიტყვების სიმართლეში დარწმუნდება. ჩვენი პარლამენტი კი, მის იმედებს ნამდვილად გაამართლებს“,** – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ თავისი გამოსვლის დასასრულს.

პარლამენტის პრესსამსახური.

◎ ცხელი თემა

სად ჩარჩა „საქართველოს მტერი“ დავით გამყრელიძე?

პირველი დაპირისპირება პარლამენტის საშემოდგომო სესიაზე

პარლამენტის საშემოდგომო სესიის პირველი სხდომა საპარლამენტო უმრავლესობისა და მცირერიცხოვანი ოპოზიციის დაპირისპირებით დაიწყო. „მემარჯვენეთა“ ლიდერმა დავით გამყრელიძემ ხელისუფლება ცხინვალის მოვლენებთან დაკავშირებით ინფორმაციის დამალვასა და მედიის თავისუფლების შეზღუდვაში დაადანაშაულა. რუსების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, პანკისის ხეობას ტერორისტები აფარებენ თავს. ხალხი ვერც ამის შესახებ იღებს ცნობებს და ვერც იმას იგებს, რამდენი ადამიანი დავკარგეთ ცხინვალში. მისი თქმით, ხელისუფლება ამ თემაზე დებატების გამართვას გაურბის.

პარლამენტის თავმჯდომარემ ნაკლებადემოციური გამოსვლისკენ მოუწოდა დავით გამყრელიძეს. ისიც დასძინა, რომ მან დებატების არ ეშინიათ. ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, რომ კომპეტენტური პირების განცხადებით, პანკისი საშიში ტერიტორია აღარ არის. იქ ტერორისტები არ იმყოფებიან. ამ განცხადებას პარლამენტარები ტაშით შეხვდნენ, რის შემდეგაც გიორგი არველაძე გამოვიდა მკვეთრი განცხადებებით.

– იმის თქმა, რომ საქართველომ დამალა ინფორმაცია დაღუპული გმირების შესახებ, მხოლოდ ქვეყნის მტერს შეუძლია. ბატონო დავით, ამას მე, როგორც საქართველოს მოქალაქე, ვერ გაპაგებთ.

ამის შემდეგ გიორგი არველაძემ პარლამენტის თავმჯდომარისგან ნებართვა ითხოვა გამყრელიძისთვის „საკადრისი პასუხის გასაცემად და ამით დიდი სიამოვნების მისაღებად“.

ვერ ვიტყვით, ამის გამგონე დეპუტატებმა რა გაიფიქრეს, მაგრამ ჩემს ვვერდით მყოფი კოლეგა გაბრაზდა და „პაკაზუხა“ არველაძის“ მისამართით საკმაოდ არაკორექტული სიტყვები წარმოთქვა. აღრესატს ეს, რა თქმა უნდა, არ გაუგია.

– საერთოდ არ მაწუხებს, არველაძე დამეშურქრება თუ არა. ისე, საინტერესოა, რას მიპირებს? მაგრამ ახლა ჩემთვის სხვა რამ არის მთავარი. მაშინ, როცა მე, ფრაქციის თავმჯდომარემ, ვერ გავიგე, რამდენი გმირი დავკარგეთ, როგორ უნდა გაიგოს ეს სხვა, რიგითმა მოქალაქემ?

დავით გამყრელიძის შეკითხვის საპასუხოდ ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ განმარტა, რომ ხელისუფლება დაღუპულთა რიცხვს არ მალავს. თითოეულ ოჯახში მივიდა პარლამენტის დელეგაცია, ქედი მოიხარეს დაღუპულ გმირთა ხსოვნის წინაშე და მადლობა გადაუხადეს მათს დედებს გმირების გაზრდისათვის.

მკვეთრი განცხადებებით გამოვიდა მაია ნადირაძეც. ყველა თავისი გადმოსახედიდან ზომავსო, – თქვა და „ახლები“ საკითხისადმი არასერიოზულ, არასახელმწიფოებრივ დამოკიდებულებაში დაადანაშაულა. კონფლიქტის მოგვარების ტენდენციებზე საუბრისას კი მაი ასე მიმართა – თუ კითხვა გვმარებათ, ზოგიერთ საკითხზე ხაზს გაგისვამთ და მარკირებული აღგილი მაინც წაიკითხეთო.

სხდომის შემდეგ საპოლემიკო საკითხზე ქალბატონ მაიას კომენტარი ვთხოვეთ.

– მე არ ვარ პოლიტიკური დებატების წინააღმდეგი, ოღონდ ეს ნამდვილად დებატები უნდა იყოს. ხომ არ შეიძლება ნაგავში იქექო და ეს ნაგავი სხვასაც მიაყარო? მე, როგორც პოლიტიკოსს, არ მინდა, ასე მოხდეს. შეიძლება, მართლა ტემპერატურა ავწიო, იმის მიხედვით, თუ რა შეკითხვები იქნება მათი მხრიდან. თუ მათ დებატები უნდათ, მოხსენება უნდა წარმოადგინონ. გარწმუნებთ, ისინი გამოამაქცევენენ თავიანთ ცუდ პოლიტიკოსობას.

დავით გამყრელიძე ამბობს, რომ ხალხმა რეალურ ვითარებაზე არაფერი იცის და საჭიროა, ხელისუფლებამ მათ სწორი ინფორმაცია მიაწოდოს. ქალბატონ მაიას აზრით კი, ხალხმა ყველაფერი გაიგო.

– როცა მობილიზებასა და ლაშქრობაზე იყო ლაპარაკი, ხალხი მაშინვე მოემზადა. შეიკრიბა და ელოდებოდა საჭირო დროს, რომ ამ პროცესებში მიეღო მონაწილეობა. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ხალხმა ყველაფერი გაიგო? ეს არ ნიშნავს იმას, რომ ხალხმა თქვა, ჩვენი ქვეყნის ჯარისკაცები ვიქნებითო? ხალხმა კი არა, გამყრელიძემ ვერ გაიგო, ამიტომ არის თხუთმეტი კაცით საღდაც, სხვა დროსა და განზომილებაში ჩარჩენილი.

მაია ნადირაძის თქმით, მან ათასჯერ გადაამოწმა ინფორმაცია დაღუპულთა შესახებ და აღასტურებს, რომ მათი რიცხვი თექვსმეტს არ აღემატება. ეს, რა თქმა უნდა, უბედურებაა, მაგრამ ომს თავისი კანონები აქვს.

პარლამენტის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილებას ამ თემაზე დებატების გამართვის შესახებ. 105 ხმით 17-ის წინააღმდეგ „მემარჯვენეების“ წინადადება გავიდა, დებატები ხვალ გაიმართება. ქალბატონი ნინოს თქმით, ეს დასტური იყო იმის, რომ საპარლამენტო უმრავლესობას დებატების არ ეშინია.

ფოიეში, ამ საკითხის არაოფიციალური განხილვისას, უმრავლესობის წევრები თითქმის ერთნაირად გამოხატავდნენ თავიანთ დამოკიდებულებას, რაც, გიგა ბოკერიას სიტყვით, ასე გამოიხატა:

– თქვენ ერთი, რა აქვთ სათქმელი!

მან სწორედ ამიგომ დაუჭირა მხარი დებატების გამართვას, თუმცა, ეეჭვება, რომ იმას, რაც 16 სექტემბერს გვეღოდა, შეიძლება ნამდვილად ეწოდოს პოლიტიკური დებატები.

ასეა თუ ისე, უმრავლესობა ფიქრობს, „მემარჯვენეებმა“ სათქმელი უნდა თქვან. სხვა საქმეა, რა შეფასებები მოჰყვება ამას. აქვე უკომენტაროდ გავიხსენოთ ისიც, რომ ცოტა ხნის წინათ მათს ცნობილ 10 შეკითხვას მაია ნადირაძემ „ბრიყვული“ უწოდა.

რუსუდან გახარია.

◎ დღის შეკითხვა

როგორ უყურებთ პრესისთვის შეღავათების გაუქმებას და გადასახადების გაზრდას?

პრესას ჰპირდებოდნენ გადასახადების მთლად გაუქმებას თუ არა, შემცირებას მაინც. ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტით კი ის შეღავათებიც ანულირებულია, რაც აქამდე ჟურნალს თუ გაზეთს ჰქონდა. პირიქით, დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ), რაც აღრე არ იყო, ახლა პრესისთვისაც ჩნდება. რას მოუტანს ეს დამოუკიდებელ, თავისუფალ მასმედიას, რომელიც ჯერჯერობით ფეხზე მყარად ვერ დგას? ალბათ, კარგს არაფერს. აი, რას ფიქრობენ ამაზე თვით ჟურნალისტები.

ზაურ მაისაია, გაზეთ „თბილისის“ სოციალურ-ეკონომიკური განყოფილების გამგე:

– დღგ-ს შემოღება პრესისთვის დიდი დარტყმაა. ეს ნიშნავს იმას, რომ დამოუკიდებელი გაზეთებიდან უმეტესობა საქმიანობას შეწყვეტს... პარლამენტარებს ახლა დაურიდდათ პროექტები. რაღაც იმედი მაინც მაქვს, რომ გაითვალისწინებენ პრესის დღვანდელ მდგომარეობას.

საერთოდ, დღგ-ს ორი პროცენტით შემცირებას, 20-დან 18-მდე ჩამოყვანას, მცირე მეწარმეები არაფრად აგდებენ. დიდი მეწარმეები კი ფაქტს შეურიგდნენ, ჯანდაბას, მაინც შეღავათიაო... ჩვენთვის კი 18-პროცენტიანი დღგ-ს დადება, დამღუპველია. ველოდით პრესის მთლად განთავისუფლებას, არადა, პირიქით გამოვიდა. იქნებ პარლამენტი წაგვეხმაროს და მოგებიდან მართლაც 3, ჰონორარიდან კი 5 პროცენტი წაიღონ, როგორც ამას ჟურნალისტები მოითხოვენ?

ლერი მუსხელაძე, გაზეთ „სამსჯავროს“ რედაქტორი:

– ვარდების რევოლუციას ხალხი მომავალის დიდი იმედებით შეხვდა. გვეგონა, ცხოვრების ძველი, დამყაყებული წესი შეიცვლებოდა, ახალგაზრდა პრეზიდენტს, რომელიც ბედნიერ ცხოვრებას გვპირდებოდა და გვპირდება, შეღავათიანი ყოფა მოჰყვებოდა. კარგად ვიცით, რომ ეს ხელის ერთი მოსმით, უცბად არ მოხდება, ყველაფერს ეოჯა-ეოჯა შენება სჭირდება, მაგრამ როცა ეს ეოჯა-ეოჯაც არ ჩანს, კაცი პესიმისტურად განეწყობი.

წინა ხელისუფლების დროს რაღაც უპირატესობას გვანიჭებდნენ, შეღავათებსაც გვიწესებდნენ. ახლა ყველაფერი თავდაყირა დადგა. ესაა შეწყლა და ყველაფერი მიმართულია გაზეთების შეკვეწროებისა და დახურვისაკენ. რჩება შთაბეჭდილება, რომ მეოთხე ხელისუფლება ზედმეტია და საჭიროა მისი მოშორება. იმედი გვრჩება, რომ ჩვენი პრეზიდენტი ამას არ დაუშვებს.

გიგლა გოგბეჩია, გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის“ და ჟურნალ „ფენომენის“ რედაქტორი:

– როგორც ჩანს, დაიწყო ჭიდილი პრესასთან. მახსოვს, ერთი ცნობილი მეცნიერი წერდა: „ეჭიდაო პრესას, იგივეა, რაც გაპარსო ღორი. ჯაგარი ცოტაა, ჭყვიტინი მეტი“. მინდა, დავარწმუნო ჩვენი ხელისუფლება, რომ ეს ყველაფერი ბუმერანგივით შემოუბრუნდება. ისიც მგონია, რომ კოდექსის ავტორებმა ეს ყველაფერი სპეციალურად მოუწყეს პრეზიდენტ საკაკაშვილს. სხვანაირად რა გამოდის? დაუკვირდით, პრეზიდენტი დაპირებისამებრ ნელ-ნელა ასრულებს სიტყვას. აგერ, ახლახან გამოაცხადა ტექდათვალიერებისაგან მძღოლების გათავისუფლება. ვთქვათ, არ ჰქონდათ პრესისთვის პირობების გაუმჯობესების საშუალება, ძველი ნიხრები მაინც დაეტოვებინათ? არა, არ ისურვეს. მოკლედ, ამას პრესას ჩაკვლა ჰქვია. ვნახოთ, რას მოუგანს ეს ახალი საგადასახადო კოდექსის შემქმნელებს.

სულეიმან სულეიმანოვი, გაზეთ „გურჯისტანის“ რედაქტორი:

– გარდამავალ პერიოდში ამის გაკეთება არ შეიძლება. პირიქით, ძლივს ვსუნთქავთ და ახლა დღგ-ს დამატება მთლად დაგვლუპავს. ვალები რჩება, შეღავათები კი უქმდება... ისედაც გაბეთს ვუშვებთ გაწვდილი ხელით, სიმწრით ნაშოვნი ფულით და ამის შემდეგ რაღა იქნება? ვთხოვთ ხელისუფლებას, რომ ასეთი ნაბიჯი არ გადადგას, ცოტა შეღავათი გაგვიწიოს. ეს შეღავათი კი ისევ ხალხსა და ქვეყანას წაადგება!

მზია ბარამაშვილი, დიასახლისი:

– მე ჩვეულებრივი მკითხველი ვარ. ძველებურად ვერა, მაგრამ დროდადრო გაზეთებს მაინც ვყიდულობ. თუ ამიერიდან გაძვირდა, მე მირჩევნია შვილებს შინ ერთი პური მივუტანო, ვიდრე 60-70 თეთრი გაზეთში გადავიხადო. ისე, ნახევარი საქართველო ჩაბნელებულია, ტელევიზორი არ მუშაობს, თუ გაზეთიც ჩაკვდა, ხალხი სულიერად განადგურდება. ამაზე აქედანვე უნდა დავფიქრდეთ, – ვის უნდა ბოგანო ადამიანი?

იწერდა სოსო გიორგოფბიანი.

◎ რას წერენ, რას ამბობენ... ჩვენზე

„ვაშინგტონ პოსტი“ (აშშ), 13 სექტემბერი.

washingtonpost.com

რუსეთი აღყაფია

(პირველი გვერდიდან)

შეუძლია რუსეთს მომავალშიც იცხოვროს ასეთი პოლიტიკის პირობებში? რას გააკეთებს რუსეთის პრეზიდენტი? როგორი იქნება მისი დამოკიდებულება მეზობლებისადმი? ამერიკელი მკითხველების ამგვარ შეკითხვებს მაიკლ მაკფოლმა „ონ-ლაინ“ რეჟიმში უპასუხა, – ნათქვამია სარედაქციო პუბლიკაციაში, რომელშიც კითხვა-პასუხი მთლიანადაა გაშიფრული.

საინტერესოა, რომ ამერიკელ მკითხველებს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაც აინტერესებთ. **გთავაზობთ ფრაგმენტს მასალიდან, რომელიც სწორედ საქართველოს ეხება** (თავისუფალი თარგმანი).

„შეკითხვა სან-ფრანცისკოდან (კალიფორნიის შტატი): დაინტერესებულა თუ არა ვლადიმერ პუტინი, როგორც ამერიკისა და დიდი ბრიტანეთის მოკავშირე, პრიორიტეტი ძალის გამოყენებას მიანიჭოს, მაგალითად, მთავარი პოტენციური მოწინააღმდეგეების ირანისა და სამხრეთ კორეის წინააღმდეგ? ეს შეეხო რუსეთის ინტერესებში?

მაიკლ მაკფოლი: რა თქმა უნდა, ვლადიმერ პუტინი დაინტერესებულია, რომ რუსეთი საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის სფეროში ამერიკისა და დიდი ბრიტანეთის მოკავშირედ გაინიხლონ, მაგრამ აქვე უნდა შევნიშნო, რომ მოსკოვის განცხადებები პრევენციული დარტყმის თაობაზე შემაშფოთებლად ჟღერს – როცა პუტინი და მისი ჩინოვნიკები პრევენციულ დარტყმების შესაძლო განხორციელებაზე საუბრობენ, მათ მხედველობაში ირანი და ჩრდილოეთ კორეა კი არა აქვთ, არამედ საქართველო. მე ვფიქრობ, რომ რუსეთის პრეზიდენტი ირანისა და ჩრდილოეთ კორეას დაბომბვას მხარს არ დაუჭერს.

შეკითხვა ბალტიმორიდან (მერილენდის შტატი): როგორ მოიქცევა ამერიკის მთავრობა, თუ პუტინი საქართველოს პრევენციულ დარტყმას მიაყენებს?

მაიკლ მაკფოლი: იმედი მაქვს, რომ ასეთ შემთხვევაში ამერიკა მხარს საქართველოს დაუჭერს, თუმცა ვშიშობ, რომ სიტუაციის ამგვარი განვითარების დროს აშშ-ის პრაქტიკული დახმარება საქართველოსთვის მაინცადამაინც დიდი არ იქნება“.

◎ ◎ ◎

⊙ ჟურნალისტი მივლინებიდან დაბრუნდა

12. «კაცი იყავ კაცური და სადაც გინდა, იქ ილოცე...»

უსათუოდ უნდა წავიდე ღორჯომში, სადაც პრეზიდენტი და მისი მეუღლე სტუმრობდნენ. ჩანს, ეს სოფელი მართლაც იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას, თორემ, ქვეყნის პრეზიდენტმა, როგორც არ უნდა მოიწადინოს, ყველა სოფელს ვერ ეწვევა! – ვუთხარი გამგებელ ოთარ ცეცხლაძეს პირველი შეხვედრისთანავე. და აი, ხულოში ჩემს გაწყურელ მეგზურთან, ეთერ დეკანაძესთან ერთად ალი ცეცხლაძე თავისი „მერნით“ ღორჯომისკენ მიგვაქროლებს. თუმცა, სიტყვა „მიგვაქროლებს“ ამ გზებისათვის, ცოტა არ იყოს, დიდი ფუფუნებაა! მძღოლს დიდი ოსტატობა სჭირდება, რომ ავტომანქანა ორმოებსაც აარიდოს და მკვეთრ მოსახვევებშიც უხიფათოდ გაიყვანოს. სწორედ ასეთი გზების გამო იყო, ღორჯომელებმა მათთვის დამახასიათებელი პირდაპირობით რომ გვითხრეს, მოვლა და პატრონობა სჭირდება, მაგრამ თუ ხელისუფლება არ დაგვეხმარა, ჩვენი ძალებით ვერაფერს გავხდებითო.

ღორჯომი კომლთა რაოდენობის მიხედვით სიდიდით რაიონის მესამე საკრებულოა. აქ შედის სოფლები: მეკეიძეები, ვანაძეები, ტუნაძეები, ქურდული, ახალი უბანი, სტეფანაშვილები, ლაბაიძეები, წინწკალაშვილები, ჭახაური, მერჩხეთი, ფორგაძეები და 1040 კომლს აერთიანებს. საკრებულოში არის სამი საშუალო, ხუთი დაწყებითი და ერთი არასრული საშუალო სკოლა. მოსწავლეთა რაოდენობა ათასს აჭარბებს. აქაც, ისევე როგორც სხვაგან, უმრავი პრობლემაა, დაწყებული შენობების შეკეთებით და კარგად ეტყვა, საქართველოს სხვა კუთხეებისკენ მიილტვის. აქ ბრინჯაოს ხანაშიც ადამიანი სახლობდაო, – სიამაყით ამბობს ბაღრი, – ღორჯომს აღრე „აქილევსის ქუსლს“ ეძახდნენო, მაგრამ კეცის მჭადზე ჯვარი ყველაზე უკეთ აქ შემოინახესო.

– აღრე აქაურ ქალს მასობრივ ღონისძიებაზე ვერ მოიყვანდი, ახლა საბით და დამთავრებული საჭირო ინვენტარით უზრუნველყოფით. ფრიად ენაწყლიანი გამოდგა საკრებულოს ახალგაზრდა გამგებელი ბაღრი გორგაძე, რომელიც თავისი მოვალეობის შესრულებას 3 თვისს შესდგომია. განათლებით ფილოლოგს, ცხრა წელი უმუშაია პედაგოგად. უნდა ვიგულისხმოთ, რომ მან ჩინებულად იცის საკრებულოს ავიც და კარგიც, ენდობიან და თავკაცადაც ერთხმად აირჩიეს.

როცა ბაღრი გორგაძეს ვუსმენდი, უნებურად გამახსენდა შუახვესია და ხულოს გამგებლებთან საუბარი – ესეც, ბაღრი გორგაძეც, ფუსგად იმ პრობლემებზე ამახვილებდა ყურადღებას, რაზეც ის გამგებლები. ეს არის გზების ცუდი მდგომარეობა, სამოსახლოების მწვავე დეფიციტი, მთის მძიმე პირობები, წვთია და დაგვით მოწეული კარგოფილის ძნელი რეალიზაცია, გადამუშავებელი საწარმოების უქონლობა, ჩაწოლილი ხილი... მეკეიძეებში 65 სახლს ბოქლომი ადევს. უამრავი კარგამოჯარული სახლია სტეფანაშვილებში, სხვა სოფლებში. „კარგი იქნება, თუ წალკაში ჩასახლებას დაიჭარებენ. ჩემი ძმა იქ ცხოვრობს. იქაურობას ისე შეეგუა, მთელი ღორჯომი რომ მაჩუქოთ, მანდ აღარ დავბრუნდებიო. მთას ცოგა მეტი ყურადღება სჭირდება... აი, ჩამობრძანდა ჩვენთან პრეზიდენტი, ხალხი აღფრთოვანებით შეხვდა. ბევრ სიკეთეს დაგვპირდა... ვნახოთ... ქალბატონმა სანდრამ ხომ ჩვენი ქალების გული სამუდამოდ მოინადირა! ისე გაუშინაურდნენ, თითქოს მთელი სიცოცხლე აქ გაეტარებინოს. თავზე ნენეს ძველებური მანდილი მოახურეს. იმან კი, იმ ქალების პატივისცემის ნიშნად, დიდხანს არ მოიხადა. ჩემს ოჯახში პაგარა სუფრა გავაწყე. სწორედ მაშინ იყო, სანდრა ჩვენს ქალებს – შორენა ქათამაძეს, ნანი წინწკალაძეს, ციცო ანთაძეს, ნაირა ონიანს რომ შეპირდა, კიდევ ვეწვევითო. შუამთობის დღესასწაულზე ველოდებით. ალბათ, სიტყვას შეასრულებს...“.

ეს ვრცელი მონოლოგი ბაღრი გორგაძეს ეკუთვნის. ჩვენ დიდხანს ვისხედით გამგეობის შენობაში და იმაზე ვებჭობდით, რა სჭირდებათ და რის გაკეთებას აპირებენ, რა იყო ღორჯომი და რა შეიცვალა მის ცხოვრებაში. ამ სოფლის ისტორია XVIII საუკუნიდან იწყება. რაგომ დაანათლეს ეს უცნაური სახელი? ვითომ ღორჯოს ან, როგორც მითხრეს, ღორის ჯოგის გამო (მაგრამ არის ღორის კოლტი და არა ჯოგი)? აქა-იქ შემორჩენილია ძველი ნასახლარების კვალი. სად წავიდა ის მოსახლეობა? დიდთურქობამ აჰყარა თუ ცხოვრების მძიმე პირობებს გაექცა? ზოგადოებრივი თავყრილობის აქტიური წევრია, – ამბობს ეთერი.

– ძალიან მინდოდა, რომ ახალგაზრდების ცხოვრებაში რაღაც შემეცვალა. ღღეს ჩვენი შვილი გოგონა საესტრადო მომღერალია, სპექტაკლებში და კონცერტებში მონაწილეობს. ძველი შებოჭილობა უკან იხევს. წლეულს ორი გოგონა სამედიცინო სასწავლებელში ჩაირიცხა. იცით, ეს ჩვენი ხეობისთვის რას ნიშნავს?

– პირდაპირ საოცარია, – საუბარს აგრძელებს ეთერ დეკანაძე, – აქ ბმირი დედები არა ჰყავთ! ერთ ან ორ შვილს ზრდიან. აქაური ქალები ყველასგან გამოირჩევიან ტანკენარობითა და ხილამაზით.

არც მე ვიცი, აქაურთა მცირეშვილიანობა რა მიზეზით უნდა აიხსნას. მაგრამ ეს ხალხი რომ მაინც მრავლდება, ფაქტი სახვეზეა! და ისიც, რომ შვიდი ღორჯომელი ჯოგონა ესტრადის მომღერალია, ხოლო ორი სამედიცინოზე სწავლობს, ალბათ მისასალმებელია. ქართული სული კარჩაკეტილობას ვერ ეგუება. იმასაც ჩიტივით ნავარდი უყვარს, რათა უფრო აქტიურად ჩაებას ახალი ცხოვრების აშენებაში.

– წინათ შესანიშნავი ბიბლიოთეკაც ჰქონდათ, – ოცნებასავით ამბობს ეთერი.

– სკოლებშიც კარგი ბიბლიოთეკები გვქონდა. სამწუხაროდ, თითქმის აღარსად აღარ შემორჩენილა. სადაც არის, მოძველებული ლიტერატურა, დაფლეთილი წიგნებია, ხელში ვეღარ აიღებს კაცი, – ეთანხმება ბაღრი.

ღღეს სახელმძღვანელოებიც ძვირია და ბევრს წიგნის შესაძენი ფულიც არა აქვს. იქნება ჩვენმა მწერლებმა, მეცენატებმა გამოიღონ დახმარების ხელი? ეს დიდი, ძალიან დიდი საქმე იქნება.

როგორც საკრებულოს თავკაცი ამბობს (და მეც ვეთანხმები), საგანმანათლებლო და კულტურულ დაწესებულებებს განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება. „მიშნობრივი მომზადების ღიმბეტები რომ გვქონდეს, ახალგაზრდებს შევარჩევდით და მივავლენდით. არა გვყავს უცხოური ენის პედაგოგები. თუ ღორჯომელებს პაგარა ხელს წაახმარენ და ინსტიტუტებში მიიღებენ, პედაგოგთა დეფიციტი მოიხსნება. აი, გვაქვს შესანიშნავი კულტურის სახლი, მაგრამ ინვენტარი არსად არის“, – ამასაც ბაღრი გორგაძე ამბობს.

კი, გეთანხმები, ჩემო ბაღრი, ხელშეწყობა გჭირდებათ. გჭირდებათ ინვენტარიც და ბევრი სხვა რამაც, მაგრამ... ხომ შეიძლება, რაც გაქვთ, ჯერ-ჯერობით ის გამოიყენოთ, მოაწყოთ თვითმოქმედების საღამოები. შარშან სპეციალისტები რომ ყოფილან და გაოცებულან, რა შესანიშნავი ახალგაზრდები გყოლიათო, იმ ახალგაზრდების გამოყენება, პაგარ-პაგარა სპექტაკლების გამართვა ხომ შეიძლება? ოცნებობ ბავშვთა თეატრზე, თოჯინების თეატრზე. დიდებულია! ოღონდ, აბა, ჯერ თქვენით სცადეთ რამე, თორემ, მარგო სხვათა დახმარების იმედად ყოფნა ვერაფერი შვილია...

აბსოლუტურად მხარს გიჭერთ იმაში, რომ საგელევიზიო გადაცემებს მიხედვა სჭირდება, რომ ამ საქმეში თქვენ ვერაფერს გახდებით და ისევ მთავრობამ უნდა წაგახმაროთ ხელი. საჭიროა გამაძლიერებელი ანძების დადგმა, თორემ, ღედათბილისის ხმა თქვენამდე რომ ვერ აღწევს, დიდი დანაშაულია. გეთანხმები იმაშიც, რომ ზამთრის სათხილამურო კომპლექსის აგებაშიც ცენტრი უნდა ჩაერიოს. ამ საქმეს ვერც თქვენი მოწადინება და ვერც რომელიმე ორგანიზაციის შეფობა ვერ უშველის. სამშენებლო ქვის დიდი მარაგი რომ არის, ამასაც გამოყენება უნდა. კარგია, რომ მოსახლეობა პაგიჭ სცემს წინაარრების სალოცავებს – ეკლესიების ნაშთებს. როცა იძულებით გაამუსულმანეს, ქალები მალულად იმ სალოცავებში მიდიოდნენ და სააღდგომოდ წითელი კვერცხები მიჰქონდათო, მითხარი. აკი ზემოთაც ვთქვი, ქართული სული ზეობს-მეთქი!

მოწიწებით მივეახლეთ თქვენს უმარმაზარ ჯამეს – მეჩეთს, რომელიც 1898 წელს აშენებულა. მეც თქვენებურად გავიძრე ფეხსაცმელი და ირგვლივ თვალი ინტერესით მიმოვეგარე. – ყველაზე გვიან ჩვენ გავმუსულმანებულვართო, – მითხარი. ეს საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი მძიმე, შავბნელი ფურცელია. და მაღლობა აჭარელ კაცს, რომელმაც, საძულველი და სასტიკი მტრის პირისპირ მარგოდმარგო დარჩენილმა, მიუხედავად ყველაფრისა, მამულიც შეინახა და ენაც! მე, ჩემდათავად, მირჩევნია, რომ ქართველი კაცი მართლმადიდებელი იყოს, მაგრამ თუ ვითარებათა გამო ამას ჯერ ვერ ახერხებს, ესეც მოსათმენია: მთავარია, კაცი იყოს და ქვეყნის საგკეკვარი სტკეოდეს! „კაცი იყავ კაცური და, სადაც გინდა, იქ ილოცეო“, ესეც ხომ ქართველმა თქვა, ქართველმა და არა ვიღაც გადამთიელმა. ვანა დიდი დავით აღმაშენებელი მოწიწებით არ შედიოდა მეჩეთში, ვანა სწორედ მან არ აკრძალა სარწმუნოებრივი დევნა? ჩვენც, მისი შთამომავლები, ამ გზას ვაღგივართ. ისე, არაევნ იცის, ხვალზეგ რა იქნება, რა გზას დავადგებით – აჭარაში ხომ მასობრივად უბრუნდებიან მამა-პაპის სალოცავებს!

უკვე გვიანი იყო, მაგრამ მასპინძელმა თავი გადაიკლა – ოჯახში უნდა შეწვეოთო. წავყევით, დიასახლისმა ნანამ (რომელსაც ჯერჯერობით ერთი შვილი, თერთმეტი თვის ზურიკო ჰყავს), შესანიშნავი სუფრა გაგვიწყო. ეს სტუმართმოყვარეობა არ გამკვირვებია, ვინაიდან უკვე ვიცოდი ერთი საინტერესო დეტალი: ყოველ ოჯახს ჰქონდა სახლისგან განცალკევებული ოთახი – „მეიდან-ოდა“, რომელიც უცხო ადამიანებისთვის იყო განკუთვნილი. ამ ოდაში გამველ მგზავრს, დღე-დამის ნებისმიერ დროს, უფლება ჰქონდა, რომ მასპინძლის უკითხავად შესულიყო, დაეძინა, ლუმა გაეგეხა, მოესვენა და როცა მოესურვებოდა, ისევ მასპინძლის უკითხავად თავის გზას სწეოდა. მესმის, რომ აქ მთაა, განსაკუთრებით მძიმე პირობებია. ისიც ვიცი, რომ სტუმარს საქართველოს ამერ-იმერში ყველა ყურადღებით ეკიდება, მაგრამ აჭარული „მეიდან-ოდა“ ცოტა უფრო მეტს ნიშნავს და აქაური კაცის დიდუნებოვნებაზე მეტყველებს. სხვათა შორის, დემეტრაძეების კუთვნილი ერთი ასეთი სახლი, რომელსაც ის „მეიდან-ოდაც“ აქვს, სოფელ დიდჭარიდან ჩამოიტანეს და თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში დადგეს. შეგიძლიათ მიბრძანდეთ და ჩემი ნაუბარის სისწორე შეამოწმოთ!

ბაღრი გორგაძის ოჯახში აწეული პირველი სადღეგრძელო ოჯახის ჭერს, ქვეყნის სიმშვიდეს და გაძლიერება-გამთლიანებას მიეძღვნა.

ეს არის ყველა ქართველის ოცნება, განურჩევლად იმისა, სადაურია იგი – ქართლელი, კახელი თუ აჭარელი.

ამას ოცნებობენ ღორჯომელებიც.

ამაში ბაღრი გორგაძესთან შეხვედრამაც დამარწმუნა. ჩემი ღრმა რწმენით, ის თავისი ხალხის ღირსეული შვილია და ბევრ საქმეს, რასაც ეპირება, უთუოდ თავს დაადგამს.

ელგუჯა ლეგანიძე,
„სრ“ სპეც. კორ.
თბილისი-ხულო-თბილისი.

სურათზე: გულითადი საუბარი. ასე შეხვდნენ ღორჯომელები პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს.

ბიძინა რიქვაძის ფოტო.

⊙ პირველი პირი

ამოსვლა მორევიდანაც შეიძლება

გურჯაანის რაიონის ახალი გამგებელი აკაკი სიხარულიძე ახალი ვენახების გაშენებას და პრობლემების გადაჭრას

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საკადრო ცვლილებები ცენტრის გარდა რეგიონებშიც განხორციელდა. ყველა სახელმწიფო სტრუქტურაში ახალი ხელმძღვანელობა ახალი იდეებითა და შემართებით მივიდა, მოსახლეობა კი მათ დიდი იმედებით შეეგება. ცხადია ისიც, რომ ყველა თავკაცს ადგილზე მძიმე მემკვიდრეობა დახვდა.

ჩაბნელებული რაიონი, შეუსრულებელი ბიუჯეტი, წლობით გატანჯული ხალხი, – ასეთი პრობლემები „შეაგებეს“ გურჯაანის რაიონის ახალ გამგებელს აკაკი სიხარულიძეს. ყველაფერს კი წლევანდელი მძიმე კლიმატური პირობებიც დაერთო, რაც ამ რაიონმა ყინვის, სეტყვისა და ღვარცოფის სახით იგემა. უამინდობამ რაიონში სავალი გზები აყარა, ხიდები დაანგრია, მოსავალი გაანადგურა და, რაც მთავარია, ძალზე დააზარალა სოფლის მეურნეობის ისეთი უმნიშვნელოვანესი დარგი, როგორიცაა მევენახეობა.

– ბატონო აკაკი, როგორი მდგომარეობა დაგხვედათ რაიონში და რა მოასწარით ამ ერთი თვის მანძილზე?

– რაიონი ცხოვრობდა უამრავი პრობლემით. ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე მოსახლეობას წყალი და შუქი ძალიან ცუდად მიეწოდებოდა. ახალგაზრდებს 6-7 საათზე სახლში უწევდათ წასვლა, რადგან მათთვის არანაირი გასართობი ცენტრი არ არსებობდა. რაიონში მწვავე კრიმინოგენური ვითარება სუფევდა, რაც ნელნელა სწორდება, სიგუბაცია ყოველდღიურად უმჯობესდება.

ღღეისათვის მოსახლეობას სასმელი წყლისა და ღენის მიწოდების პრობლემა ნაწილობრივ მოეხსნა, ელექტროენერგია – გრაფიკით, სასმელი წყალი სოფლებს ზოგან ყოველდღე, ზოგან კი დღეგამოშვებით მიეწოდება. სკოლები გარემონტდა. შენობები შეიღება, ჩაბნელებული ქუჩები განათდა. გურჯაანის ცენტრში, „პაპას ბაღში“ დაგეგმილია ახალგაზრდული ცენტრის მოწყობა. სამუშაოები დაწყებულია, კეთდება ღია სცენა, მიმდინარეობს აუზის აღდგენა. ჩვენი ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტი ქალაქის რაიონული ცენტრის იერსახის შექმნაა, რათა ჩამოსულმა სტუმარმა თუ უცხოელმა ინვესტორმა თავი ნორმალურ გარემოში იგრძნოს.

– რაიონში არსებულ პრობლემებს თან მძიმე კლიმატური პირობებიც დაერთო, რა თანხას შეადგენს უამინდობის შედეგად მიყენებული ზარალი?

– თავდაპირველად, ამ წლის დასაწყისში, ყინვა იყო, რასაც სეტყვა და ღვარცოფი მოჰყვა. შემდეგ კი, ქალაქის ცენტრში 12-ბინიანი საცხოვრებელი სახლი დაიწვა. ზარალმა 3 მილიონ 240 ათასი ლარი შეადგინა. ამის შესახებ ფინანსთა სამინისტროში ტრანსფერის გამოყოფის თაობაზე წერილი გავაგზავნეთ, რადგან ყველაზე მეტად სგიქიური უბედურებების შედეგად გურჯაანი დაზარალდა. იმედი გვაქვს, სოლიდურ დახმარებას გაგვიწევენ.

– ბუნებრივია, უამინდობამ გავლენა იქონია მევენახეობაზე, რა მდგომარეობაშია დღეს თქვენი ზვრები?

– დაახლოებით 14-15 წლის წინათ რაიონში 50-70 ათასი ტონა ყურძენი იკრიფებოდა. ბოლო პერიოდში კლება აშკარად შეიმჩნევა. წლეულს 25-27 ათასი ტონა იქნება, თუმცა არსებულ პირობებში ეს პაგარა მაჩვენებელი როდია. კახელი ბლეხისთვის ვაზი შვილივით არის, მაგრამ შესაბამისი პირობების უქონლობის გამო, ბლეხობის ნაწილმა ვენახი „შეკვეცა“ და საზამთრო დათესა. მოგეხსენებათ, სეტყვა სხვა კულტურებე მეტად ვენახს აზიანებს. სეტყვა კი კახეთს არასდროს აკლდა.

– მოსახლეობას მოყვანაც უჭირს და გასაღებაც. რა ვითარებაა ამ მხრივ, ღვინის ქარხნებში თუ მოხდება ყურძნის ჩაბარება?

– შევხვდით და ვესაუბრეთ 11 ღვინის ქარხნის დირექტორს. აქედან ორმა საერთოდ უარი განაცხადა, დანარჩენი ქარხნები კი ცოტას მიღებას აპირებენ. მიმდინარეობს საუბრები ამ „ცოტას“ გაბრდაზე. მთავარია, რომ ღვინის ქარხნები ყურძნის ჩაბარებისათვის მზად იყვნენ. რუსეთთან ურთიერთობის დაძაბვამ დიდი გავლენა მოახდინა ღვინის ბაზარზე, რადგან ღვინის მწარმოებლებს გასაღების ბაზარი სწორედ რუსეთში ჰქონდათ. ბუნებრივია, ურთიერთობის დაძაბვამ ქარხნის ხელმძღვანელობას შიში გაუჩინა. შეიძლება მათ ყურძენი იყიდონ, დამატებითი ხარჯები გაიღონ, ღვინო დაიყენონ და მერე ვეღარ გაყიდონ. ღღეისათვის, ჯერჯერობით, ასეთი სურათი გვაქვს.



– რა, გურჯაანში შეიძლება ვენახების გაშენება?

– არა, პირიქით, ახალი ვენახების გაშენება გვინდა. მართალია, ის გარკვეული პერიოდის მანძილზე მოსავალს არ იძლევა, მაგრამ შემდეგ უკვე ბარაქიანი რთველი გვექნება.

– როგორ ასრულებს რაიონი საბიუჯეტო დავალებებს?

– ბიუჯეტის შესრულება ყველა რაიონისთვის ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმია. აგვისტოში პრაქტიკულად ყველა პარამეტრი მუხლობრივად შესრულდა და 105 პროცენტს მიაღწია.

– თუ ეხმარება გამგეობა მოსახლეობის სოციალურად დაუცველ ფენას?

– საკაბინეტო მუშაობის დასრულების შემდეგ სოფლებში გავდივარ და მოსახლეობას ვხვდები, ვინიშნავ მათ პრობლემებს, რაზეც შესაბამის რეაგირებას ვახდენ. მოქალაქეებისგან უამრავი განცხადება შემოდის, განხილვის შემდეგ მათ შეძლებისდაგვარად ვეხმარებით. ქალაქის ცენტრში დამწვარი კორპუსის გარდა, სადაც 12 ოჯახი ცხოვრობდა (ისინი დროებით ახგალის პანსიონატში ვეყავს შეფარებული), კიდევ ხუთი გადაბუგული სახლი მოგვემაგა. კომისიამ, ჩემი დავალებით, მათთვის 1000-1000 ლარის მიცემა გადაწყვიტა.

ახლახან ქარელში, სამხედრო ნაწილში ვიყავით, სადაც გურჯაანის რაიონიდან გაწვეული 50 ახალგაზრდა მოვინახულეთ. მათ საყოფაცხოვრებო ნივთები და კიდევ სხვა საჩუქრები ჩავუგანეთ, მინდა აღვნიშნო, რომ იქ ძალიან კარგ პირობებში უწევთ სამსახური.

– როგორც გავიგე, აგვისტოში გურჯაანში ოსი ეროვნების ბავშვები ისვენებდნენ, მოხდა თქვენი დანათესავებაც...

– გურჯაანში სოფელ ავნევიდან ჩამოსული 22 ბავშვი 15 უფროსის თანხლებით ისვენებდა. ისინი ინტერნატის შენობაში განვათავსეთ, სადაც საუცხოო პირობები ცხოვრობდნენ. მათ გურჯაანის ღირსშესანიშნაობები დავათვალიერებინეთ, თოჯინების თეატრში სპექტაკლი ჩავუგარეთ, სხვადასხვა ღონისძიებებიც გავუმართეთ. სისტემატურად მიგვქონდა საჩუქრები.

ოსი ეროვნების შვიდი ბავშვი გურჯაანის რაიონის ღვთისმშობლის სახელობის ყოელაღწმინდა ეკლესიაში მოვნათლეთ. ერთ-ერთის ნათლია მეც ვარ. ბავშვები გურჯაანიდან ძალიან კმაყოფილები წავიდნენ...

აღგილობრივ მცხოვრებლებსაც და რაიონის სტუმრებსაც მომავალში კიდევ უფრო მეტი სასიკეთო საქმის გაკეთებას ვპირდებით. და ეს დაპირება აუცილებლად შესრულდება!

ესაუბრა
ლელა ხვადაგიანი.

⊙ ინფორმაცია

მოწმდება ბენზინგასამართი სადგურები

საქართველოს სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია დღეიდან ქვეყნის მასშტაბით ბენზინგასამართი სადგურების შემოწმებას იწყებს. როგორც ინსპექციის უფროსმა დავით მესხიშვილმა გუშინ საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ბენზინგასამართი სადგურების 90% არ შეესაბამება სანიგარიულ ნორმებს, რაც ადამიანების ჯანმრთელობაზე უარყოფით შეგავლენას ახდენს.

მესხიშვილმა ბენზინგასამართი სადგურების მიმართ მკაცრი მოთხოვნები წამოაყენა. მისი თქმით, ყველა სადგურის თანამშრომელი აღჭურვილი უნდა იყოს სპეცტანსაცმლით, თავად სადგურები გამართული უნდა იყოს ნავთობდამჭერებით, მოეწყოს სანიაღვრე არხები და ორთქლის გასაუვნებელი მოწყობილობები. მთავარ საკითხად კი მესხიშვილი ბენზინგასამართი სადგურების ტერიგორიის შერჩევას ასახელებს. მისი განმარგებით, ბენზინგასამართი სადგურები, რომლებიც 500 ავგომანქანის მომსახურებაზეა გათვლილი, საცხოვრებელი სახლებიდან 50 მეტრის დაშორებით უნდა აიგოს, მანქანების მეტ რაოდენობაზე გათვლილი კი – 100 მეტრის დაშორებით.

აღნიშნული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში სადგურის მფლობელის მიმართ საჯარიმო სანქციები განხორციელდება: პირველადი ჯარიმის სახით – 100 ლარი, მეორადი ჯარიმის სახით კი 500 ლარი დაწესდება. სასჯელის უკიდურესი ფორმა სადგურებისათვის ექსპლუატაციის შეჩერება იქნება.

მისივე განცხადებით, ამიერიდან ბენზინგასამართი სადგურები მხოლოდ ავგომაგისგრანლებზე და ყველა ნორმის დაცვით აშენდება.

მოძრაობა „სამკუთხედით“

კოსტავასა და მელიქიშვილის გამბრეებზე და ვარაზისხევის მიმართულებით 18 სექტემბრიდან ცალმხრივი ავგოსაგზაო მოძრაობა დაწესდება. თბილისის მერიაში გუშინ გრანსპორგის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელმა ზურაბ ჩიკ-



ვილაძემ და თბილისის საპაგრულო პოლიციის სამმართველოს უფროსმა ზურაბ მიქაძემ ჟურნალისტებს ე. წ. „სამკუთხედის“ პროექტი წარუდგინეს და გრანსპორგის ახლებურ მოძრაობასთან დაკავშირებით ერთგვარი განმარგება მისცეს.

როგორც მიქაძემ დღევანდელ პრეზენტაციაზე აღნიშნა, „სამკუთხედის“ მიხედვით, ვარაზისხევში მანქანები ქვემოდან ზევით იმოძრავებს. მისი განმარგებით, ვაკიდან რუსთაველის გამზირისკენ მიმავალი გრანსპორგი შეუერთდება ვარაზისხევიდან მელიქიშვილისკენ მოძრავ ნაკადს. ვაკიდან გმირთა მოედნისკენ მიმავალი გრანსპორგი გაიკვლის მელიქიშვილის ქუჩას, ფილარმონიის პირდაპირ დაგრიალდება მარცხნივ და გაივლის კოსტავას ქუჩას. რაც შეეხება რუსთაველიდან კოსგავას ქუჩის გავლით მიმავალ ნაკადს, გრანსპორგი ჯერ გმირთა მოედანზე სპეციალურად აგებულ „კუნძულზე“ დაარგყავს წრეს, შემდეგ კი ვარაზისხევით მოხვდება ვაკეში.

ზურაბ ჩიკვილაძის თქმით, ცალმხრივი მოძრაობის შედეგად ქუჩები გაციცლებთ გამგარუნარიანი და უსაფრთხო გახდება.

ინტერ-პრესს.

⊙ თარიღი

საქართველოს ისტორიის „შავი დღე“

12 სექტემბერს ჩვენი საზოგადოების ერთმა ნაწილმა თავისებური „მონანიების აქცია“ გამართა წიწამურთან. აქ და მერე საგურამოშიც, უამრავი მწარე სიტყვა ითქვა ილიას მკვლელთა მისამართით, სანთელიც ბევრი დაინთო ხსოვნისა და მონანიებისა...

ყველა ერს, დიდსა თუ მცირეს, თავისი **„შავი დღე“** აქვს და აი, ამერიკელების 2001 წლის 11 სექტემბრის „შავ დღეზე“ უფრო აღრე ქართველებს გვაქვს ჩვენი „შავი დღე“. მაგრამ იგი მარგო წიწამურთან არაა დაკავშირებული: ისტორიული ბედისწერით 12 სექტემბერი ორჯერ გახდა ერონული ტრაგედიის ათვლის წერტილი საქართველოს ისტორიისთვის.

1795 წლის 12 სექტემბერმა სულ სხვანაირად დააგრიალა ქართველის ბედი, „ოვრიელთა სასოებას“ სხვა საშველი, სხვა გზა-კვალი, სხვა პოლიტიკური ორიენგირი მიეცა...

მეორემ უკვე იდეოლოგიური ორიენგირის თვალთახედვით შეეცალა ქართველის ბედი და მასთან ერთად, ჩვენი სულიერი ცხოვრება და ღირებულებები: „ნაციონალისგი ილია და მისი „საერთო ნიადაგის“ თეორია უკუგდებული იქნა ჟორდანიამახარაძე-ორჯონიკიძეთა ინტერნაციონალისტ-კოსმოპოლიგთა მიერ.

და ღღევანდელი ვითარების პარადოქსიც ის არის, რომ პირველი 12 სექტემბრიდან 209 წლის შემდეგაც ჯერ კიდევ სრულად ვერ განვთავისუფლებულვართ რუსული კოლონიალიზმისაგან და მეორე 12 სექტემბრიდან 97 წლის შემდეგაც ილიას **„საერთო ნიადაგის“** თეორია უკეთეს შემთხვევაში შემეცნებით ღირებულებას თუ შეადგენს ჩვენთვის და **არა მოქმედების პროგრამასა და პოლიგიკურ სგრატეგიას. სწორედ ამ გზით შეუძლია მოგვცეს მან ბევრი რამ „სამომავლო გზის გასანათად“** (ასე განსამღვრავდა მის როლს ივ. ჯავახიშვილი).

ავიღოთ თუნდაც, ეს ჩვენს ბედისწერად გადაქცეული რუსეთი, მგლისა და კრავის სგილში რომ გვიპირებს ყოველ წუთში გადაყლაპვას. რას გვირჩევს ილია აქ მისგან თავდასახსნელად? – „აქტიური ლოდინის ტაქტიკას“, რამეთუ იცის: **„ალხანას ჩალხანა არ დაელევა“** (ამ „ჩალხანად“ მას ჩინეთი მიაჩნდა), და მრავალეროვანი იმპერიის ნგრევის პროცესში ყოველნაირად უნდა ვეცადოთ არ აღმოვჩნდეთ ამ ნგრევის ეპიცენგრში. ბალგიისპირელებმა შესანიშნავად გამოიყენეს ასეთი ტაქტიკა. ჩვენ კი თავიდანვე პირველნი ვეგაკეთ დაჭრილ დათვს და კიდევ უფრო გავაღიზიანეთ რაღაც სასაცილო „ბლოკადების მოწყობით“ და სხვადასხვა სამხედრო-პოლიგიკური ავანგარიუებით...

ახლა ვნახოთ, რას გვეუბნება „საერთო ნიადაგის“ თეორიის ავგორი ქართული სახელმწიფოს მშენებლობის სგრაგეგიულ მიმართულებათა თვალსაზრისით. მან იცის, რომ კაპიგალიზმის დროს **„უფულო ერი ფულიანის საძოვარია, მისი საცხოვრისია“** და უპირველეს ამოცანად ეროვნული ეკონომიკის ფორმირებას თვლის რეგიონალურ ეკონომიკათა უპირაგესი განვითარებით, რადგან იცის:

თითქოს ჩვენთვის წერდა ამ 100 წლის წინ: „იცოდე, დღეს მძლეთა მძლეა გარჯა, შრომა და ნაშრომის გაფრთხილება, შენახვა, პაგრონობა, გამოზოგვა საჭიროებისამებრ და არა გაუმაძღარ სურვილისამებრ... ყვე-მინდორი, მთა-ბარი, მიწა-წყალი, პავაპაერი იმისთანა გვაქვს, რომ რა გინდა სულო და გულო არ მოიხვეჭო, არ მოიპოვო, ოღონდ ხელი გასძარ, გაისარჯე, იმხვევე, მუცელსა და გულთა-თქმას ბაგონად ნუ გაიხდი“.

ეს „ხელის გაძვრა“ კი უპირველეს ყოვლისა „საერთო ნიადაგის“ თეორიის იმ პოლიგიკური და სოციალურ-ეკონომიკური პრინციპების განხორციელებაა, რომლებიც თავის მხრივ, ჩვენი ეროვნული მემკვიდრეობიდან იღებენ მასაზრდოებელ ფესვებს...

და დღესაც თითქოს ისმის ილიას მაშინდელი პათეგიკური შეძახილი – „გვესმის კი ეს?!“

ელგერდ ბაგიაშვილი.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 214. ოთხშაბათი. 15 სექტემბერი. 2004 წელი.

ფიქრები

„პესიმისტის ჩანაწერები“

„ულისე“ – კლასიციზმის ნიმუში

რაულ ჩილაჩავა

იქნებ პარადოქსულად მოგვეჩვენოს, მაგრამ XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ავანგარდისტული რომანი — ჯეიმს ჯოისის „ულისე“, — ცნობილი თავისი ფსიქოანალიზითა და ცნობიერების ნაკადით, კლასიცისტური ლიტერატურის თვალსაჩინო ნიმუშადაც შეიძლება ჩაითვალოს. ამ ჟანრის უმთავრესი თავისებურება — დროისა და მოქმედების ადგილის ერთიანობა — რომანში აშკარად დაცულია: მისი მთავარი გმირის იოზეფ ბლიუმის მთელი ოდისეა ერთ დღეს და ერთ ადგილას ხდება.

სწორედ 2004 წლის 18 ივნისს, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, სრულდება ზუსტად ასი წელიწადი მას შემდეგ, რაც ირლანდიის დედაქალაქ დუბლინში ამოანათა „ულისეს“ მზემ და მას შემდეგ ჩაუსვლელად დაჰკაშკაშებს ამ თავისთავად არცთუ ბრწყინვალე ქალაქს, რომელიც ჯოისის გენიამ მსოფლიო ლიტერატურის ერთგვარ მექად აქცია.

ქართველოგა

ქართველოგა, რა თქმა უნდა, არა მარტო კრებით სახელია და ერთად შეკრებილი ტომით ქართველებს გულისხმობს, არამედ ასევე გამოხატავს მათი ამ ტომობრივი ნიშან-თვისებების მთელ კომპლექსს. როცა მას ვარდვევთ, ბზარი უჩნდება კრებით სახელს და კომპლექსსაც კომპლექსი უკვე აღარ ეთქმის.

გეოგრაფია ისტორიის სარჯზე

ძველად ისტორიასა და გეოგრაფიას ერთი მასწავლებელი ასწავლიდა ხოლმე. ამიტომაც ეს ორი საგანი დღესაც არაიშვიათად ერევათ ერთმანეთში. სამწუხაროდ, საქართველოს წარსული და დღევანდელობა საამისოდ არა ერთ მწარე საბაბს იძლევა. მაგალითად, როცა ლაზეთი და ტაო-კლარჯეთი თურქეთმა დაიპყრო, საქართველოს ისტორიის ფურცლებზე ნაწილი თურქეთის გეოგრაფიაში გადაიზარდა. ხომ არ გაამდიდრებს აფხაზეთი და სამაჩაბლო (საინგილოს მსგავსად) ისევ და ისევ სხვათა გეოგრაფიას ჩვენი ისტორიის ხარჯზე?

ჩვენი მიჯაჭვულობის სიმბოლო

ესძღილს „მიჯაჭვულ პრომეთეში“ ზევსი თავისუფლებას ჩუქნის შერისხულ ტიტანს, მაგრამ ადრე აღთქმული ფიცი რომ არ დაარღვიოს, აიძულებს მას, ატაროს მისივე ჯაჭვის ერთი რგოლი, რომელშიც კავკასიონის ქედის მცირე ნამსხვრევი ჩაუტოვა. ასეთი სიმბოლური სახით პრომეთე კვლავაც კლდესაა მიჯაჭვული. ეს ალეგორია მახსენდება, როცა ვფიქრობ თითქოს თავისუფალ საქართველოში არსებულ რუსულ სამხედრო ბაზებზე, რომლებიც სხვა არაფერია, თუ არა ჩვენი მიჯაჭვულობის სიმბოლო.

ხელისუფლების მწვერვალზე

ხელისუფლების მწვერვალზე მყოფმა მარკუს ავრელიუსმა მწარედ ამოოვნა თურმე: შეუძლებელია რაიმეს გაკეთებაო.

როცა ლოყებლაფლაა ყმაწვილთა საადმშენებლო გლობალურ პროგრამებს ვეცნობი, რომლებშიც რძისმდინარეებიანი სამოთხეებია დახატული, განთქმული იმპერატორისა და ბრძენის ის ამოგმინვა მახსენდება ხოლმე.

ტაშისმკვრელები

როცა უმწეო ფიქრებში ჩაძირული მაღალჩინოსანი ვინმე სვიფტის ლაპუტანელივით უაზრო როხროხს მოჰყვება და აღარ დაამთავრებს, გული მწყდება, რომ სადმე გვერდით ის ტაშისმკვრელები არ არიან, რომლებმაც იგი სიბრიყვის მორევიდან უნდა გამოიხმონ. სხვათა შორის, ამ საინტერესო პროფესიაზე, რომელიც „გულივერის მოგზაურობაშია“ ნახსენები, იმთავითვე გაამახვილა ყურადღება ჩესტერფილდის სახელით ცნობილმა გრაფმა ფილიპ დორმერ სტენჰოპმა. წიგნში „წერილები ჩემს ვაჟს“ იგი პირდაპირ აფრთხილებს თავის მემკვიდრეს, გონმოკრებილი იყავი, ფიქრი სხვაგან ნუ გაგეცვალა, რადგან სულაც არ ვაპირებ ტაშისმკვრელები დგიქირავოო.

გრაფს ჰქონდა საშუალება, სიყრმიდანვე ეწვრთნა ვაჟიშვილი, მაგრამ ჩვენ მისი ამბავი ვიკითხოთ, ვისაც არც ღირსეული წვრთნა გაუვლია, არც ცხოვრებისგან უსწავლია რამე და შემთხვევის წყალობით საზოგადოების მწვერვალზე მოქცეულს საკუთარი ხმის გარდა არაფერი ესმის. ვინძლო მას ვეღარც ტაშისმკვრელებმა უშველონ!

რწმენა

ის, ვისაც არაფერი სწამს, მზადაა ყველაფერი იწამოს, შენიშნავდა ჩესტერტონი. რამდენი რამე არ მესმის მასში, რაც მწამს, იტყვის მავანი. თუმცა ჯერ კიდევ ადრქრისტიანული ეპოქის ღვთისმეტყველ ტერტულიანეს (დაახლ. 160-220 წლები) უთქვამს: “Credo guia absurdum est” (მწამს, რადგან უაზრობააო). როცა რომაელმა პროკურატორმა პილატემ სცადა გაერკვია, რა იყო ჭეშმარიტება, მაცხოვარმა მოკლედ მოუჭრა: „მე ვარ ჭეშმარიტება“ და ამით საბოლოოდ ცხადი გახადა ფილოსოფიაზე რელიგიის გამარჯვება, როცა რაიმე დებულების დასამტკიცებლად არგუმენტები უკვე საჭირო არაა.

თევზი

მე თევზის ჭამა არ მიყვარს. იქნება ეს სულაც ქვეშეცნიული პროტესტია და თავშეკავება, რადგან თევზის გამოსახულება ადრეული ქრისტიანებისთვის იესო ქრისტეს სიმბოლოს წარმოადგენდა.

დასაწყისი იხ. „სრ“ № 212, 213.

მამული

ბევრ მტერს ჩვენთვის არ დაუშავებია იმდენი, რამდენიც ერთმორწმუნე რუსეთმა დაგვმართა

ამბობს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, მხატვარი ემირ ბურჯანაძე

– ბატონო ემირ, როგორ შეაფასებდით საქართველოს დღევანდელ ვითარებას? რამ მოიგანა ამდენი სოციალური პრობლემა?

– ჩვენ წინა ხელისუფლებისგან მძიმე მემკვიდრეობა გვერგო. საკუთარი ქვეყნის ძარცვის, რბევის, განადგურების თორმეტი წელიწადი ჯერ არ შეჩერებულა, ისე ინერციით მიდის, იმ დროის უკეთურობაზე პასუხი ახლა მივიღეთ, შედეგს დღეს ვიმკით.

მართალია, საშინელი გაჭირვების დრო დაგვიდგა, მაგრამ პესიმიზმს არ უნდა მივცეთ თავი, თითოეული ადამიანი თავად უნდა ეცადოს ცხოვრების გალამაზებას, სახელმწიფოებრივი აზროვნება ყველას არ მოეთხოვება, ბევრს არა აქვს ეს მასშგაბი და პოტენცია. მაგრამ შენი ქვეყანა რომ უნდა გიყვარდეს და მისთვის ერთგულად იღვწო, ამაზე ორი აზრი არ არსებობს.

ეგაობა, ჩვენ ყველამ დავაკელით ჩვენს ქვეყანას სიყვარული, ხელი არ შევუშალეთ იმათ, ვინც მას არბევდა და ანადგურებდა. რაღაც რომ გაგვეკეთებინა, საკუთარი სიგყვა გვეთქვა, უკეთესად გვექნებოდა საქმე. ვფიქრობ, ყველანი დამნაშავენი ვართ.

დღევანდელობა იმ სულიერი განწყობილების შედეგია, რაც ორი საუკუნის განმავლობაში რუსმა დაგვმართა. ბევრ მტერს ჩვენთვის არ დაუშავებია იმდენი, რაც ერთმორწმუნე რუსეთმა დაგვიშავა...

– კონკრეტულად რას გულისხმობთ? ჩვენს „კეთილისმსურველ ისტორიულ მფარველს“ ხომ დღესაც მრავალი პრეტენზია აქვს ჩვენს მიმართ...

– მშვენივრად გამოჩნდა, ისტორიულად როგორი მფარველიც იყო რუსეთი. ეს მფარველობა მასთან შეერთებას და ანექსირებას არ გულისხმობდა. მან თავიდანვე მტრობა გამოგვიცხადა და როგორც შეეძლო, ყველა საშუალებით გვებრძოდა. არაბთა ბატონობას 400-წლიანი ისტორია აქვს. სპარსეთის გავლენის ქვეშაც ვიყავით საუკუნეების განმავლობაში. ორად გაყოფილი საქართველო თურქ-სელჯუკთა ულელსაც ვერ გადაურჩა, მაგრამ აქედან არც ერთს იმდენი ცუდი არ გაუკეთებია ჩვენთვის, რაც რუსეთმა დაგვმართა. მან ჩვენი სახელმწიფოებრიობა დაასამარა, საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალია მოუშალა, ასიმილაციის სურვილი გამოხატა... ამ ყველაფერს აქტიურად, დაუფარავად, თავხედურად აკეთებდა...

ნახეთ, რა ეწიათ ოსებს! ნუთუ არ იციან, რომ რუსეთის მსხვერპლი არიან? თუ იციან და ხმას არ იღებენ, ლაჩრები ყოფილან. მათ ენა წაართვეს, ჩრდილოეთ ოსეთში ოსური ენა არ ისწავლება. გადაგვარებული ოსი, ფაქტობრივად, რუსის მსახურია. რატომ ეგება ფეხქვეშ რუსეთს? სხვა მეშობელ ქვეყანას, თუნდაც ჩვენ, ხელს რაგომ გვიშლის სახელმწიფოებრიობის აღდგენაში? იქნებ ბესლანის ტრაგედიამ მაინც გონს მოიყვანოს ოსები და რეალობა შეულამაზებლად დაანახოს.

– როგორ შეაფასებდით რუსეთის „საქციელს“ ყოფილი სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მიმართ?

– რუსს მხოლოდ ერთი მიზანი აქვს – არა დააფასოს საქართველოს კულტურული ღირებულებები, არამედ მიითვისოს მისი ტერიტორიები. მათ ნერევა და მსხვერპლი აინტერესებთ. ხალხის გამეტების ოსტატები არიან. არ ინდობენ მოხუცს, ქალს, ბავშვს... ასე ხდებოდა მეორე მსოფლიო ომის დროს, ასე იყო ზოგადად რუსეთის ისტორიაში. არც სხვა და არც საკუთარი თავი ენანებათ. შორს წასვლა რად გინდა, „ნორდ-ოსტის“ ისტორია გაიხსენეთ. ტერაქტი უწოდეს, ვითომ კულტსახლი ვადაარჩინეს, რეალურად ხალხი გაიმეტეს, საკუთარი ხალხი ამოჟლეტეს.

ამიტომ ბესლანის ტრაგედია რაღად უნდა გაგვიკვირდეს? რუსის ჩატარებულ ოპერაციას აქაც ურიცხვი მსხვერპლი მოჰყვა. გასაკვირი მაშინ იქნებოდა, რომ მას ეს ოპერაცია პროფესიულად, მოქნილად ჩაეტარებინა, ვეულისხმოთ სამხედრო ხელოვნებას, რაც, სამწუხაროდ, არ გააჩნია.

ისინი ძველი მეთოდებით ჯიუტად განაგრძობენ ბრძოლას. მიაჩნიათ, რომ მართლები არიან. სულაც არ აღარდებთ, რომ დედამიწის ზურგზე არავის უყვარს როგორც ქვეყანა და ერი, მათ პატივს არ სცემენ.

სამხრეთ კავკასია ისტორიულად მუდამ იყო რეგიონის გული. აქ ყველაზე მეტად ჩქეფდა კულტურული ცხოვრება, ვითარდებოდა მეცნიერება, აქედან საზრდოობდა მთელი იმპერია. კავკასია ევროპა და აზია არაა, მაგრამ იგი ცალკე ისტორიული ცნება და მოვლენაა. ეს გულზე ლოდად აწევს მთელს რუსეთს, ამიტომ არ ეშვება და ბოროტების მეტს ვერაფერს აკეთებს.

ამიგომ, ასეთი საშიში მეზობლის გვერდით ჯონებას უნდა მოვუხმოთ, საკუთარ თავს თავად მივხედოთ, ჩვენი ფასეულობები დავაფასოთ – დაწყებული ადამიანიდან, დამთავრებული კულტურითა და ხელოვნებით.

– თქვენ, როგორც საქართველოს მოქალაქეს, ყველაზე მეტად რა გაღელვებთ, რომელი პრობლემაა უპირველესად მოსაგვარებელი?

– უპირველესად, მისახედია საზღვრები, ის სტრატეგიული ობიექტები, რომლებიც მაცოცხლებელ ძალას წარმოადგენენ ქვეყნისათვის. ასეთია, მაგალითად, კოდორის ხეობა. იგი ყოველთვის წინასწარ უნდა მოვამარაგოთ პროდუქტებით. სამწუხაროდ, საქართველოს მთიანეთი, – სვანეთი, ხევსურეთი, რაჭა-ლეჩხუმი, აჭარა ამ მხრივ უგულისყუროდაა დარჩენილი, ზამთრისთვის მომარაგებული არ არის.

როცა მთა არ ფექნება და ჭლეხი აღარ ეყოლება, მომავალიც არ იარსებებს. მხოლოდ ხელების შლით და ლამაზი სიტყვებით სახელმწიფოს არ ეშველება. სახელმწიფოს სინდისი ჭლეხზე ჰკიდია, ჭლეხის მხრებს აწევს ის სიმძიმე, რასაც სახელმწიფო ჰქვია და ამან გადაარჩინა საქართველო.

სამწუხაროდ, სოფელიც მოიშალა. სოფელი ოდითგან საკუთარ თავსაც ინახავდა და ქვეყანასაც ასაზრდოებდა. ახლა თვითონ სოფელია მომხმარებელი. სხვა მრავალ საკითხთან ერთად მას წყალიც მოუსპეს. წყლით მდიდარ გარეკახეთში სარწყავი წყალი აზერბაიჯანს მისცეს, აღგილობრივ ჭლეხს კი მაწა დაუშაშრეს.

თელავი ჩემი მშობლიური ქალაქია, იქ ავიდგი ფეხი, ხანგრძლივად ვცხოვრობდი. ჩემს მახსოვრობაში დარჩა პატარა, ულამაზეს, წყაროებით მდიდარ ქალაქად. ყოველ უბანში წყარო მორუხჩუხებდა. ახლა? წყალთა მეურნეობა მოიშალა და წყაროებიც გაქრა...

ამის გარდა, მთლიანად, საქართველოში ტყეები გაჩეხილია, ფაქტობრივად, ეკარგავთ ბუნებრივ სიმდიდრეებს. რაც შეეხება მიწებს, თითქმის საეჭვო პრივატიზების წესებით, ღმერთმა უწყის, რა გარიგების ფასად გადანაწილდა.

სახელმწიფოში თითქმის არ არსებობს ასეთი საკითხებისადმი მეურნეობრივი მიდგომა და ეს მე, პირადად, როგორც მოქალაქეს, ძალიან მაწუხებს.

მაფიქრებს, აგრეთვე, მიწისძვრის

შეღეგად დაზარალებული თბილისელების ბედი. ამბობენ, რომ დაზიანებული სახლების აღრიცხვა ტენდენციურად, გარიგებით მოხდა, ახლა მიწისძვრა საჭირო აღარ არის, თავისით ინგრევა სახლები. ხალხი იხვეწება, – გვიშველეთ, მოგვხედეთო, კაციშვილი მათ ყურადღებას არ აქცევს. ვფიქრობ, მთავრობას ამ ადამიანების ბედი მეტად უნდა აღელვებდეს. სხვაგვარად, ისევ დიდ რუსეთს დავემსგავსებით, სადაც ადამიანი არაფრად ულირთ.

– ამ ბოლო დროს უცხოეთის მიბაძვით მოგვიმრავლდა ათასნაირი შოუ, გასართობი, ესა თუ ის სანახაობა და კონკურსი... ამაზე რას გვეტყოლოთ?

– დროული შეკითხვაა. ამას წინათ, ერთ-ერთ ტელეარხზე გამოაცხადეს, რომ ყველაზე ჭკვიანი ბავშვის გამოვლენას და ინგლისში გაგზავნას აპირებენ. გეკითხებით, რაგომ? ჩვენ საცდელი სადგური ვართ თუ სელექციური ლაბორატორია? რაგომ უნდა მოვამარაგოთ ჭკვიანი ბავშვებით ინგლისი? თუმცა, ისიც სკითხავი, ყველაზე ჭკვიან ბავშვს რა კრიტერიუმით არჩევენ. განა შეიძლება ერთ ადამიანს ყველაზე ლამაზი უწოდო? ეს ხომ სისულელეა.

საიდან გადმოიღეს ეს პროექტი? რისთვის კეთდება? პირადად ჩემთვის, გაუგებარია. ვთქვათ, ავირჩიეთ ყველაზე ჭკვიანი ბავშვი და საზღვარგარეთ გავაგზავნეთ. გეკითხებით, – საჩვენოდ აღარაფერი გვინდა? თუ ყველაზე ლამაზი და ჭკვიანია, მე დამანახე და შემაყვარე, ჩემთან დატოვე, რომ თავი მომწონდეს, ვამაყობდე ამ სიჭკვიანით და ამ სილამაზით.

რაც შეეხება სილამაზის კონკურსს, ეს სერიოზული პრობლემა და ცალკე საუბრის თემაა. მხოლოდ ერთს ვიტყოდი: – როცა ადამიანმა თავისი თავის ფასი და ადგილი არ იცის, იქ უკვე დაღუპულია ყველაფერი.

– რაგომღაც მივიწყებული მხაგვრის სახლი დღეს ისევ გაიხსენეს, ოღონდ სულ სხვა კონტექსტში – ეს ადგილი საპრივატიზაციო ნუსხამია შეტანილი...

– მხაგვრის სახლი 90-იანი წლების ცნობილ მოვლენებს შეეწირა, მთავრობის სახლის პირდაპირ მდგარი სულიერების კერა განადგურდა. ბევრს აღარც ახსოვს ეს შენობა.

სამწუხაროდ, იგი ხელისუფლების მეხსიერებიდანაც ამოვარდნილია. არ იციან და, ვგონებ, არც უნდათ გაიხსენონ, რომ ოდესღაც გვქონდა მხაგვრის სახლი – ეს ის ხელოვნებაა, რომლითაც კიდევ ერთხელ უნდა თავი მოვიწონოთ და ვიამაყოთ, ჩავეწეროთ მსოფლიოს კულტურულ ცხოვრებაში და ამით ჩვენი სახელმწიფოებრივი პოზიცია გამოვხატოთ.

ამის გამო რაგომ უნდა სჭირდებოდეს ბრძოლა თანამედროვე მხაგვრულ ინტელიგენციას და საზოგადოებას? სასამართლომ საკითხი მხატვრების სასარგებლოდ გადაწყვიტა, მაგრამ ეკონომიკის სამინისტროს მიერ იგი გასაყიდ ობიექტთა სიაშია შეტანილი. ათასჯერ მეტი შემოსავალი იქნება, თუ იგი თანამედროვე ხელოვნების ცენტრად გადაიქცევა. ამაზე დაფიქრება და სერიოზული განსჯა გვმართებს. ჩვენ ხშირად მრავალ შესაძლებლობას გონივრულად არ ვიყენებთ. წინასწარ უნდა დავფიქრდეთ და ყოველი ნაბიჯი ისე უნდა გადავდგათ, რათა ათი და ოცი წლის შემდეგ არ ვინანოთ!

ესაუბრა
თამარ შაიშმელაშვილი.

გვირეკავენ, გვეკითხებიან

მეუღლე გარდამეცვალა, ვარ 77 წლის. იმის გამო, რომ შვილები არ მყავს, ჩემი ერთოთახიანი ბინა ვაჩუქე დისშვილს, რომელიც ჩემთან არ არის ჩაწერილი და ცალკე ცხოვრობს. ვითვლები თუ არა მარგოხელად და მეკუთვნის თუ არა სოციალური დახმარება?

ნატალია ცერცვაძე.

სოციალური დახმარება ენიშნებაათ იმ მარგოხელა პენსიონერებისაგან შემდგარ ოჯახებს, რომლებიც პენსიას იღებენ 20 (დედაქალაქში – 21) ლარის ოღენობით და არ ჰყავთ კანონით ვალდებული მარჩენალი ამ უკანასკნელის საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად.

ვინაიდან თქვენ ბინას უგოვებთ დისშვილს, იმ შემთხვევაში თუ იგი შრომისუნარიანია, ვალდებულია იშრუნოს თქვენს მატერიალურ მდგომარეობაზე.

ასე რომ, მოქმედი კანონით ვერ იპოვებთ სოციალური დახმარების დანიშვნის უფლებას.

* * *

ვარ მარგოხელა პენსიონერი, ვიღებდი სოციალურ დახმარებას. გაჭირვებისა და ვალის გამო გავყიდე ბინა და დროებით ვცხოვრობ ნათესავთან. არსად არ ვარ ჩაწერილი. მეკუთვნის თუ არა სოციალური დახმარება და სად უნდა მივიღო?

დოდო კაკაბაძე.

ვინაიდან თქვენ არსად არ ხართ საცხოვრებლად რეგისტრირებული (მიუხედავად იმისა, რომ ითვლებით მარგოხელად), მოქმედი კანონით ვერ იპოვებთ სოციალური დახმარების დანიშვნის უფლებას.

თუ თქვენ ბინის გაყიდვის შემდეგაც, ფაქტობრივად ცხოვრობთ თბილისში ნათესავთან ან ქირით, საჭიროა, მიმართოთ რაიონის პოლიციის განყოფილებას სარეგისტრაციო ბარათის მოცემის თაობაზე.

აქვე განგიმარგავთ, რომ საცხოვრებლად თბილისში დადგენილი წესით რეგისტრაცია, დახმარების დანიშვნის საკითხს გადაწყვეტის დროს, უთანაბრდება ჩაწერას.

* * *

ვარ აფხაზეთის ომის II ჯგუფის ინვალიდი, დაავადებული შაქრიანი დიაბეტით.

გთხოვთ, განმიმარტოთ, მეკუთვნის თუ არა მედიკამენტები უფასოდ და რა დრო სჭირდება პოლისის აღებას?

ჯუმბერ კურტანიძე.

შაქრიანი დიაბეტით დაავადებული პირები მათთვის საჭირო მედიკამენტების უფასოდ მისაღებად აღრიცხვაზე უნდა დადგნენ პოლიკლინიკაში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ან ქალაქის ენდოკრინოლოგიურ დისპანსერში.

რაც შეეხება სამედიცინო დაზღვევის პოლისის აღების საკითხს, პოლისები გაიცემა უმწეო კატეგორიის მოქალაქეებზე და მათ სიას ადგენს რაიონის გამგეობის სოციალურ საკითხთა განყოფილება, რომელიც წლის ბოლოსათვის გადაეცემა სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს. შესაბამისი მონაცემების მქონე პირები სოციალურ საკითხთა განყოფილებიდან მიიღებენ ინფორმაციას პოლისის გაცემის დროის შესახებ და იქვე გადაეცემათ პოლისი.

* * *

ვარ ყოფილი რკინიგზელი, პენსია დანიშნული მაქვს 45 ლარის ოდენობით. გავიგე, რომ უნდა მოხდეს პენსიების გადაანგარიშება. შემეხება თუ არა მე, როგორც ყოფილ რკინიგზელს?

ანატოლი ბასილაშვილი.

ყოფილი რკინიგზელებისთვის პენსიების შესაძლო გადაანგარიშების შესახებ ზემდგომი ორგანოების მიერ მიღებული რაიმე ოფიციალური გადაწყვეტილება ჩვენთვის ცნობილი არ არის.

მომავალში თუ რაიმე სიახლე იქნება ამ მხრივ, დამატებით შეგატყობინებთ პრესის, რადიოს, ტელევიზიის და ჩვენი გაზეთის მეშვეობით.

ირინე ლლონტი.

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90; 93-28-54.

SOS

ვინ რეჟისორობს «აბსურდის თეატრს»?

ოფშორული ფირმები რუსთავის მეტალურგიულ კომბინატს იყოფენ და მეტალურგებს ძარცვავენ

არაერთი „სიგნალი“ ჩაძირვის შესახებ

2003 წლის თებერვალში სს „რმკ“-ს, იგალიურ კომპანია „ARES INTERNATIONALE“-ს, „VOEST-ALPINE IMPLANT“-სა და „VOST ALPINE-FUCH“-ს შორის საზეიმოდ გაფორმდა კონტრაქტი, რომლის თანახმადაც 18 თვეში უნდა დამზადებულიყო და „რმკ“-ში დამონტაჟებულიყო 21 მლნ ევროს ღირებულების კომპლექსი, რომელიც ყოველწლიურად აწარმოებდა 500 ტონა ფოლადს. ამის შედეგად უკვე 2003 წლის მარგში „ARES INTERHATIONALE“-მ, მიიღო კომბინატის ქონების 98 პროცენტიი, „რეაბილიტაციის ვეგმისა“ და „კრედიტორული დავალიანების გრაფიკის“ შესრულების პირობით.

ნანაგრი ქონების მიღებისთანავე ანექლა კორნამ სრულიად უმიზეზოდ ჩაშალა კონტრაქტი ფოლადსადნობი კომპლექსის მომწოდებელ ფირმებთან, ამჟამად კი ამტკიცებს, რომ არავითარი კონტრაქტი „VOEST-ALPINE“-სთან არ არსებობდა (მიუხედავად იმისა, რომ არსებობს შესაბამისი დოკუმენტური და ვიდეო მასალები), ჩამომორდა „LUCHINI“-ს სამრეწველო-საფინანსო ჯგუფს და დაიწყო მეტალურგიული კომბინატის მარტენული ღუმელების ჭრა და ასევე ტერიტორიაზე არსებული ჯართის მარაგისა და წარმოებისთვის საჭირო ჩარხ-დანადგარების მიზერულ, საბითუმო ფასებში გაგანა, შემდეგომი რეალიზაციისთვის.

კომბინატისთვის მნიშვნელოვანი ხელშეკრულების ჩაშლისა და საწარმოს ტერიტორიიდან ჯართის უკანონო გატანის წინააღმდეგ ხმა აღიმაღლა იმქამინდელმა დირექტორმა ნოდარ ღვამბერიამ, რომელსაც არასამუშაო პირობები შეუქმნეს და გარკვეული ფსიქოლოგიური ზეწოლით, აიძულეს კომბინატის დატოვება, მასთან ერთად შეამცირეს ან უხელფასო შვებულებებში გაუშვეს ცრუ-ინვესტორისთვის არასასურველი ასობით თანამშრომელი.

ვარდების რევოლუციამ დააფრთხო?!

შეეარწნა ამის რეჟიმის დროს ლეგალურად ძარცვავდნენ მეტალურგიულ კომბინატს, ყიდდნენ ჯართს და ძვირადღირებულ დანადგარებს. ვარდების რევოლუციას დაუფრთხნენ და ერთხანობას მოჰყვნენ მტკიცებას, რომ არც კომბინატის ჯართი გააქვთ და არც ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებები დავიწყებიათ, მაგრამ ფაქტია – კომბინატში „მოღვაწეობის“ 1,5 წლის განმავლობაში მათ არ შეუსრულებიათ ვეგმით გათვალისწინებული არც ერთი ვალდებულება, არ განუხორცილებიათ ინვესტიცია და დაკავებულნი არიან მხოლოდ საწარმოს ძარცვით.

რეაბილიტაციის ახალი ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, საინიციატივო ჯგუფები ახორციელებენ კონტროლს ჯართის გატანაზე, მაგრამ კომპანია „ITERHATIONALE“-მ არანახულად გააფართოვა კომბინატის გასაამხელოებული დაცვის რიგები და ამ თანამშრომლთა ბაბაზე ქმნის ჯართის დამჭრელთა ბრიგადებს, რომლებიც დღე და ღამე ძარცვავენ ქარხანას, რაც არალეგალურად ხორციელდება.

ვინ რეჟისორობს „აბსურდის თეატრს“?

ახლი რეაბილიტაციის მმართველის მოსელის შემდეგ „რმკ“-ს ხელმძღვანელობა თავის თავზე აიღო მოსკოველმა ალექსანდრე სერიოგინმა, რომელსაც უფლებამოსილება მიანიჭა თავად საეჭვო პიროვნებამ ანექლა კორნამ. კომბინატის რეაბილიტაციის საქმეში ასევე აქტიურად ჩაერთო ფირმა „METAL GROUP“-ის წარმომადგენელი ჯან კარლო ონჯისი.

2004 წლის 4 მაისს „რმკ“-ს აღორძინების სახელმწიფო კომისიის სხდომაზე ბაგონმა ჯ. ონჯისმა წარმოადგინა ახლადდაფუძნებული ფირმის „METAL GEO“-ს საქმიანობის სქემა, რომელიც მისი ვარაუდით ჩაენაცვლებოდა „რმკ“-ს. რეაბილიგაციის ახალმა ხელმძღვანელმა, გაეცნო რა ახალი რეაბილიგაციის პროგრამას, დაასკვნა, რომ პროგრამაში ახალი არაფერია, გარდა იმისა, რომ შემცირებულია მათ მიერ ნაკისრი ინვესტიციების მოცულობა 35 მლნ. დოლარით. შესაბამისად, პრეტენზიების უსაფუძვლობის გამო, „METAL GEO“-ს პროექტი დაიწუნეს.

იმის გამო, რომ ინვესტორმა ვერ ან არ უმრუნველყო ნაკისრი ვალდებულებები, „რუსთაველ მეტალურგიული კომბინატის“ რეაბილიტაციის ხელმძღვანელობამ 2004 წლის აპრილიდან 10 აგვისტოს ჩათვლით, მუშა-მოსამსახურეებს ხელფასის სახით გადაუხადა 71224 ლარი, ტრავმის პენსიონერებზე გასცა – 94922 ლარი, ასევე ბიუჯეტში გადაიხადა გარკვეული თანხა: დღგ – 643140 ლარი, სოციალური გადასახადი – 21260 ლარი, საშემოსავლო – 9836 ლარი.

ლოგიკურია, ჩნდება კითხვა – ვის აძლევს ხელს ასეთი ინვესტორის არსებობა კომბინატში და რა მაქინაციებით ახერხებს უკვე მართლაც საერთაშორისო მაქინაგორთა ნიღაბჩამოხსნილი ჯგუფი საწარმოს ქონების 98 პროცენტზე პრეტენზიების შენარჩუნებას? როგორც ჩანს, სახელისუფლებო სტრუქტურებს შერჩენილმა კორუმპირებულმა ჩინოვნიკებმა თავიდანვე გამიზნულად გამოიყენეს სწორედ ანექლა კორნას რუსეთელთა ჯგუფი და არა რომელიმე სხვა კომბინატის ვითომდა ინვესტორები. ისინი მათთან შეხმატკბილებულად ძარცვავენ კომბინატს.

ჩიხიდან მხოლოდ ხელისუფლების პრინციპული პოზიცია გამოგვიყვანს

2004 წლის 3 თებერვალს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას თაოსნობით შეიქმნა „რმკ“-სთან დაკავშირებული პრობლემების შემსწავლელი კომისია. კომისიის მასალებში სრულიად აისახა ის დანაშაულებრივი ქმედებები, რომლითა წყალობით რუსთავის მეტალურგია მოექცა არაკომპეტენტურ ფსევდოინვესტორთა ხელში. დღეისათვის ცდაზე უცხადესია, რომ ინვესტორმა, რომელიც არ ასრულებს აღებულ ვალდებულებებს, უნდა დაგოვოს საწარმო და უკანონოდ მიტაცებული ქონება დაუბრუნოს საქართველოს სახელმწიფოს.

სწორედ ამგვარი გადაწყვეტილება გამოიგანა 2004 წლის 29 იანვარს რუსთავის საოლქო სასამართლომ. ანალოგიური დასკვნა გააკეთა საოლქო სასამართლომაც, ამ გადაწყვეტილებათა საფუძველიანობა გაიზიარა უმენაესმა სასამართლომ. მაგრამ ხდება გაუგებარი რამ, უმენაეს სასამართლოში საბოლოო განჩინის გამოგანა ოთხჯერ გადაიდო და დღემდე ჭიანურდება. ათასობით უმუშევარი – უხელფასო-უპენსიო რუსთაველი მეტალურგის ბედი კი გაურკვეველია.

ამ გაზაფხულზე საქართველოს პრემიერი რუსთავში და ქარხანაში თავისი ყოფნის დროს დაპირდა, რომ მეტალურგებს მხარში ამოუდგებოდა, ყველაფერს იღონებდა წარმოების ასამოქმედებელად, რუსთაველთა სასიკეთოდ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შეიქმნა კიდევაც კომპეტენტური სამთავრობო კომისია, რომელმაც სამართლიანი დასკვნაც გააკეთა, ვაი-ინვესტორებმა ხელშეკრულების 10 პუნქტიდან არც ერთი არ შეასრულეს. დღეს მათი მიზნები ყველასათვის ცხადია. მათ ქარხნის ჯართად გაყიდვა და განადგურება გადაუწყვეტიათ.

კომბინატის რემილიგაციის მმართველთ მიაჩნიათ, რომ უმოკლეს დროში უნდა დადგწდეს კოლექტივის წინაშე დასმული პრობლემები. მიიღონ ალტერნატიული შემოთავაზებები თუნდაც რუსეთიდან, უკრაინიდან, თვით იტალიიდანაც და სხვა ქვეყნებიდან, მნიშვნელოვანი კაპიტალის მქონე წამყვანი ბიზნესმენებისგან. ტენდერი ჩატარდეს ღიად, დემოკრატიულად, სამართლიანად.

ვიმედოვნებთ, ქვეყნის ხელისუფლება დროულად მიიღებს გადამჭრელ ზომებს, რაათა წლის ბოლომდე საწარმოს დაუბრუნდეს 3 ათასამდე მეტალურგი.

გივი ჯახუა,
„სრ“ საკ. კორ.

რედაქციისგან: ეს წერილი მზად იყო, როდესაც მოგვაწოდეს ინფორმაცია, რომ რუსთაველებმა პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის სახელზე წერილი დაწერეს და 9 ათასამდე ხელმოწერა შეაგროვეს. მეტალურგები კომბინატის აქციების 10 პროცენტს ითხოვენ, როგორც ეს მონათესავე საწარმოებში განხორციელდა, მოითხოვენ ასევე ტენდერის ღიად ჩატარებას, და რეაბილიტაციის პროგრამის მხარდაჭერას, რაც კომბინატის უახლოეს დროში ამუშავებას ითვალისწინებს.

დასაწყისი იხ. „სრ“ № 213.

◎ რას წერენ, რას ამბობენ... ჩვენზე

ნიკოლოზ გლობინი,
თავდაცვითი ინფორმაციების ცენტრის რუსეთისა და აზიის პროგრამების დირექტორი.
„ნეზავისიმაია გაზეტა“, 13 სექტემბერი.

როგორც ბუში, ისე კერი მზად არიან მოჰკიდონ ხელი კავკასიის საკითხებს

მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების დედაქალაქებში გულმოდგინედ ადევნებენ თვალყურს ერთადერთ სუპერსახელმწიფოში მიმდინარე საპრეზიდენტო კამპანიას, ცდილობენ განსაზღვრონ, თუ მომავალში რა ცვლილებები იქნება მოსალოდნელი გლობალურ პოლიტიკაში და შეერთებულ შტატებთან ამ ქვეყნების ურთიერთობაში. ამავე დროს, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს რუსეთის ელიტა უგულებელყოფდეს ამერიკაში დანიშნულ არჩევნებს, რომელთა შედეგებმაც, ჩემი აზრით, შეიძლება მოახდინოს მნიშვნელოვანი გავლენა არა მარტო მსოფლიოში რუსეთის როლსა და ადგილზე, მის საერთაშორისო შესაძლებლობებზე, არამედ იმაზეც, თუ როგორ მიუდგება ვაშინგტონი თვით რუსეთში და მის უახლოეს გარემომცველ ქვეყნებში მიმდინარე ევოლუციას. ასეთი იგნორირება მცდარი ნაბიჯია და ამან შეიძლება მოულოდნელი შედეგები მოიტანოს რუსეთის ელიტისათვის.

ბუშმ და კერი, ტაქტიკურ საკითხებში მათი პოზიციების სიახლოვის მიუხედავად, საგარეო პოლიტიკის მოკლე და გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდებში ამერიკის ევოლუციის ორი განსხვავებული სტრატეგიული გზის მიმდევრები არიან.

ბუშმა, არსებითად, მოახდინა რევოლუცია, როცა საგარეო-პოლიტიკურ კონცეფციაში ძირითადი ყურადღება გაამახვილა ძალაზე. ბუშის ასეთი მიდგომის სიახლე არ გამოიხატება შეშლილი სუპერენტეგით ან პრევენტიული დარტყმის მიყენებით. ორივე ეს ელემენტი იმის შემადგენელი ნაწილი იყო, რასაც დასავლეთი ჯერ კიდევ 3,5 ათეული წლის წინათ უწოდებდა „პრევენციის დოქტრინას“. ძირითადი ყურადღება გამახვილებულია ამერიკის შეერთებული შტატების ინდივიდუალურ ძალაზე. თანაც, ახლა აქცენტი უფრო ეგოისტური და ცალმხრივია, ვიდრე ეს ხდებოდა რეიგანის მმართველობის წლებში, რომელსაც აზრადაც კი არ მოუვიდოდა აგლანგიკათშორისი ალიანსის პოზიციების შერყევა.

ჯონ კერიც სწორედ იმას მოითხოვს, რომ ხელი აიღონ ამ იდეაზე. მისი საგარეო-პოლიტიკური დოქტრინა ეფუძნება ფართო საერთაშორისო თანამშრომლობის მეშვეობით ამერიკის, როგორც ლიდერი სახელმწიფოს როლის უმრუნველყოფას. და ეს უნდა მოხდეს მსოფლიოზე არა სამხედრო და ფინანსური ზემოქმედების, არამედ მსოფლიოს, ასე ვთქვათ, „რბილი ამერიკანიზაციის“ გზით, რაც განხორციელდება კოოპერაციის, პარტნიორობის, ამერიკასთან კავშირში რაც შეიძლება მეტი სახელმწიფოს მოზიდვის გზით. ანუ ქვეყნების გლობალური ქსელის შექმნის მეშვეობით, რომელიც დაეფუძნება ლიბერალურ ამერიკულ ღირებულებებს. სწორედ ასეთმა მიდგომამ აქცია ამერიკა მსოფლიოს ლიდერსახელმწიფოდ.

ეს სხვაობა ძალზე მნიშვნელოვანია რუსეთისათვის. ბუში რუსეთს, პუტინს, პოზიტიურად ეკიდება, მაგრამ მისი პრაქტიკაში სადღეისოდ დანერგილი „მოქნილი კოალიციების“ კონცეფცია, რომლებიც იქმნება კონკრეტული პრობლემების გადასაჭრელად. რამდენიმე ასეთ კოალიციაში დღეს რუსეთიც შედის. მსოფლიოს დემოკრატიზაცია ძალის გამოყენებით არის ამერიკელ ნეოკონსერვატორთა „პრაგმატიზმის“ არსი, თუმცა, უკეთესი იქნებოდა, თუ ამ ადამიანებს ვუწოდებდით „დემოკრატ-ლგლობალისტებს“ ან თვით „ნეოიმპერიალისტებსაც“ კი. ბუშის ახალი ვადით არჩევა სულაც არ დასახავს ორმხრივი ურთიერთობის აყვავების გარანტიებს.

კერის არჩევის შემთხვევაში კი ცვლილებები გარდუვალი იქნება. კერის გუნდისათვის რუსეთი, ისევე როგორც ყოფილი სსრ კავშირის სხვა ქვეყნები, მნიშვნელოვანია როგორც სტრატეგიული მოკავშირეები, რომლებიც აღიარებენ მსოფლიოში ამერიკის შეერთებული შტატების წამყვან როლს, იზიარებენ დემოკრატიულ ღირებულებებსა და პროცედურებს და უწყობენ ხელს მათ გავრცელებას. ამასთან, კერის თავისუფლად შეუძლია თქვას უარი რუსეთთან ამჟამინდელ თანამშრომლობაზე ამა თუ იმ ტაქტიკურ საკითხში, ორმხრივი ურთიერთობა, შესაძლოა, კიდევ უფრო გაღარიბდეს. მაგრამ სტრატეგიული თვალსაზრისით, ამერიკელი დემოკრატები აქტიურად იბრძოლებენ რუსეთის დემოკრატიზაციისათვის, დასავლეთში მისი ინტეგრაციისათვის, რათა იგი გაიხადონ კიდევ ერთ გრძელვადიან მოკავშირედ.

ბუში, როგორც წესი, რუსეთის, მისი პრეზიდენტის მხარეზე იყო. კერი დადგება დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და სიტყვის თავისუფლების მხარეზე. თავის დროზე ბუშმა დაადანაშაულა კლინტონი იმაში, რომ მან თავისი სახელი არ უწოდა იმას, რაც ხდებოდა ელცინსდროინდელ რუსეთში და ამით იქ დაუშვა ფანტასტიკური კორუფციის აყვავება. დღეს კი, კერი ამაშივე ადანაშაულებს ბუშს, მაგრამ კორუფციის ნაცვლად, რომელსაც ვაშინგტონში მიიჩნევენ იმ ბოროტებად, რომლის დამარცხებაც რუსეთში შეუძლებელია, წინა პლანზე წამოიწია პუტინის პოლიტიკამ. კერის გუნდი ყოველივე იმას, რაც დღეს რუსეთში ხდება, უფრო კრიტიკულად ეკიდება, ვიდრე ამჟამინდელი თეთრი სახლი, რომელსაც, თავის მხრივ, რუსეთი სჭირდება მხოლოდ ტროროიზმის წინააღმდეგ სპრძოლველად, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების აღსაკვეთად და, ნაწილობრივ, ენერგეტიკული ბაზრის სტაბილიზაციისათვის.



სუბიექტური დამოკიდებულება არ გახლავთ შეერთებული შტატების საგარეო-პოლიტიკური სტრატეგიის ნაწილი. რუსეთი ამერიკელი ნეოკონსერვატორებისათვის არ არის სტრატეგიული მოკავშირე იმის მიუხედავადაც კი, რომ ამ ორი ქვეყნის პრეზიდენტებს ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა აქვთ. თუმცა, ტაქტიკური, რეგიონით, დროით ან თემატიკის შეზღუდული თანამშრომლობა იქნებ სასარგებლოც კი იყოს. რუსეთი, და მარტო იგი არა, ამერიკის ამჟამინდელი ელიტისთვის არის ტაქტიკა, რომელშეც უარის თქმა ნებისმიერ წუთს შეიძლება. მაგალითად, იმავე ბუშის მეორე ვადით არჩევის დროსაც კი, ვაშინგტონი მოსკოვს არ მისცემს არანაირ დაპირებებსა და გარანტიებს, ლაპარაკი შეუძლებელი იქნება „სპეციალურ ურთიერთობებზე“. სწორედ ეს არის ამერიკის მიღწეულია კონსენსუსი იმის შესახებ, რომ მთლიანად განიცადა კრახი ამა თუ იმ ორგანიზაციაში რუსეთის „დაჩქარებული მიღების“ პოლიტიკამ (ბევრს ჰქონდა იმის იმედი, რომ რუსეთი მოგვიანებით მაინც დაკმაყოფილებდა ასეთ ორგანიზაციებში გაწევრიანებისათვის საჭირო ყველა კრიტერიუმს), „დიდ შეიდეულში“ კლინტონმა მიიწვია რუსეთი და ეს იყო თავისებური ავანსი დემოკრატი ელცინისათვის. თეთრ სახლს სწამდა, რომ რუსეთი დემოკრატიის გზაზე იდგა და ელიტურ კლუბში მისი მიღება გახდებოდა თავისებური სტიმული და მადლიერების გამოხატულება რუსეთის მიერ გაღებული ძალისხმევისათვის. თითქმის ასეთივე მოსაზრება გამოითქვა ნატოში, ევროკავშირსა და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის მიღების შესახებ. ყოველივე ამას უწოდებდნენ მსოფლიო გაერთიანებაში რუსეთის ჩაბმის პოლიტიკას.

შედეგები აშკარად დიამეტრულად საწინააღმდეგო იყო. რუსეთის ამჟამინდელ ისტებლიშმენტს ეგრეთ წოდებულ „რვა დიდი სახელმწიფოს კლუბში“ ქვეყნის მონაწილეობა, რომელიც ვერც ეკონომიკური და ვერც პოლიტიკური თვალსაზრისით ვერ აკმაყოფილებს ამ კლუბის წევრობისათვის საჭირო პირობებს, მიაჩნია რუსეთის კანონიერ უფლებად, რაც შეერთებულ შტატებში დიდ გაკვირვებას იწვევს. ზოგიერთი იმასაც კი აცხადებს, რომ ეს შეცდომა სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს. „ჩაბმის“ პოლიტიკაზე ვაშინგტონი უარს არ იგყვის, მაგრამ რუსეთის მიღება დასავლეთის ორგანიზაციებში ახლა მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ მოსკოვი მთლიანად დაკმაყოფილებს ასეთი გაწევრიანებისათვის საჭირო კრიტერიუმებს.

ამერიკაში არჩევნების დასრულების შემდეგ, რუსეთის საგარეო პოლიტიკა აუცილებლად გახდება მკაცრი კრიტიკის ობიექტი. განსაკუთრებით ეს შეეხება სამხრეთ ოსეთში შექმნილ ვითარებას და რუსეთის მოქმედებას ყოფილი სსრ კავშირის ტერიტორიაზე სხვა „გაყინულ კონფლიქტებში“ – აფხაზეთში, მთლიან ყარაბაღში, დნესტრისპირეთში და ა. შ. ვაშინგტონში შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ კავკასია კვლავ არასტაბილურია, რუსეთის მრავალწლიანმა სამხედრო და პოლიტიკურმა ყოფნამ იქ ვერ მოახდინა მასტაბილიზებელი ზემოქმედება, ისეთი, რომელსაც თავის დროზე, პირდებოდა იგი ყველა მხარეს.

ამასთან დაკავშირებით, აქ იბადება სამი კითხვა. ჯერ ერთი, მოსკოვი ყოველთვის კისრულობს მთავარ როლს ყოფილი სსრ კავშირის ტერიტორიაზე წამოჭრილი კონფლიქტების მოგვარების საკითხში. ამავე დროს, სწორედ მოსკოვზეა ხშირად უშუალოდ დამოკიდებული ამა თუ იმ კონფლიქტში ახალი მოთამაშეების, მაგალითად გაეროს, ეუთოს, შეერთებული შტატების, ევროკავშირის ან ნატოს ჩაბმა. კიდევ რამდენ ხანს გაგრძელდება ასეთი სიტუაცია? რატომ კისრულობს მოსკოვი ასეთ როლს და რამდენად ეფექტიანად შეუძლია მისი შესრულება, თუ გავითვალისწინებთ გაჭიანურებულ კონფლიქტს ჩეჩნეთში, რუსეთის არმიის ბრძოლისუნარიანობის დონეს, თვით რუსეთში დემოკრატიის დეფორმაციასა და სხვა?

მეორე. მოსკოვი მუდამ ილაშქრებს ყოფილი სსრ კავშირის ტერიტორიაზე კონფლიქტების მოგვარების საქმეში ძალისხმევის ინტერნაციონალიზაციის წინააღმდეგ. მაგალითად, საქართველოში ამჟამად მხოლოდ რუსი მშვიდობისმყოფელები არიან, მაშინ, როცა კერის გუნდში დღეს, მაგალითად, ამუშავებენ საქართველოში სამშვიდობო ფუნქციების გაეროს ძალებისათვის გადაცემის იდეას. დათანხმდება კი რუსეთი მოვლენების ასეთ განვითარებას, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სხვა კონფლიქტურ რეგიონებში, მაგალითად ერაყში, იგი დაკანონებით მოითხოვს ძალისხმევის ინტერნაციონალიზაციას, გაეროს მონაწილეობას ძირითადი და ყველაზე ლეგიტიმური ძალის სახით?

და ბოლოს, მესამე. რუსეთი სიტყვით კი უჭერს მხარს სახელმწიფოთა ტერიტორიულ მთლიანობას, მაგრამ საქმით ხელს უწყობს ამიერკავკასიის დანაწევრებას. იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ რუსეთის პოლიტიკურ ელიტას გაცილებით მეტად აძლევს ხელს რეგიონში ამჟამინდელი სტატს-კვო, ვიდრე საქართველოს პრობლემების ფუნდამენტური გადაჭრა. ჩეჩნეთში მოსკოვი ყველაზე გადამჭრელი მეთოდებით უმრუნველყოფს თავის ტერიტორიულ მთლიანობას და არანაირ ტოლერანტულობას არ იჩენს ნებისმიერი სეპარატისტული ტენდენციების მიმართ. ეს არა მარტო მოგვაგონებს ყბადაღებულ ორმაგ სტანდარტებს, რომლებშიც სხვების დადანაშაულება ძალზე უყვართ კრემლში, არამედ ხელსაც უშლის მთელი რეგიონის სტაბილიზაციას. უფრო მეტიც, მთლად გასაგები არ არის, რას ეხება საქმე – თბილისისაგან სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობასა და საქართველოს შემადგენლობიდან მის იურიდიულ გამოსვლას, თუ რუსეთში ამ რეგიონის თანამიმდევრულ ინტეგრაციას, რასაც მოსკოვი ფაქტობრივად უწყობს ხელს, როცა შუამავლიდან ერთ-ერთი მხარის სასარგებლოდ მოქმედ აქტიურ მონაწილედ გადაიქცა. სიტუაციის ასეთი განვითარება მიუღებელია და ძალზე საშიშია.

იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ რუსეთს კავკასიაში კონფლიქტების მოგვარება მხოლოდ თავისი პიროპებით სურს. იგი ესწრაფვის იმას, რომ რეგიონში დარჩეს ყველაზე დიდ მოთამაშედ და ყოველმხრივ შეუძლის ხელს იქ თავისი ტოლფასი, ან უფრო ძლიერი პარტნიორების გამოჩენას, რომლებიც არა მარტო შეუწყობენ ხელს კონფლიქტის მოგვარებას, არამედ ძირსაც გამოუთხრიან რუსეთის დომინირებას. კერის გუნდს მიაჩნია, რომ სამხრეთ ოსეთში ძალზე დიდია რუსეთის როლი, მაგრამ იგი მონოპოლიური არ უნდა იყოს. საქართველოს სჭირდება სხვა პარტნიორებიც, რომლებიც შეძლებენ პოზიციურად დაუბალანსონ ან შეშფოთონ რუსეთის გავლენა. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისათვის რუსეთის მოქალაქეობის მასობრივი მინიჭება კიდევ უფრო ართულებს კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოწესრიგებას. ეს ქმნის უამრავ წმინდა იურიდიული ხასიათის პრობლემას – საგადასახადო შესაგანებით და ადგილობრივი ხელისუფლების ლეგიტიმურობით დაწყებული და თავდაცვითი და სოციალური უზრუნველყოფით დასრულებული, რამაც, შესაძლოა გამოიწვიოს სამართლებრივ ჩიხში შესვლა. გარდა ამისა, ეს კიდევ უფრო აძლიერებს დასავლეთის ეჭვს რუსეთის დოკუმენტების მიმართ. რუსეთის პასპორტი ვაშინგტონისთვის არ არის ის დადასტურება, რომ ესა თუ ის ადამიანი ნამდვილად რუსეთელია.

შეერთებულ შტატებში საკმაო შეშფოთებას იწვევს საქართველოს ახალგაზრდა ხელმძღვანელობა. თუმცა ვაშინგტონში კარგად აქვთ შეგნებული, რომ სეპარატიზმის წინააღმდეგ ბრძოლა საკაშვილისთვის არის სავალდებულო პირობა იმისთვის, რომ მან მოიპოვოს რეალური ლეგიტიმურობა საკუთარ მოსახლეობაში, რაც აუცილებელია საქართველოში არსებული სხვა პრობლემების, მაგალითად, ეკონომიკური პრობლემების გადასაჭრელად. ქვეყნის ერთიანობისათვის ბრძოლაში საკაშვილს შეუძლია გახდეს არა უბრალოდ პრეზიდენტი-სახელმწიფო მოხელე, არამედ ერის ლიდერიც. თუმცა, ამის გაკეთება მას შეუძლია ნაკლები აგრესიულობით და იმპულსურობით.

მიხელ სააკაშვილს ვაშინგტონში არავინ აღიქვამს ეგრეთ წოდებულ „ამერიკელების კაცად“. ვაშინგტონის მხარდაჭერის მისაღებად მან უნდა დაამტკიცოს, რომ აშენებს არა უბრალოდ ერთიან, არამედ დემოკრატიულ საქართველოს, და რომ ქვეყნის მთლიანობა არის არა თვითმიზანი, არამედ მხოლოდ სამუალება ამის მიღწევისათვის. ეს სავალდებულო პირობაა.

მოსკოვისთვის, ისევე როგორც კავკასიის სხვა ქვეყნებისთვის, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს სახით ჰყავდეს დამოუკიდებელი, ერთიანი, დემოკრატიული და მეგობრულად განწყობილი მეზობელი. ამისათვის ხელის შეშლის ნებისმიერ მცდელობას ვაშინგტონში ნეგატიურად აღიქვამენ განსაკუთრებით მაშინ, თუ თეთრ სახლში ახალი პრეზიდენტი მოვა. იმ პირობებში, როცა ამერიკა-რუსეთის ურთიერთობა, არსებითად, დავიდა მესამე ქვეყნების გამო კონფლიქტამდე, მოვლენათა ასეთი განვითარება, რა თქმა უნდა, სიკეთეს არ მოუტანს რუსეთს.

მოამზადა
სიმონ კილაძემ.

შეერთებული შტატების ნატირებთან იპოვეს თერმობირთვული ბომბი

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების წარმომადგენლები ამჟამად ამოწმებენ ინფორმაციას, რომლის თანახმადაც ჯორჯიის ნატირებთან იპოვეს ჯერ კიდევ 1958 წელს დაკარგული ბირთვული ბომბი, რომლის სიმძლავრე 100-ჯერ აღემატება 1945 წელს ჰიროსიმაში ჩამოგდებულ ბომბისას.

სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ ბომბი საშიში არ არის. ეს სასწაველო ბომბია, რომელსაც არა აქვს პლუტონიუმის დეგონაგორი, რაც მთლიანად გამორიცხავს თერმობირთვული აფეთქების საშიშროებას. თუმცა სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ბომბი, ურანის გარდა, 200 კილოგრამ ასაფეთქებელ ნივთიერებასაც შეიცავს.

მკვლევართა ჯგუფმა ბომბი შემოხვევით აღმოაჩინა – ძლიერი რადიაქტიური გამოსხივების წყალობით. ჯერჯერობით ოფიციალურად არ დადასტურებულა, რომ მკვლევარების მიერ ნაპოვნი ობიექტი ნამდვილად არის „მარკ-15“ დაკარგული ბომბი, თუმცა, პენტაგონელ სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ეს ასე უნდა იყოს.

ბომბის დაკარგვასთან დაკავშირებული ინციდენტი მოხდა 1958 წლის 5 თებერვალს ჯორჯიის ნატირებთან. წარმატებული საწვრთნელი ფრენის შემდეგ, „ბ-47“ ბომბამშენი ბაბაში ბრუნდებოდა. აეროდრომთან მიფრენისას ბომბდამშენი შეეჯახა „ფ-86“ ავიაგამანადგურებელს. ავიაგამანადგურებლის პილოტმა შეძლო კატაპულტირება, მაგრამ მისი თვითმფრინავი ზღვაში ჩავარდა. ბომბდამშენი სერიოზულად დაზიანდა, თუმცა, შეძლო ბაზამდე მიფრენა. თვითმფრინავის დაჯდომის რამდენიმე უშედეგო მცდელობის შემდეგ, ეკიპაჟმა გადაწყვიტა ბომბი თავიდან მოეშორებინა, რადგან ცეცხლმოდებული თვითმფრინავის დასმა, რომელსაც ორი ცენტრი ასაფეთქებელი ნივთიერება გადაჰქონდა, ძალზე საშიში იქნებოდა. ბომბი ზღვაში ჩააგდეს. მას 10 კვირის განმავლობაში ეძებდნენ, მაგრამ უშედეგოდ.

ამჟამად წყდება ბომბის ევაკუაციის საკითხი. იგი ოკეანის ფსკერზე ჩაფლულია ტალახის 15-მეტრიან ფენაში. შესაძლოა, ბომბი დაგოვონ ფსკერზე, რადგან მისი ხმელეთზე ამოღანის და შემდგომი უგილიზაციისათვის გამიზნული ოპერაცია, სავარაუდოდ, რამდენიმე მილიონი დოლარი დაჯდება.

აღსანიშნავია, რომ „ცივი ომის“ წლებში ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულმა ძალებმა დაკარგეს 11 ბირთვული ბომბი.

უზბეკეთიდან ურანი საიდუმლოდ გაიტანეს რუსეთში

ამერიკის შეერთებული შტატების ენერგეტიკის სამინისტრო იგყობინებოდა, რომ განხორციელდა უზბეკეთიდან რუსეთში გამდიდრებული ურანის გატანის საიდუმლო ოპერაცია.

11 კილოგრამი ბირთვული სათბობი გაიტანეს აგომური ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს ექსპერტების მეთვალყურეობით. ოპერაცია განხორციელდა 9 სექტემბერს, თუმცა, ამის შესახებ მხოლოდ ახლა განაცხადეს.

გაშკენტის აეროპორტში ურანი ჩატვირთეს თვითმფრინავში და გადაიტანეს რუსეთის ქალაქ დიმიტროვგრადის დაცულ ობიექტში, სადაც რუსი სპეციალისტები მას გადაამუშავებენ ისე, რომ ურანის გამოყენება ბირთვული ბომბის დამზადებისთვის უკვე შეუძლებელი იქნება.

თავდაპირველად, გამდიდრებული ურანი უზბეკეთში ჩაიტანეს ტაშკენტის მახლობლად მდებარე 10 მეგავატი სიმძლავრის მრავალმიზნობრივ კვლევით რეაქტორში გამოყენებისათვის.

მაგატეს ექსპერტების გარდა, ამ ოპერაციას თვალყურს აღევნებენ ამერიკის ენერგეტიკის სამინისტროს წარმომადგენლებიც, რომლებიც ირჩევიან, იმისთვის, რომ მსოფლიოში მაქსიმალურად შემცირდეს ცუდად დაცული რადიაქტიური მასალების რაოდენობა.

როგორც ამერიკის შეერთებული შტატების ენერგეტიკის მინისტრმა სპენსერ აბრაჰამმა აღნიშნა, მიმდინარე წლის თებერვალში ეროვნული თავდაცვის უნივერსიტეტში გამოსვლისას, პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა განაცხადა, რომ ამერიკისთვის, ისევე როგორც მსოფლიოს ნებისმიერი სხვა ქვეყნისთვის, ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენს ბირთვული, რადიოლოგიური, ქიმიური და ბიოლოგიური ტერაქტი.

ურანის გამოტანა უზბეკეთიდან არის რუსეთის მონაწილეობით განხორციელებული მეხუთე ასეთი ოპერაცია. გასული წლის განმავლობაში ამერიკის შეერთებული შტატების ენერგეტიკის სამინისტრომ ბულგარეთიდან, რუმინეთიდან და ლიბიიდან რუსეთში დაბარუნა 48 კილოგრამი უხვადგამდიდრებული ურანი.

ამერიკაში ლეგალიზებულია კალაშნიკოვის ავტომატი

შეერთებულ შტატებში ამოიწურა პრეზიდენტის ბრძანებულების მოქმედების ვადა, რომელიც სამოქალაქო პირებს უკრძალავდა საიერიშო იარაღის ფლობას.

ახლა ამერიკელებს კვლავ ექნებათ შესაძლებლობა, სავსებით კანონიერად, იქონიონ სახლებში კალაშნიკოვის სისტემის ავტომატის ან უზის ტიპის პისტოლეტ-ავტომატიც.

აკრძალვა დაიწესა 1994 წელს შეერთებული შტატების მაშინდელმა პრეზიდენტმა კლინტონმა ამერიკის სკოლებსა და რესტორნებში მომხდარი ტრაგიკული ინციდენტების მთელი სერიის შემდეგ, რომელთა დროსაც გამოიყენეს საიერიშო იარაღი.

ამ აკრძალვის წინააღმდეგ აქტიურად იბრძოდნენ იარაღის მწარმოებელი კომპანიები, რომლებიც, ტრადიციულად, მხარს უჭერენ შეერთებული შტატების რესპუბლიკურ პარტიას.

პრეზიდენტმა ბუშმა განაცხადა, რომ იგი მხარს უჭერს საიერიშო იარაღის ფლობაზე შემოღებულ აკრძალვას, თუმცა, არ უცდია კონგრესი დაერწმუნებინა ამ აკრძალვის მოქმედების ვადის გახანგრძლივებას აუცილებლობაში.

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ამერიკელთა უმრავლესობა მხარს უჭერს საიერიშო იარაღზე დაწესებული აკრძალვის ვადის გახანგრძლივებას, პოლიციის ზოგიერთმა ხელმძღვანელმა თანამშრომელმაც ასევე გამოთქვა შეშფოთება აკრძალვის ვადის ამოწურვის გამო.

შეერთებული შტატების პრეზიდენტობის კანდიდატმა დემოკრატიული პარტიისაგან ჯონ კერიმ მკაცრად გააკრიტიკა პრეზიდენტ ბუშის პოლიტიკა და განაცხადა, რომ ბუშმა იარაღის ფლობის ინტერესები პოლიციისა და დაღუპულთა ნათესავების ინტერესებზე მაღლა დააყენა.

კერიმ აღნიშნა, რომ საარჩევნო კამპანიის დროს წამოჭრის საიერიშო იარაღის ფლობის აკრძალვის საკითხს.

თურქეთი ამერიკელებს დახმარების შეწყვეტით ემუქრება

თურქეთი აცხადებს, რომ შეწყვეტს ამერიკელებთან თანამშრომლობას ერაყში, თუ შეერთებული შტატები კვლავ განაგრძობს შეტევითი ოპერაციების განხორციელებას ჩრდილოეთ ერაყის ქალაქ თალაფარის მახლობლად. ანკარა შეშფოთებულია იქ მცხოვრები თურქმანების ბედით. ერაყის ამ ნაწილში განხორციელებული რეიდების დროს რამდენიმე ადამიანი უკვე დაიღუპა.

ამერიკელთა და ერაყელთა ჯარებმა გასულ კვირას დაიწყეს თალაფარზე შეტევის დიდმასშტაბიანი ოპერაცია. როგორც ეჭვობენ, იქ თავს აფარებენ უცხოელი დაქირავებულები, რომლებიც ერაყში სირიიდან შემოვიდნენ.

თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მოუწოდა ამერიკის შეერთებულ შტატებს შეწყვიტოს ოპერაცია. „იქ მარალდება მშვიდობიანი მოსახლეობა, რაც ყოველად დაუშვებელია“, – განაცხადა თურქეთის საგარეო-პოლიტიკური უწყების მეთაურმა აბდულა გიულმა.

მან დასძინა, რომ ოპერაცია თუ კვლავ გაგრძელდება, „თურქეთის დახმარება ერაყის საკითხებში მთლიანად შეწყდება“.

თურქეთი ამერიკის შეერთებული შტატების მნიშვნელოვანი მოკავშირეა მუსლიმანურ სამყაროში. ამიტომ, ამერიკის შეერთებული შტატებისა და თურქეთის თანამშრომლობის შეწყვეტას, შესაძლოა, განუჭერეტელი შედეგები მოჰყვეს.

მოკლედ

ერაყის დედაქალაქიდან იგყობინებიან, რომ სამშაბათს დილით, ბაღდადის ცენტრში, პოლიციის უბნის მახლობლად ამოქმედდა ავტომობილში დადებული ასაფეთქებელი მოწყობილობა.

ზოგიერთი მონაცემით, დაიღუპა სულ ცოტა 39 კაცი. დაჭრილთა რიცხვი 80-ს აღემატება, იგყობინებოდა „ასოშიეიტედ პრესის“ სააგენტო.

აფეთქების შემდეგ გაჩნდა სამი მეტრი დიამეტრის ორმო.

პოლიციის უბანთან შეიკრიბა მრავალი ადამიანი, რომლებსაც სურთ ჩაწერა წესრიგის დამცველთა რიგებში.

აფეთქება მოხდა ბაღდადის ჰაიფის ქუჩის რაიონში. ქალაქის ეს უბანი სადამ ჰუსეინის მომხრეებით არის დასახლებული. კვირას ბაღდადის ამ რაიონში რამდენიმე შეიარაღებული შეტაკებაც მოხდა.

* * *

ბრიტანულმა გამეთმა „სანმა“ ბესლანის გრაგედიის მსხვერპლთათვის შეაგროვა 615 ათასი გირვანქა სტერლინგი (მილიონ 104 ათასი ამერიკული დოლარი). გაზეთ „სანის“ აქციაში მონაწილეობენ არა მარტო რიგითი მკითხველები, არამედ ცნობილი მუსიკოსები, სპორტსმენები და პოლიტიკოსებიც – ტონი ბლერი, დევიდ ბექჰემი, პოლ მაკარტნი, უილიანგი, მარაია კერი და სხვები.

* * *

ნიუ-იორკში იხსნება გაეროს გენერალური ასამბლეის 59-ე სესია. საერთო-პოლიტიკური დისკუსია გაიმართება 21 სექტემბრიდან 1 ოქტომბრის ჩათვლით. მასში მონაწილეობას მიიღებენ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში, კანადის, საფრანგეთისა და შვედეთის მთავრობათა მეთაურები, გაეროს წევრ-სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა მინისტრები.

* * *

იასერ არაფატის დეპორტაცია ან ლიკვიდაცია შეუძლებელია, მიაჩნია ისრაელის პარლამენტის წევრს მმართველი პარტიის „ლიკუდისაგან“, ისრაელის პრემიერ-მინისტრის ვაჟს ომრი შარონს. თუ მოხდება არაფატის ლიკვიდაცია, მის ადგილს დაიკავებს ახალი ლიდერი, რომელიც საც მაშინათვე დაადანაშაულებენ ისრაელია თანამშრომლობაში, აღნიშნა ომრი შარონმა.

* * *

ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩაიყვანეს ერაყელი მოზარდი, რომელიც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს დაეხმარა თავისი მამის დაპატიმრებაში. ბიჭმა განაცხადა, რომ მამა აიტულებდა მიეღო მონაწილეობა კოალიციის ძალების წინააღმდეგ შეიარაღებულ თავდასხმებში. ამ ინფორმაციის საფუძველზე ამერიკელებმა დააპატიმრეს მოზარდის მამა და კიდევ რამდენიმე კაცი, რომლებსაც ჩამოართვეს იარაღი.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა
ზაზა ბეჟანიძემ.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 214, ოთხშაბათი, 15 სექტემბერი, 2004 წელი.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, ქ. თბილისი, 0160 გაგარინის ქ. 29 ა, საქართველოს ეროვნული ბანკი, ანგარიშის №115700598, კოდი 220101107, აცხადებს ღია ტენდერებს სამუშაოების შესასყიდად შემდეგ ობიექტებზე:

- სენაკი-ნოქალაქევი-ბანძა-ხონის საავტომობილო გზის 33-ე კმ-ზე მდ. ცხენისწყალზე არსებული სახიდე გადასასვლელის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- მცხეთა-ყამბეგი-ლარსის საავტომობილო გზის 118-ე კმ-ზე მდ. ტერხერაზე არსებული ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- თბილისი-კოჯორი-წალკა-ნინოწმინდას საავტომობილო გზის კმ. 28, კმ. 32 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ. 16 – კმ. 28 მონაკვეთის პერიოდული შეკეთების სამუშაოები (ლოტი – 2), ხელოვნური ნაგებობები, გზის კუთვნილება და მოწყობილობა

და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

დაინტერესებულ პირებს გასაწევი სამუშაოების აღწერის გაცნობა შეეძლებათ საავტომობილო გზების დეპარტამენტის შესყიდვების სამმართველოში.

2. მიწოდების ვადა (ეტაპები) ყოველ კონკრეტულ ობიექტებზე განსაზღვრება პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილ სამუშაოთა შესრულების გრაფიკის მიხედვით.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ **01.10.04-ის 18 სთ-მდე.** ორ ეგზემპლარად შემდეგ მისამართზე: საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, 13 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობას სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ბ) ცნობას საქართველოს ნოგარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობას შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

4.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობას შსს-დან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) შესაბამისი ლიცენზია.

4.4. გარდა ამისა, საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდნენ შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

– მონაწილის იურიდიული სტატუსი (ასლის დართვით); რეგისტრაციის აღგილი; მოღვაწეობის ძირითადი აღგილი; წესდება; საგენდერო წინადადების ხელისმოწერისათვის გაცემული მინდობილობა (დართეთ).

– ინფორმაცია ბოლო 3 წელიწადში ანალოგიური ხასიათის შესრულებული სამუშაოების კონკრეტულ ობიექტებზე წლიური შესრულების ჩვენებით.

წელი	ობიექტის დასახელება	დამკვეთის დასახელება	შესრულებული სამუშაოს ტიპი	შესრულება (ლარი)
(და ა.შ.)				

– სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო მანქანა-მექანიზმები ობიექტების მიხედვით:

- **სენაკი-ნოქალაქევი-ბანძა-ხონის საავტომობილო გზის 33 კმ-ზე მდ. ცხენისწყალზე არსებული სახიდე გადასასვლელის სარეაბილიტაციო სამუშაოები.**

№	მანქანა-მექანიზმების დასახელება და აღწერილობა	საჭირო რაოდენობა (ცალი)	საკუთარი, ოქარით, აღებული ვიზგან
1	2	3	5
1	ასფალტგადამგები	1	
2	ამწე ტვირთამწეობით 16ტ	1	
3	ბულდოზერი სიმძლავრით 79 კვტ	1	
4	სამტვრევი ჩაქუჩები	2	
5	ვიბრაციული ნაჭრის მოგ. 0.5მ3	1	
6	მიქსერი	1	
7	ავტოთვითმცლელები ტვირთამწეობით 7-10 ტ.	3	
8	ბორტიანი ავტომანქანა	2	

- **მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის საავტომობილო გზის 118-ე კმ.-ზე მდ. ტერხერაზე არსებული ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები**

№	მანქანა-მექანიზმების დასახელება და აღწერილობა	საჭირო რაოდენობა (ცალი)	საკუთარი, ოქარით, აღებული ვიზგან
1	2	3	4
1	ასფალტგადამგები	1	
2	ამწე ტვირთამწეობით 16ტ	1	
3	ბულდოზერი სიმძლავრით 79 კვტ	1	
4	კომბრესორი (ბოძრავი)	1	
5	სამტვრევი ჩაქუჩები	1	
6	სატკეცნი პნევმატური	1	
7	ელექტროგენერატორი (ინსტრუმენტი)	2	
8	მიქუმის ქვაბი	1	
9	ავტოთვითმცლელები	3	
9	ბორტიანი ავტომანქანა	1	

- **თბილისი-კოჯორი-წალკა-ნინოწმინდას საავტომობილო გზის კმ.-28-კმ. 32 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები**

№	მანქანა-მექანიზმების დასახელება და აღწერილობა	საჭირო რაოდენობა (ცალი)	საკუთარი, ოქარით, აღებული ვიზგან
1	2	3	4
1	ავტოგრეიდერი (საშუალო) 79 კვტ სიმძლავრით	1	
2	ასფალტგადამგები	1	
3	ამწე ტვირთამწეობით 16ტ	1	
4	ამწე ტვირთამწეობით 3ტ	1	
5	ბულდოზერი სიმძლავრით 79 კვტ	1	
6	კომბრესორი (ბოძრავი)	1	
7	სამტვრევი ჩაქუჩები	2	
8	საგზაო ფრეზი	1	
9	სატკეცნი პნევმატური 25 ტ.	1	
10	სატკეცნი პნევმატური 16-20 ტ.	1	
11	სატკეცნი ვიბრაციული 11-18 ტ.	1	
12	ლორდისა და ქვის წვრილმანის გამანაწილებელი	1	
15	ექსკავატორი ჩამჩის მოც. 0.5მ3	1	
17	ელექტროგენერატორი (ინსტრუმენტი)	2	
18	მიქუმის ქვაბი	1	
20	საბურღი-ამწე მანქანა	1	
21	ნიშანსადები მანქანა	1	
22	ხარწყეკ-ხარყეცი მანქანა	1	
23	ავტოთვითმცლელები ტვირთამწეობით 7-10 ტ.	15	
	ბორტიანი ავტომანქანა ტვირთამწეობით 10 ტ.	1	
24	ბორტიანი ავტომანქანა ტვირთამწეობით 6 ტ.	1	

- **თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ. 16-კმ. 28 მონაკვეთის პერიოდული შეკეთების სამუშაოები (ლოტი-2), ხელოვნური ნაგებობები, გზის კუთვნილება და მოწყობილობა**

№	მანქანა-მექანიზმების დასახელება და აღწერილობა	საჭირო რაოდენობა (ცალი)	საკუთარი, ოქარით, აღებული ვიზგან
1	2	3	4
1	ავტოგრეიდერი (საშუალო) 79 კვტ სიმძლავრით	1	
2	ამწე ტვირთამწეობით 16ტ	1	
3	ამწე ტვირთამწეობით 3ტ	1	
4	ბულდოზერი სიმძლავრით 96 კვტ	1	
5	კომბრესორი (ბოძრავი)	1	
6	სამტვრევი ჩაქუჩები	2	
7	სატკეცნი პნევმატური 25 ტ.	1	
8	სატკეცნი პნევმატური 16-20 ტ.	1	
9	სატკეცნი ვიბრაციული 11-18 ტ.	1	
10	ექსკავატორი ჩამჩის მოც. 0.5მ3	1	
11	ექსკავატორი ჩამჩის მოც. 0.25მ3	1	
12	ელექტროგენერატორი (ინსტრუმენტი)	2	
13	მიქუმის ქვაბი	1	
14	საბურღი-ამწე მანქანა	1	
15	ნიშანსადები მანქანა	1	
16	ხარწყეკ-ხარყეცი ზანქანა	1	
17	ავტოთვითმცლელები ტვირთამწეობით 7-10 ტ.	5	
18	ბორტიანი ავტომანქანა ტვირთამწეობით 6 ტ.	1	

იჯარით აღებულ მანქანა-მექანიზმებზე იურიდიულმა და ფიზიკურმა პირმა უნდა წარმოადგინოს ნოგარიულად დამოწმებული საიჯარო ხელშეკრულება და შესაბამისი ტექნიკის გადაცემის მიღება-ჩაბარების აქტი.

– ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაცია და გამოცდილება (დაურთეთ ბიოგრაფიული მონაცემები და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები)

თანამდებობა	გვარი, სახელი	მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი)	ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება (წელი)
1	2	3	4

– სუბ-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, სუბ-კონტრაქტორის მიერ განსახორციელებელი მოწოდება:

შესასრულებელი სამუშაოს სახე	სუბ-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი)	სუბ-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება
1	2	3

მონაწილე იურიდიული პირის ხელმძღვანელი ზემოთ ჩამოთვლილ საკვალიფიკაციო მონაცემებსა და ინფორმაციაზე თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით აღასტურებს, რომ იგი შეესაბამება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ყველა წინასაკვალიფიკაციო მოთხოვნას.

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაიელის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ვერ დაკმაყოფილებს საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. ქართულ ენაზე შედგენილი საგენდერო დოკუმენტაციების მიღება ტენდერში დამშვებულ პრეტენდენტებს შეეძლებათ **13.10.2004-დან 15.10.2004-ის საღამოს 18 საათამდე,** ყოველ საგენდერო დოკუმენტაციაზე 500 ლარის ოდენობის საგენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ მისამართზე: **საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, სართული 13, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო.**

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოში, სართული 13, საკონტაქტო ტელეფონი 37-63-95, **გია დიასამიძე.**

სატენდერო კომისია.

United Nations Development Programme
UNDP Georgia
გაეროს განვითარების პროგრამის საქართველოს ოფისს სამცხე-ჯავახეთის ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში პატივი აქვს
გამოაცხადოს ტენდერი

უმავთულო მონაცემთა გადაცემის ქსელის მოწყობილობის შეძენასა და გამართვისათვის ახალციხესა და ახალქალაქში "Samtskhe-Javakheti Regional Networking Initiative" პროექტისათვის.

ტექნიკური აღწერილობა შეგიძლიათ მიიღოთ გაეროს განვითარების პროგრამის ოფისის მისაღებში 15 სექტემბრიდან სამუშაო საათებში (მისამართი: გაეროს სახლი, ერისთავის ქუჩა 9, თბილისი, საქართველო. ტელ: (995-32) 99-85-58, 25-11-26/28/29/31) ან პროექტის კოორდინატორთან დავით ბოლქვაძესთან ტელ. 899-90-38-80.

წინადადებების მიღების ბოლო ვადაა ა/წ 24 სექტემბერი, პარასკევი, 16 საათი.

წინადადებები წარმოადგინეთ ბ-ნ დავით ბოლქვაძის სახელზე, დალუქული კონვერტებით, ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.

განცხადება

საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 19 ივლისის №276 ბრძანებულების შესაბამისად მიმდინარეობს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს აკადემიის სალიკვიდაციო ღონისძიებები.

გაცნობებთ, რომ შპს „სელა-აისბერგის“ კრედიტორთა პირველი კრება დანიშნულია 2004 წლის 17 სექტემბერს 14 საათზე, კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს შენობაში, მდებარე ქეთევან წამებულის № 1.

მოსამართლე პ. ნოზაძე.

განცხადება

შპს „საქალაქთაშორისო საგელეფონო კავშირის ცენტრის“ ადმინისტრაცია გაცნობებთ, რომ ოპერაციის („07“-ის) დახმარებით საქართველოში მოქმედ მობილური კავშირგაბმულობის კომპანიებთან „მაგთიკომი“, „ჯეოსელი“, განხორციელებული ლაპარაკების 1 წუთის ღირებულება 2004 წლის 1 ოქტომბრიდან შეადგენს 40 თეთრს.

ადმინისტრაცია.

◎ ჩვენი სტუმრები

„გაღიმეებულ სახეებს ვხედავ“

***ახლახან** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დიდ სხდომათა დარბაზში გამოჩენილი სწავლულის, ქართული არქეოლოგიის პატრიარქის, აკადემიკოს ანდრია აფაქიძის დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ფორუმი გაიმართა. გულითად მიმლოცველთა შორის გახლდათ ტროას გათხრების ხელმძღვანელი, მსოფლიო სახელის მქონე გერმანელი არქეოლოგი მანფრედ კოფმანი.*

მე მომეცა მასთან საუბრის შესაძლებლობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის პროფესორის, გერმანული ენის ჩინებული მცოდნის ჯონი აფაქიძის დახმარებით. ჩვენ რუსთაველის პროსპექტზე მდებარე სიმპათიურ კაფე „ნიკალაში“ შევხვდით...

ამრიგად, მანფრედ ო. კოფმანი (ინიციალი საკუთარი ხელით ჩამიწერა გადმოცემულ სადარბაზო ბარათში – ასე წარმადგინეთო...). 62 წლისა, გერმანიის ქალაქ ტიუბინგენის უნივერსიტეტის უძველესი და ძველი ისტორიისა და შუა საუკუნეების არქეოლოგიის ინსტიტუტის პროფესორი, ტროას საერთაშორისო (ინტერნაციონალური) გათხრების ხელმძღვანელი, კახეთის უდაბნოს არქეოლოგიური გათხრების თანახელმძღვანელი პროფესორ კიაზო ფიცხელაურთან ერთად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრი (არჩეულია 1996 წელს). ჰყავს მეუღლე და ქალ-ვაჟი.

– ბატონო მანფრედ, მოდით, ჩვენი საუბარი ასეთი თემით დავიწყოთ – საქართველო და თქვენ. რა იცოდით ამ ქვეყნის შესახებ, პირველად როდის ჩამობრძანდით აქ, როგორ გაიცანით აკადემიკოსი ანდრია აფაქიძე...

– ქართული არქეოლოგია გერმანიაში მაღალი ავტორიტეტით სარგებლობს და, ალბათ, უკვე მეცხრამეტე საუკუნის დასასრულიდან, კარგად არის ჩემს ქვეყანაში ცნობილი. გარდა ამისა, ჩემი სადოქტორო დისერტაცია თქვენს მეშობლად, აღმოსავლეთ თურქეთში მდებარე თილქი-თეფეს ნამოსახლარს ეხებოდა... საქართველოში პირველად 1984 წელს ჩამოვედი. შემდეგ სიღნაღში შემდგარ საერთაშორისო კონგრესზე წაეიკითხე მოხსენება. მაშინ გავიცანი ბაგონი ანდრია.

– იუბილარს თქვენ მინიაგურული, ერთობ სიმპათიური ხის ცხენი უსახსოვრეთ...

– ეს გროიას სიმბოლო გახლავთ; სხვათა შორის, ისე წავაწერეთ, როგორც ჰომეროსთან არის: TROIA. ცხენი საგანგებოდ იუბილესათვის დავამზადებინეთ.

– თქვენ ახლა თურქეთიდან ჩამოხვედით?

– თურქეთიდან, გროიადან ჩამოვედი და იქვე ვბრუნდები, რათა გათხრების შეჩვიდმეტე სეზონი დავასრულო. წლეულს გროიაში 56 მეცნიერი მუშაობდა მსოფლიოს 13 ქვეყნიდან.

33 წელია, რაც თურქეთში ვიღვწი, როგორც არქეოლოგი. თურქების თხოვნით, ორმაგი მოქალაქეობა მაქვს. 33 წლიდან 23 გროიას მიდამოებში ვმუშაობდი.

– ქართველები თუ არიან გროას (თქვენის ნებართვით, მე ჩვენთვის გრადიციულ დასახელებას ვიხმარ) გათხრებზე?

– წლეულს ერთი ქართველი მუშაობდა – ასპირანტი ლევან ჭაბაშვილი. ჩვენს ამკამინდელ „შუამავლს“, პროფესორ ჯონი აფაქიძეს აღრე გროიაში 5 წელი აქვს ნამუშევარი. ერთ წელიწადსაც მეცნიერებათა კანდიდატი ვიყავ ვარაზამშვილი იყო ექსპედიციის წევრი.

გარდა ამისა, პროფესორმა რისმაგ გორდეშიანმა ჩამოიყვანა სპეციალისტების დიდი ჯგუფი ექსკურსიაზე – ტროიას გათხრების დასათვალიერებლად. ბაგონი რისმაგი საერთაშორისო მასშტაბის ჰომეროლოგი გახლავთ, მისი ვაჟი, ლევანი, ცნობილი ხეთოლოგია. ეს მისგან მაქვს საჩუქრად (აქ სტუმარმა ჯიბის ჯაყვა მაჩვენა... – **Ш. Э.**).

– ბაგონო მანფრედ, როგორ ფიქრობთ, ტროაში ბევრი დარჩა კიდევ გასათხრელი? და საერთოდ, რა გვიჩვენა ამდენი წლის კვლევამ, შეცვალა „ილიადადან“ შექმნილი ჩვენი წარმოდგენები პრიამოსის ქალაქზე, დადასტურა, ან გააბათილა მითი?

– 134 წლის წინათ დაიწყო ეს სამუშაოები ვერმანელმა შლიმანმა და ჯერჯერობით მხოლოდ კითხვები ხუთ პროცენტს თუ გაეცა პასუხი, ამიტომაც, გათხრები დიდხანს გაგრძელდება. პრაქტიკულად აქ მარადიული საკვლევია.

ჩვენ არ ვეძებთ მითის დადასტურებას. ტროია იმიტომ ვვაინტერესებს, რომ კაცობრიობის მრავალსაუკუნოვან ისტორიას უკავშირდება მთელი 5000 წლის მანძილზე. ის ხომ ერთ-ერთ უმთავრეს ბეთოგრაფიულ ადგილს მდებარეობდა, ევროპასა და აზიას, შავსა და ხმელთაშუა ზღვებს შორის. დადასტურდება რამე იმ მითიდან – კარგია, თუ არა და – ესეც კარგია...

– პროფესიის მიღმა თქვენს გაგაცებებზე რას გვეტყვით?

– ნორმალური ეიგენების კითხვა მიყვარს, ცხოვრებისეულისა. სამოდე ენერგს გაიელი ღამით და დაგეძინება. მოგზაურობების აღწერასაც სიამოვნებით ვეტანები. მიყვარს მუსიკა, განსაკუთრებით – კლასიკური. აღრე სპორტითაც ვიყავი დაკავებული – ტანვარჯიში, ცურვა. მოსწავლეობისას საუკეთესო მოვარჯიშე გახლდით, მერე ერთ-ერთ არაბულ სკოლაში სპორგის მასწავლებლად ვმუშაობდი.

– მშობლიურის გარდა, რომელ ენებზე ლაპარაკობთ?

– ძალიან კარგად ვიცი თურქული და ინგლისური. 7 წელი ლათინურს ვსწავლობდი, 5 წელი – ფრანგულს...

– გვიამბეთ, თუ შიძლება, თქვენს ოჯახზე.

– ჩემი მეუღლე ვიმნაზიის მასწავლებელია, 30 წელზე მეტია, დაქორწინებული ვართ და ბედნიერად ვცხოვრობთ. გვყავს 28 წლის ქალიშვილი და 25 წლის ვაჟი.

– მამის კვალს ხომ არ გაყვნენ?

– მადლობა ღმერთს, არა...

– რაგომ „მადლობა ღმერთს“?..

– თუ ივარგებდნენ, ხალხი იგყოდა, მამა დაეხმარაო. თუ ვერა და – მამასავით კარგი არ არიანო...

– განვაგრძოთ თემა – თქვენ და საქართველო: როგორც კახეთში უდაბნოს არქეოლოგიური გათხრების თანახელმძღვანელს, უთუოდ ხშირად გიწევთ ჩამოსვლა...

– პრაქტიკულად, ყოველ წელიწადს, თუმცა უფრო როგორც სიმბოლურ სტუმარს. ჩემი მიზანია, ქართულ არქეოლოგიას მხარში ამოვუდგე, რომ ამ უმძიმეს დროში მაგერიალური სტიმული არ მოაკლდეს. მე ხომ საბჭოთა კავშირის დაშლამდეც ვიცოდი ქართული არქეოლოგიის ფასი და სიძლიერე.

– ბოლო ჩამოსვლის შთაბეჭდილებას ხომ არ გაგვიზიარებთ...

– მნიშვნელოვან ცელილებებს ვხედავ წინა წლებთან შედარებით. თითქოს ხალხის ფსიქიკაში რაღაც შეიცვალა. მოწყენილად, დანაღვლიანებულებად გამოიყურებოდნენ, ადამიანები დეპრესიული ვეჩვენებოდათ. ახლა საქართველოში გაღიმებულ სახეებს ვხედავ, თუმცა შეიძლება ეს ბაფხულის ფყალობითაა...

– თქვენი ცხოვრებისეული კრედო?

– ოპტიმისტი ვარ და მწამს, რომ უოპტიმიზმოდ არ შეიძლება ცხოვრება...

„ნიკალადან“ სამივენი ოპტიმისტურად ბვუყვეთი აღმართს კონსერვატორიისაკენ, სადაც საფორტეპიანო სოლო კონცერგით გამოდიოდა დუდანა მაზმანიშვილი, ევროპაში უკვე სახელგანოქმული ახალგაზრდა პიანისტი და „შეთავსებით“ აკადემიკოს ანდრია აფაქიძის შვილიშვილი. გზაში გერმანელმა სტუმარმა გაიხსენა, რომ როცა წლების წინათ ჩვენი აკადემიის უცხოელი წევრის დიპლომი უნდა მიეღო, ცერემონიალზე ბაგონი ანდრია ყმაწვილ დუდანასთან ერთად მოვიდა და უკვე მაშინ ხარობდა უნიჭიერესი გოგონათა... სექტემბრის იმ საღამოს, კონსერვატორიის დიდ დარბაზში, დუდანამ მორიგ ჯერზე მისცა სახელოვან პაპას სიამაყის საბაბი: ბრწყინვალედ დაუკრა ბახი, შუბერგი, ლისგი...

თამაზ ეგანოიძე.

◎ იუბილე

დღესაც ახალ სახელმძღვანელოებზე მუშაობს

ღვაწლმოსილ მეცნიერსა და ღირსეულ აღმზრდელს მხნეობას და ახალ შემოქმედებით წარმატებებს ვუსურვებთ

დღეს, 15 სექტემბერს დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდა ღვაწლმოსილ მეცნიერსა და პედაგოგს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ვლადიმერ პლატონის ძე ჯაფარიძეს.

ბაგონმა ვლადიმერმა განვლო საინტერესო, ხანგრძლივი და ნაყოფიერი ცხოვრებისეული გზა.

1937 წელს, თბილისის კავშირგაბმულობის ელექტროტექნიკური ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, რადიოინჟინრის კვალიფიკაციით, ბაგონი ვლადიმერი მუშაობას იწყებს საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტროს თბილისის რადიოგადამცემ ცენტრში ინჟინრის თანამდებობაზე, ხოლო ერთი წლის შემდეგ, თბილისის კავშირგაბმულობის ელექტროტექნიკურ ინსტიტუტში – ასისტენტად. შემდგომ სწავლას აგრძელებს თბილისის ინდუსტრიული ინსტიტუტის ასპირანტურაში, იმავდროულად ამთავრებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკურ ფაკულტეტს და წლების განმავლობაში მუშაობს ჯერ „საქენერგოს“ ცენტრალური კავშირგაბმულობის სამსახურის უფროსი ინჟინრის, ხოლო შემდეგ ტექნიკური გაწყოფილების უფროსის თანამდებობაზე.

1946 წლიდან ბაგონი ვლადიმერი პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ზოგადი და თეორიული ელექტროტექნიკის კათედრაზე, ჯერ ასისტენტის, ხოლო საკანდიდატო დისერტაციის დაცვის შემდეგ – დოცენტის თანამდებობაზე.

1962 წელს, საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში უმაღლესი რადიოტექნიკური განათლების სპეციალისტთა მომზადების დაწყებასთან დაკავშირებით, იგი სათავეში ჩაუდგა მის მიერვე ორგანიზებულ რადიოტექნიკის კათედრას და ათიოდე წლის განმავლობაში შესაბამისი სპეციალობის პედაგოგიური კადრების თითქმის არარსებობის პირობებში, შექმნა იმ დროისათვის სათანადო ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო რადიოტექნიკური ლაბორატორიები და მომზადა მრავალი ახალგაზრდა სპეციალისტი, როგორც რესპუბლიკის ისე ყოფილი საბჭოთა კავშირის რადიოტექნიკურ საწარმოთათვის.

დიდ პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად, ბაგონი ვლადიმერი მონაწილეა ინტენსიური სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების, საერთაშორისო, საკავშირო და რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციებისა; რედაქტორობს ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების სპეციალიზებულ კრებულს „თეორიული რადიოტექნიკა“. 1991 წელს, მოსკოვის ენერგეტიკის ინსტიტუტის საღისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, მიენიჭა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი, ხოლო სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტის მიერ – პროფესორის სამეცნიერო წოდება. არის 66 სამეცნიერო ნაშრომის, მონოგრაფიების და სახელმძღვანელოების ავტორი. პროფესორ ვლადიმერ ჯაფარიძის სახელმძღვანელოები კავშირგაბმულობის დარგის სტუდენტთა და სპეციალისტთა სამაგიდო წიგნებია. მიუხედავად ხანდაზმულობისა, ბაგონი ვლადიმერი დღესაც მუშაობს ახალი სახელმძღვანელოს შექმნაზე. მისი ხელმძღვანელობით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რადიოტექნიკის კათედრაზე მომზადებული და დაცულია არაერთი საკანდიდატო დისერტაცია.

ამაგდარი მეცნიერისა და პედაგოგის ღვაწლი მთავრობის ჯილდოებითაა აღნიშნული. 1997 წელს იგი ღირსების ორდენით დაჯილდოვდა. სულ ახლახან, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დიდი საბჭოს გადაწყვეტილებით, პროფესორი ვლადიმერ ჯაფარიძე დაჯილდოდა გიორგი ნიკოლაძის მედლით.

პროფესორი ვლადიმერ ჯაფარიძე ქართული საინჟინრო მეცნიერების ჭეშმარიტად სახელოვანი წარმომადგენელია. თავისი მაღალი მოქალაქეობრივი ღირსებებით საზოგადოების დიდი პატივისცემა და სიყვარული მოიპოვა. მის მიერ განვლილი ცხოვრების გზა იმის მაგალითია, თუ როგორ უნდა იცხოვრო და იღვაწო ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

მხნეობასა და ახალ შემოქმედებით წარმატებებს ვუსურვებთ ღირსეულ მეცნიერსა და მამულიშვილს.

რამაზ ხუროძე,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი;
თამაზ კუპატაძე,
კავშირგაბმულობის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო
2004 წლის № 1-1/90 ბრძანებით

განცხადება

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო აცხადებს

აუქციონს

შპს "ინტურისტის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილის პრივატიზების მიზნით

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:

საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

ინფორმაცია ობიექტის შესახებ:

შპს "ინტურისტის" საწყისი გასაყიდი ფასი შეადგენს 3 000 000 (სამი მილიონი) აშშ დოლარის ეკვივალენტს ეროვნულ ვალუტაში.

საზოგადოების საწესდებო კაპიტალში შესულია მიწის ფართობი 5460 კვ.მ. და სასტუმრო საერთო ფართით 10528 კვ.მ, მათ შორის :

- ნომრების მოსაწყობი საერთო ფართი — 4558 კვ.მ.
- კიბის უჯრედის ფართი — 105 კვ.მ
- დანარჩენი ფართი — 5865კვ.მ.

საზოგადოების კრედიტორული დავალიანება 2004 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით შეადგენს 377 249 ლარს, ხოლო დებიტორული დავალიანება 2 352 ლარს.

ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ გაყიდვიდან ერთი წლის განმავლობაში საწარმოს აღმოაჩნდება სხვა ვალდებულებები, რომელიც პრივატიზების პროცესში პარტნიორისთვის ცნობილი არ იყო, ასეთი სახის ვალდებულებების შესრულება მოხდება სახელმწიფოს მიერ.

ობიექტის იურიდიული მისამართია: - ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ.№ 11.

დამატებითი ინფორმაცია ობიექტის შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ — საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში — ქ. თბილისი, ჭანტურიას ქ. №12, პირველი სართული, ოთახი №103, ტელ: 98-23-58.

გამყიდველი: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო.

აუქციონში მონაწილეობა, თანხის გადახდის ვადები და ვალდებულებები:

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი "ბე"-ს სიდიდე შეადგენს 50 000 (ორმოცდაათი ათასი) აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარებში, ხოლო აუქციონში მონაწილეობის მისაღებად ბილეთის შესაძენი ფასია 10 ლარი, რომელიც მონაწილის მიერ გადახდილი უნდა იქნეს — მიმღები: ცენტრალური შემოსულობების სატრანზიტო ანგარიში №300121500. მიმღები ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი 220101107, სახაზინო კოდი 3000.

"ბიჯის" ოდენობა შეადგენს 10000 (ათი ათასი) აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარებში.

მყიდველი ვალდებულია დამტკიცებული აუქციონის შედეგების ოქმის გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში გადაიხადოს მის მიერ აუქციონზე დასახელებული ობიექტის საბოლოო გასაყიდი ფასი, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ მიეცემა საკუთრების უფლება ობიექტზე და "ბე"-ს შენატანი არ დაუბრუნდება. "ბე"-ს შენატანი არ დაუბრუნდება ასევე აუქციონის შედეგების ოქმზე ხელმოწერის უარის მთქმელ გამარჯვებულ მონაწილეს.

ინფორმაცია განაცხადების მიღებისა და აუქციონის ჩატარების შესახებ

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება მიმდინარეობს ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 2004 წლის 28 სექტემბრის ჩათვლით 14 სთ-დან 17 სთ-მდე (საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო — ქ. თბილისი, ჭანტურიას ქ. №12, ოთახი № 409).

აუქციონი გაიმართება 2004 წლის 29 სექტემბერს 15 სთ-ზე. მისამართი: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. №11 (სასტუმრო "ინტურისტის" შენობაში) ტელ: 99-74-16.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად აუქციონის კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;

ბ) ,,ბე"-ს შეტანის დამადასტურებელი სბანკო ქვითარი, აუქციონში მონაწილეობის მისაღებად შესაძენი მონაწილის ბილეთის სბანკო ქვითარი;

გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები;

დ) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ე) იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლს.

გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმი:

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ყველაზე მაღალი ფასის დასახელება (არანაკლებ საწყისი გასაყიდი ფასისა, ბიჯის გათვალისწინებით)

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო.

⊙ კალათბურთი

კვლავაც გამარჯვებით, ბიჭებო!

დღეს სოკიეში საქართველოს კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები მაკედონიის ეროვნულ გუნდთან ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო გურნირის მეორე მაგჩს გამართავს. გულშემატკივრებს ვაუწყებთ, რომ ამ შეხვედრის პირდაპირ რეპორტაჟს „რუსთავი-2“ სალამს ცხრის ნახევრიდან გვთავაზობს.

შეგახსენებთ, რომ 11 სექტემბერს ჩვენმა ბიჭებმა თბილისის სპორგის სასახლეში ფინელებს დაძაბული ორთაბრძოლა მოუგეს 85:78. იყო მღვა სიხარული, მქუხარე ოვაცია და ომახიანი შეძახილები.

თბილისში სგუმარ-მასპინძელთა შორის მოედანზე, ცხადია, მთი ლიდერები — გაბა ფაჩულია და ჯანო მოგოლა გამოირჩეოდნენ. ბევრს ეცადა ფინელი, მაგრამ ქართველი თავდამსხმელის შეჩერება ვერ შეძლო — ფაჩულიამ თავის გუნდს 30 ქულა შესძინა (მოგოლა 21 ქულით დაკმაყოფილდა).

ვფიქრობ, წარმატებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ სპორგის სასახლის გადაჭედილი გრიბუნები აქტიურად ქომაგობდნენ იმედის გუნდს. გულშემატკივართა შორის გახლდათ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, რომელმაც პირადად მიულოცა ბიჭებს გამარჯვება.

მაგჩის შემდეგ გაქართველებულმა ამერიკელმა გვითხრა ორიოდე სიტყვით: „ჩვენ ძლიერი გუნდი გვყავს, ოღონდ შეთამაშება გვაკლია. მჯერა, რომ ევროპის ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე გავალთ“.

სანამ დარბაზი დაიცლებოდა, რამდენიმე ქომაგს გავესაუბრე.

ნიკოლოზ თავაძე, სტატიანი გულშემატკივარი: სპორგის სასახლეში რომ შემოვედი და სავსე ტრიბუნები დავინახე, სამოცი-სამოცდაათიანი წლების ქართული კალათბურთი გამახსენდა. დიდი მადლობა ბიჭებს იმ სიხარულისთვის, რაც მათ მოგვანიჭეს ღღეს. მეგს ვერაფერს ვეტყვით...

გიორგი ასანიძე, ოლიმპიური ჩემპიონი: საქართველომ გამარჯვების გზით დაიწყო სიარული. მისი შეჩერება ძნელი იქნება. ძლიერი გუნდი გვყავს. მწამს, რომ ჩვენი ბიჭები ევროპის ჩემპიონატის ფინალში გავლენ.

ნანა სისარულაშვილი, სტუდენტი: სწავლა 20 სექტემბრამდე არ გვეწყება, მაგრამ მე და ჩემი მეგობრები ნაადრევად ჩამოვედით თბილისში. ძალიან გვინდოდა ამ მაგჩის ნახვა. მადლობა ჩვენს კალათბურთელებს, რომ არ გაგვაწბილეს.

საქართველოს კალათბურთელები, როგორც ზემოთ ვთქვით, ღღეს მაკედონიელებთან გაარკვევენ ურთიერთობას, მეგ — 18 სექტემბერს კი ლუქსემბურგელებს ეთამაშებიან.

ვაჟა დანელია.

სურათებზე: საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი საქართველო-ფინეთის მაგჩზე; გაბა ფაჩულია ფინელთა გარემოცვაში; „ცეცხლის ხაზზეა“ ნიკა ცქეტიშვილი.

ავტორის ფოტო.





⊙ ჟიუდო

„ოქროც“, „ვერცხლიც“ და „ბრინჯაოც“

სოფიაში დამთავრდა ახალგაზრდა ძიუდოისტთა ევროპის პირველობა, რომელშიც ქართველი სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ მთავარი მწვრთნელის — ბორის ფიცხელანის ხელმძღვანელობით.

81 კილოგრამ წონით კატეგორიაში თავი გამოიჩინა გრიგოლ შინჯიკაშვილმა, რომელმაც ქვეჯგუფში ზედიზედ იპოინთ დაამარცხა შვედი, ბულგარელი და აზერბაიჯანელი მეტოქეები. ნახევარფინალში რუს ალექსეი პოპოვს სძლია, ხოლო ფინალში ჰოლანდიელი ვან დერ ლოო დაამარცხა ვაზარით და ოქროს მედალს დაეუფლა.

ანალოგიურ წარმატებას მიაღწია ლევან რაზმაძემ (100 კგ.), რომელმაც ოქროს ჯილდო ასევე ხუთ ორთაბრძოლაში მიღწეული გამარჯვებით დაიმსახურა.

ფინალში დამარცხდა ათენის ოლიმპიური თამაშების მონაწილე ლაშა გუჯეჯიანი (მძიმე წონა), რომელმაც გადამწყვეტი შეხვედრა უნგრელ ბორთან დათმო და ვერცხლის მედალს დასჯერდა. მესამე ადგილებზე დავით ასუმბანი (60 კგ.) და გიორგი ბაინდურაშვილი (73 კგ.) გავიდნენ.

გიორგი გაგუა.

⊙ სტუმარი

მეხუთე ცდაზე აღებული სიმაღლე

უკვე გაუწყეთ, რომ გუშინწინ მოსკოველმა ჩოგბურთელმა მარია კონდრატიევამ „ბორჯომის თასის“ გათამაშების ფინალში მაკა ჩახნაშვილი დაამარცხა და მთავარ პრიზს დაეუფლა.



თბილისის ტურნირის გამარჯვებული 22 წლისაა (1982 წლის 17 იანვარს დაიბადა). შვიდი წლისამ დაიწყო ვარჯიში ვლადიმირ გრაჩოვთან, ამჟამად გერმანიაში დმიტრი პოლანოვთან ემზადება, მოსკოვში ცსკა-ს კორტებზე მიხაილ ჩესალოვი ამეცადინებს. რეიტინგით 260-ეა, მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული და პრიზიორია.

— თბილისში მეხუთედ ჩამოვედი, — მითხრა მარიამ, — მსიამოვნებს აქაური გარემო, ქართული სტუმართმოყვარეობა, ტემპერამენტიანი გულშემატკივრობა. ტურნირი პირველად მოვიგე. 2001 წელსაც ფინალში ვიყავი, მაგრამ მაშინ ავსტრიელმა ჩოგბურთელმა მაჯობა. შარშანწინ თბილისსა და ბათუმში წყვილთა შორის მხოლოდ გადამწყვეტი ორთაბრძოლები დავთმე. ასე რომ, შედეგებით უკმაყოფილო არა ვარ.

— მაკა ჩახნაშვილთან მეხვედრაზე რას იტყვი?

— მაკა ძლიერი ჩოგბურთელია. უწინ მასთან არასდროს მითამაშია, თუმცა ვიცნობ მის ძლიერ და სუსტ მხარეებს. რთული ფინალური ორთაბრძოლა მქონდა. ორივე ხელში ახლოს ვიყავი წაგების ზღვართან, მაგრამ, ეტყობა, მეტი ნებისყოფა აღმომაჩნდა. ბედნიერი ვარ, რომ მთავარი პრიზი მოვიპოვე.

— თბილისს ისე ხშირად სტუმრობ, შეყვარებული ხომ არ გყავს?

— (ეცინება) გითხარით, რომ ქართული გარემო მიზიდავს-მეთქი, მეგობრების სიმცირესაც არ ვუჩივი; თბილისში ხშირი ჩამოსვლის მიზეზი ისიც არის, რომ ქართველი ნათლია მყავს — მერი იშხნელი.

— ქალბატონი მერი ერთ ხანს მოსკოვში ცხოვრობდა ჩვენს მეზობლად, — ჩაერია საუბარში მარიას დედა — ქალბატონი სვეტლანა. — ოჯახებით ვმეგობრობდით, ამიტომ გადაწყვეტა, მარია მოენათლა. სანამ საბჭოთა კავშირი დაიშლებოდა, სამსახურებრივი მივლინებით ბევრჯერ ჩამოსულვარ საქართველოში, ამიტომ ქალბატონ მერისთან ურთიერთობა არ გამიწყვეტია მას შემდეგაც, რაც იგი თბილისში დაბრუნდა. ახლაც მისი სტუმრები ვართ.

— ჩოგბურთში როგორ მოხვდი? — ვკითხე მარიას.

— ბაბუას უყვარს სპორგის ეს სახეობა. ექვსი წლისას უცხოეთიდან ჩოგანი ჩამომიგანა. ხომ უნდა გამომეყენებინა სადმე. დედამ ცსკას კორტებზე მიმიყვანა. მას შემდეგ ჩოგბურთისთვის არ მიღალატია.

— სპორგის კიდევ რომელი სახეობა გიგაცვლებს?

— ყველა, სადაც სისწრაფეა საჭირო. დინამიკა ჩემი სტიქიაა.

— თავისუფალ დროს სად აგარებ?

— გაისად მოსკოვის ფიზკულტურის აკადემიას ვამთავრებ, ამიტომ ჩოგბურთთან ერთად საკმაო დრო სწავლასაც მიაქვს. როცა მოსკოვში ვარ, მეგობრებთან ერთად დავდივარ კინოში, კაფეში, ვუსმენ მუსიკას, რომელსაც განწყობის მიხედვით ვირჩევ. უნირაგესობას ესგრადას ვანიჭებ. შეჯიბრებებზე მოგზაურობისას უფრო დეტექტიურ ნაწარმოებებს ვკითხულობთ განტვირთვის მიზნით.

— პოეზია?

— სკოლაში ბლოკისა და ესენინის ნაწარმოებები მიგაცვდა. ახლა ლექსებთან ცოტა მწყრალად ვარ.

— რატომ? რომანტიკა გაქრა?

— ნაწილობრივ, შეიძლება, ასეც იყოს, თუმცა ჩემთვის რომანტიკაა ჩოგბურთის თამაში.

— კერპი თუ გყავს?

— უწინ მარტინა ჰინგისს ვქმაგობდი, ახლა კიმ კლაისტერსი და ამელი მორესმო მომწონს.

— ბოლო დროს ქალთა ჩოგბურთიც ძალისმიერი გახდა. ამით უწინდელი სილამაზე ხომ არ დაკარგა?

— გეთანხმებით, რომ უწინ ჩოგბურთელი ქალები ტექნიკური და გაქტიკური თამაშით გამოირჩეოდნენ. ჩოგბურთი უფრო ათლეტური გახდა, ფიზიკურ მომზადებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან წინა პლანზე პრაგმატიზმი წამოიწია. ახლა ყველა ძლიერად ურტყამს ბურთს. ამის მიუხედავად, ჩოგბურთს თავისი სილამაზე არ დაუკარგავს. ოღონდ ეს არის, რომ ვირტუოზები უფრო სწრაფად იგებენ ორთაბრძოლას.

— როგორ ფიქრობ, დებმა უილიამსებმა რაგომ დაკარგეს მეწინავეობა?

— ყველას ეგონა, რომ მათი მომრევი კარგა ხანს არავინ იქნებოდა, მაგრამ ახალგაზრდა ჩოგბურთელებმა ფონიერი მწვრთნელების დახმარებით მალე აუღეს ალღო მათს თამაშს და ტახტიდანაც ჩამოაბრძანეს, თუმცა, ამერიკელი დების ჩამოწერა ჯერ ნაადრევია.

— წლეულს ახალგაზრდა რუსი ჩოგბურთელები ძალიან დაწინაურდნენ. მათთან თუ გითამაშია ოდესმე?

— როგორ არა. რამდენიმე წლის წინათ შევხვედრივარ დემენტიევას, პეტროვას, კუზნეცოვას, ბოვინას. ისინი სწრაფად დაწინაურდნენ და ახლა ისეთ ტურნირებში მონაწილეობენ, რომლებშიც, სამწუხაროდ, ხელი არ მიმიწვდება.

— საბომბავლოდ რა გეგმები გაქვს?

— ახლა თბილისის მეორე საერთაშორისო ტურნირში ვმონაწილეობ. ორშაბათიდან ბათუმში ვიასპარეზებ. მერე კი ვნახოთ. შეჯიბრებების შეტი რა არის, მთავარია, ძალა და ენერგია გეყოს.

— ჩვენს დედაქალაქში კიდევ თუ გიხილავთ?

— განსაკუთრებული თუ არაფერი მოხდა, აუცილებლად ჩამოვალ. თბილისში თამაში სიამოვნებაა. დიდი მადლობა ამ ტურნირების ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს — ქალბატონ ლეილა მესხს. ვეცდები, კვირასაც ფინალში ვითამაშო და შემდეგ მომავალ შეხვედრამდე დაგეშმეიდობებით.

ესაუბრა
ვაჟა დანელია.

სურათზე: მარია კონდრატიევა.
რობერტ ბაგოიანის ფოტო.

⊙ გვეხმაურებიან

პურზე ტენდერს აცხადებენ, პროფესიონალებს კი არაფერს გვეკითხებიან...

თქვენს გაზეთში 2 სექტემბერს გამოქვეყნდა სტატია საკვები პროდუქტების ტენდერთან დაკავშირებით. მინდა, გამოგეხმაუროთ და ჩემი გულწრფელი მოსაზრება გაგიზიაროთ.

სხვადასხვა სამინისტროებისა და სამსახურების მიერ ტენდერების გამოცხადება (პრესაში, რადიოში, ტელევიზიით) საუკეთესოს შერჩევას ისახავს მიზნად. მინდა განსაკუთრებით სასკოლო და სკოლამდელი დაწესებულების ხელმძღვანელებმა გაითვალისწინონ, — როდესაც აირჩევენ მომწოდებელს, კვების პროდუქტი და მით უმეტეს პური, ყოველმხრივ შემოწმებული და ჯანსაღი უნდა იყოს.

სამწუხაროდ, პურპროდუქტების ტენდერს მეტი ყურადღება უნდა მიექცეს, რადგანაც, ერთი შეხედვით, მარტივი, პირველადი კვების ეს პროდუქტი, როგორც ყოველთა ღირებულებათა საწყაო, მართლაც უპირველეს ყურადღებას მოითხოვს. მის უკან ქვეყნის დამცველი ჯარისკაცის, ბავშვების, მოხუცებულების, თითოეული ჩვენგანის ჯანმრთელობა დგას. სამწუხაროდ, პურის დამზადების მეთოდები ჩვენში ერთობ დამაფიქრებელია. ტენდერში გამარჯვების პირობად, რა თქმა უნდა, ფასი მნიშვნელოვანია, მაგრამ სრულყოფილი ტექნოლოგიით და ხარისხიანად დამზადებული პურის ფასი საკმაოდ გამჭვირვალეა. ამიტომ, 2-3 თეთრის გამო ამ პროდუქტში ვინმესთვის პრიორიტეტის მინიჭებას უნდა ვერიდოთ.

როგორც პურის მრეწველთა კავშირის თავმჯდომარეს, მიმაჩნია, რომ თავდაცვის სამინისტრომ ტენდერში გამარჯვება სრულიად სამართლიანად მიაკუთვნა „კრწანისი პურს“, ყოფილ მეშვიდე პურის ქარხანას, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვი სხვა გამარჯვებულებზე.

აცხადებდნენ ტენდერს პურზე და სპეციალისტს არ ეკითხებიან, რა პირობა იღება მასში. თბილისში კლასიკური ტექნოლოგიით (მხედველობაშია დასრულებული 8-საათიანი ციკლი, რომლის დროსაც სრულყოფილდება ცომისა და პურის სტრუქტურა, ქიმიურ-ბიოლოგიური პროცესები და შესაბამისად, პროდუქტიც ხარისხიანია), პურის ცხობა თითქმის აღარსად არ ხორციელდება. საინტერესოა, ვინ იღებს პასუხისმგებლობას იმ შესაძლო შედეგებზე, რასაც პურის ფორსირებული მეთოდებით დამზადება, გაზრდილი საფუარისა და სხვა დანამატების მეშვეობით „გაჯერება“ იძლევა? კარტოფილის დაავადება, ობი და მძაფრი სუნი ხომ ასე გავრცელდა. პური იფშვნება მასში ჩამოუყალიბებელი სტრუქტურის გამო. აქედან გამომდინარე, პურის დაავადებებს, რომელსაც გაუთვითცნობიერებელი, ასე მომრავალებული „მეპურეები“ ვერც კი ხვდებიან, ვითომ პაგიოსან ბიზნესს ეწევიან! ტენდერში გამარჯვება მხოლოდ ლიცენზირებული და შესაბამისი ნებართვით მიღებული „ღოკუმენტების“ ფლობას არ ნიშნავს. გასათვალისწინებელია რა ნელელეთით, როგორი სპეციალისტებით და რა დანადგარებით აწარმოებენ პურს. მნიშვნელოვანია ნელეულისა და დამხმარე მასალების ლაბორატორიული კონტროლი და სახსგანდარგის სამსახურის დასკვნაც, სეზონური ინსტრუქციების უპირობო შესრულებაც... ტენდერში აუცილებელ პირობად უნდა იქნეს ჩადებული სრულყოფილი ტექნოლოგიური პროცესი, რაც გადამწყვეტია პურის წარმოებაში, რომ აღარაფერი ვთქვათ ტრადიციებსა და პროფესიონალიზმზე. სამწუხაროდ, მასობრივი ხასიათი მიიღო სხვადასხვა ემულგატორებისა და გამაუმჯობესებლებით, საფუარის გაზრდილი ნორმებით პურის დამზადებამ. მალე თუ არ გავიცნობიერეთ ყოველივე ეს, შედეგები სავალალო იქნება.

მე არავის ვამბნევ, უბრალოდ მოსახლეობას გულწრფელად ვაფრთხილებ. ვინძლო, ეს გაფრთხილება ყველამ ყურად იღოს.

მალხაზ დოლიძე,
თბილისის პურის მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე.

საკონკურსო წინადადება

ა/კ „საქართველოს ავიახაზები“ აცხადებს კონკურსს საჰაერო ხომალდ ტუ-134-ისა და იაკ-40-ის გაყიდვაზე.

დაინტერესების შემთხვევაში, საწყისი ფასისა და სხვა პირობების გასაგებად, გთხოვთ, მოგვმართოთ წერილობით, განცხადების გამოქვეყნებიდან ათი დღის ვადაში.

თბილისი, აეროპორტი, ა/კ „საქართველოს ავიახაზები“.

⊙ რეპლიკა

მოუმზადებელი მეგზური

ღღეს ასეა: სპორტული ტალანგები დაფრთიანდებიან თუ არა, სახელისა თუ ფულის საშოვნელად უცხოეთის კლუბებს აკითხავენ, კარგა ხნით თვალს ეფარებიან, შემდეგ კვლავ გამოჩნდებიან და ახლა სხვა კლუბების (ხანდახან უცხო ქვეყნების ნაკრებების) ღირსებასაც იცავენ.

ასეთია სპორტული ცხოვრება.

ჰოდა, თუ გულდასმით არ მიადევნე თვალი, ბევრი რამ სპორტში გაურკვეველი და შეუცნობელი ერჩება. ამიტომაც არსებობს რადიო და ტელეკომენტატორი. მან უნდა იგვირთოს შენი მეგზურობა, დაგაკვალიანოს, შეგახსენოს, მოგაწოდოს სრული ინფორმაცია მათზე, ვინც მოცემულ მომენტში საფეხბურთო მინდორზე, ტატამზე, საკალათბურთო მოედანზეა გამოსული.

...წინ ფანქარი და ფურცელი მეღო და ფინელი კალათბურთელების გვარსახელებს ვინიშნავდი. ასაკი. სიმაღლე. რომელ უცხოურ თუ ფინურ გუნდში თამაშობს და ა. შ. კომენტატორი ვმაღაგზა თითოეული მათვანის მცირე სპორტულ ბიოგრაფიასაც გვიამბობდა.

გამეხარდა. ვიფიქრე: თუ ამ უცხოელებზე ასე დაწერილებით და საინტერესოდ მოგვითხრობს, ჩვენს კალათბურთელებზე რაღას იტყვის-მეთქი. არაფერიც არ თქვამს. საქართველოს ნაკრების წევრთა გვარ-სახელები ჩამოთვალა და დადუმდა. სხვა ინფორმაცია მათს შესახებ არ ჰქონდა. ეული დამწყდა. მრავალწლიანი ლოდინის შემდეგ ჩვენმა კალათბურთმა, როგორც იქნა, გამოიხედა, ფეხზე დგება, ნაკრებში ძირეული ცვლილებები მიმდინარეობს, იმედისმომცემი ახალგაზრდები გამოჩნდნენ და ვინ არიან ისინი — საიდან მოდიან, სად მიდიან, კალათბურთელები კი ჰქვიათ, მაგრამ როგორია მოედანზე მათი, ასე ვთქვათ, „ვიწრო სპეციალიზაცია“, ასაკი, სიმაღლე და სხვ. ყველაფერი ტელემაყურებელთათვის გამოუცნობი დარჩა. კომენტატორი მხოლოდ ბაკვრით მიგვანიშნებდა:

ჩვენი კალათბურთელი იმ ფინელ კალათბურთელზე ნაკლები სიმაღლისა არ ბეგონოთ, 208 სანტიმეტრის რომ არის და ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში თამაშობსო. ან კიდევ:

ქართველი კალათბურთელი იმ ფინელზე ბაცილებით ახალგაზრდაა, ეისაკ ახლახან 27 წელი შეუსრულდაო და სხვა მისთანანი.

რაც შეეხება იმას, რომ პეტრემ პაველს დიდებული პასი მიაწოდა და ივანე ფარქვეშ მარგო დაგოვეს, იმას სრულებითაც არ სჭირდებოდა ტემპერამენტიანი ოხრობა: ყველაფერი შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანდა.

საწყენი მარგო ის როდია, რომ კომენტატორი გუნდის შესახებ სრული ინფორმაციით არ აღჭურვეს, თავადაც არ იბრუნა ეს ინფორმაცია შეეფროვებინა, გაემდიდრებინა ტელემაყურებელთან სასაუბრო თემა. ამ ვაკუუმის შევსებას ვერ შეელოდა ალაგ-ალაგ ვერც პაგრიოტული შეძახილები, ვერც ფილოსოფიური მსჯელობა ქართული სულის უტეხი ხასიათის შესახებ.

ეს იმას ჰგავს, როცა მასწავლებელი კლასში მოუმზადებელი შედის.

გურამ ვაშაკიძე,
„სრ“ მიმომხილველი.

⊙ ყოველი მხრიდან

ქარიშხლის მიუხედავად

ამას წინათ ფლორიდას (აშშ) თავს დაატყდა ძლიერი ქარიშხალი, რომლისგანაც სერიოზულად დაზიანდა. ამის მიუხედავად, ორშაბათს აქ დაიწყო ჩოგბურთელ ვაჟთა დიდი საერთაშორისო ტურნირი.

მართალია, საპრიზო ფონდი 20 პროცენტით შემცირდა, მაგრამ შეჯიბრებაში მაინც მონაწილეობენ ცნობილი სპორტსმენები — ათენის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი მარდი ფიში (აშშ), გრეგ რუსედსკი (დიდი ბრიტანეთი), მარიო ანჩიჩი (ხორვატეთი), ჟან-მიშელ გემბელი (აშშ) და სხვები. ასპარეზობა კვირას დამთავრდება.

გაუმაძღარი ბრიატორე

„ფორმულა-1“-ის მოყვარულ ავტომრბოლს — ფლავიო ბრიატორეს, მართალია, ჭიდარა ამშვენებს, მაგრამ ვნებების დაოკებას არც აპირებს. ზაფხული აქტიურად გაატარა, შემოდგომითაც ფართო პროგრამა აქვს დაგეგმილი, რომელშიც მთავარი ადგილი ლამაზმანებს უჭირავთ.

ბოლო სასიყვარულო რომანი ფლავიოს ტელეწამყვან სამუელა სარდოსთან ჰქონდა. ახლა მას გულმა ვენეციისკენ გაუწია, სადაც ცნობილი კინოფესტივალი გაიმართა. ბოროგი ენები ამბობენ — კინომსახიობ ნიკოლ კიდმანის მოსანადირებლადო.

კინის ძაღლი საშიშია

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ნახევარმცველი რიო კინი სკანდალურ ქრონიკაში გაეხვა: მისი ძაღლი ქუჩაში მოზარდს ეცა. პოლიცია უკვე იკვლევს ამ ინციდენტს.

ყმაწვილი ამბობს, რომ იგი მანჩესტერის ქუჩაში სეირნობდა და უეცრად თავს დაესხა ძაღლი, მის პატრონში სახელოვანი ფეხბურთელი ამოიცნო. პოლიცია არ ჩქარობს კინის ბენ ცნობილ პიროვნებებს. თვით ფეხბურთელს ამ ფაქტთან დაკავშირებით ჯერ არაფერი უთქვამს.

სპორტის რედაქცია

საქართველოს რესპუბლიკა
№ 214, ოთხშაბათი, 15 სექტემბერი, 2004 წელი.

ალბომი

ყველას რაიმე აქვს

დიმიტრი არაყიშვილი (ცენტრში) აჭარაში ხულოს რაიონის ხელმძღვანელ მუშაკებთან და ხალხური სიმღერების შემსრულებლებთან ერთად. 1952 წელი. ხულო.

ლადო შარაშენიძის არქივიდან.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

ფოტოების მომწოდებელთ ვთხოვთ, რომ დაბეჭდვიდან ერთი კვირის ვადაში მოგვითხონ რედაქციას გამოქვეყნებული სურათების წასაღებად.

◎ ახალი სეზონი: გეგმები, ფიქრები

დაჰკრა რამაზ იოსელიანმა „ჯადოსნური კვერთხი“...

დედაბერმა რომ აბეზარ თანამოსაუბრეს ნიშნი მოუგო – იცოცხლე დღეგამოშვებითო, ლამის დღეგამოშვებით ცოცხლობდა და ეწვალებოდა ამ წუთისოფელს გორის სახელმწიფო თეატრის შემოქმედებითი დასი. იცვლებოდნენ დირექტორები და სამხატვრო ხელმძღვანელები, ადგილობრივი თუ მოწვეული შემოქმედებითი ძალები. მუდმივი მხოლოდ სიცივე და უშუქობა, გაჭირვება და გაყინული ხელფასები იყო.

მერამდენე თეატრალური სეზონი იწყება წლეულს გორში? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა თეატრალურ არქივებში ჩახედულ გორის თეატრის მუზეუმის გამგეს კახი ფაჩოშვილსაც უჭირს. საქმე ის არის, რომ შფოთიანი 90-იანი წლებიდან მოყოლებული, მკაცრად თუ ვიგყვით, რამდენიმე სეზონი ჩავარდა კიდეც – შუქი ქრონიკულად არ იყო, ზამთრობით მაყურებელთა დარბაზში ჰაერის ტემპერატურა 7-8 გრადუსამდე ეცემოდა. თეატრი ფეთქავდა, ხანდახან იმდენად უმწეოდ, მაჯისცემასაც ძლივს უზომავდნენ.

ამ ზაფხულს აქ ახალი სამხატვრო ხელმძღვანელი – თბილისის გრიბოედოვის და თავისუფალი თეატრების მსახიობი, თეატრალური ინსტიტუტის დოცენტი **რამაზ იოსელიანი** მოვიდა.

თითქოს ჯადოსნური კვერთხი მოიტანაო, მითხრეს თეატრში, დაჰკრა და უკანა ეზოდან სასამსახურო შესასვლელი მთლიანად შეიცვალა, გაიშალა, გაფართოვდა, ახლა კიბეებს აირბენ და ისეთი შეგრძნება გეუფლება, თითქოს ამაღლებულ გაძარში შედიოდე. კვლავ დაჰკრა რამაზმა თავისი ჯადოსნური კვერთხი და ახლა მთელ თეატრში სარემონტო სამუშაოები დაიწყო. სახეს უცვლიან მაყურებელთა დარბაზს, სცენას, ფოიეს. თეატრმა გამოიხედაო, ამბობენ მსახიობები. როგორ არ გამოიხედა, ახალი ხელმძღვანელის ხელში ხელფასსაც დროულად ურიგებენ, ფულად ჯილდოებსაც. მეტიც: როლებსაც „ურიგებენ“ და მთელ დასს ერთბაშად სამ სპექტაკლზე იწვევენ სამუშაოდ.

სხვა რა დარჩენია დასსაც, აღტაცებით რომ არ წამოიძახოს:

– დაიძრა უძრაობისა და მდუმარების ყინული! ჰოჰლა, ჩვენ ვცოცხლობთ!

...რამაზ იოსელიანს, ცნობილ პედაგოგსა და მსახიობს, კარგად იცნობენ თეატრის მოყვარულები, მის ტექნიკურ ალღოს და ორგანიზაციულ ნიჭს კი აღტაცებაში მოჰყავს ხარაჩოებზე მომუშავე მეთუნუქეები, მღებავები, დურგლები, კალატოზები.

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის სამუშაო ოთახი საბრძოლო მოქმედებების შტაბს მოგაგონებთ. რამაზ იოსელიანი წელან სხვენში მეთუნუქეებთან ერთად დაზიანებული თუნუქის ნაჭრებს რომ აახლებდა, ახლა სარდაფში შემდუღებლებთან ჩასასვლელად ემზადება – ზამთარში თეატრს გათბობა უნდა ჰქონდეს! – ზვადაგზა კი რამდენიმე საკითხია მოსაგვარებელი. დურგლები სხვადასხვა ზომის ღურსმანს ითხოვენ, მღებავები – ახლებურ გერმანულ საღებავს – ისეთია, საშვილიშვილოდ შეღებავთო.

აგერ, კარებში საქართველოს პარლამენტის წევრმა გორიდან თეო გლაშაძემ შემოიხედა, ხომ არაფერი გიჭირთო.

– დახმარება და ყურადღება არ გვაკლია, – ამბობს რამაზ იოსელიანი, – ეს კი საშუალებას გვაძლევს, ვიზრუნოთ ახალ რეპერტუარზე და თეატრალურ სეზონს მომზადებული შევხვდეთ. ახალ თეატრალურ სეზონს დასი პრემიერით ხსნის. მაყურებელი იხილავს რეზო გაბრიაძის ცნობილ კომედიას – **„მარშალ დე ფანტეის ბრილიანგი“.** სპექტაკლის დამდგმელია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გიორგი თოდაძე, მხატვარი – ირინა ოგანჯანოვა, ქორეოგრაფი – ფილიპ ჩერკასოვი. მთავარ როლებს თამაშობენ: საქართველოს სახალხო არტისტი სერგო ტაბალაშვილი, საქართველოს დამსახურებული არტისტი ლევან ოზგებაშვილი, მსახიობები გვანცა დადიანიძე, ქიშვარდ მანველიშვილი, ირაკლი გოგოლაძე და სხვ.

მეორე პრემიერა გახლავთ იაპონელი ავტორის ჯუნჯი კინოსიგას რომანგიკული ზღაპარი **„წეროს ფრთები“.** პიესა დადგა და მუსიკალურად გააფორმა რამაზ იოსელიანმა. ქორეოგრაფია ბოჟენა ტიტოვა, მხატვარი – ვანო არჩვაძე. მონაწილეობენ: ირაკლი გოგოლაძე, გვანცა დადიანიძე, ზურაბ პავლიაშვილი, ლევან ჯამბრიშვილი, თეატრთან არსებული სტუდიისა და კოლეჯ „აისის“ მოსწავლეები.

და კვლავ პრემიერა: ნოდარ დუმბაძის **„ჰელადოსი“,** რომელსაც დასი 19 სექტემბერს წარმოადგენს. სცენაზე გამოელენ: გიგი გეველაშვილი, ირაკლი გოგოლაძე, მანანა თევდორაშვილი, დალი ნათელაშვილი. რეჟისურა და სცენოგრაფია ეკუთვნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს გიორგი თოდაძეს, ქორეოგრაფია ბოჟენა ტიტოვა. სპექტაკლი მუსიკალურად გააფორმა თამაზ ყორღანაშვილმა.

მოზღვავებული ენერგია, ოპტიმიზმი და საკუთარი ძალების რწმენა, თეატრის ახალი სამხატვრო ხელმძღვანელი და ახალი იდეები, მსახიობთა დასი, რომელიც მზადაა შემოქმედებითი სიმაღლეების დასაპყრობად, – ასეთად წარმოგვიდგება დღეს გორის სახელმწიფო დრამატული თეატრი, რომელიც **17 სექტემბერს თავის 65-ე სეზონს იწყებს.**

გურამ ვაშაკიძე,
„სრ“ საკ. კორ.

◎ გიხარიდენ!

როცა თბილისს სძინავს, სიცოცხლის დაბადებას ელოდებიან

ყოველი სიცოცხლის დაბადება ქვეყნისა და ოჯახის სიხარულია! ეს რთული პროცესია და იმ დროს, როცა დედაქალაქს სძინავს, სამშობიარო სახლის მედპერსონალი ფხიზლობს. სამშობიარო ბლოკში ჩვილის პირველი წამოყვირება მისი დაბადების ადგილის ეზოში მომლოდინე ახლობლებამდე აღწევს და ისინიც მშვიდდებიან...

თენდება... რედაქციაში დილიდანვე გვიკავშირდებიან ჩვილის ოჯახის ახლობლები, თვითონ სამშობიარო სახლიდანაც გვირეკავენ. ასე იყო გუშინაც, თბილისის მეორე სამშობიარო სახლიდან მორიგე ბებიაქალმა **მანანა ხვედიაშვილმა** გვაცნობა:

– აგვისტოში ჩვენთან 75 ბავშვი დაიბადა. მოსამშობიარებლად ჩამოვიდნენ ქალები ლაგოდეხიდან, გურჯაანიდან, კრასნოდარის მხრიდან, ონიდან, ასპინძიდან, ლანჩხუთიდან, წალენჯიხიდან, გორაწნოდან (ლტოლვილია), თერჯოლიდან, სოხუმიდან... სექტემბრის ორ კვირაში კი 17 ბავშვი დაიბადა – 6 გოგო და 11 ბიჭი, მათი სახით ნორჩი მოქალაქეები შეემატა მცხეთას, ოჩამჩირეს, ქუთაისს, ჩოხატაურს, გალს, ჭიათურას (დანარჩენები თბილისიდან არიან).

აღსანიშნავია ერთი ფაქტიც. სექტემბრის ორ კვირაში ჩვენთან მომშობიარებულ ჩვიდმეტივე ქალს ხელთ ჰქონდა ქალთა კონსულტაციების მიერ გაცემული ვაუჩერი, მოლოგინების 200-200 ლარი მათ სახელმწიფომ გადაუხადა.

ეს სიახლეა, ვულოცავთ!

ნათელა ფაილოძე.

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

◎ ცოტაც გავილიმოთ...

მიხოს საბურავთა უტმყნა. ჩამოვიდა მანძანდან და ცდილობს „ზაპასკის“ დაყენებას.

– რას აკეთებ? – ეკითხება გამვლელი.

– ვერა ხედავ, რასაც ვაკეთებ? – ბორგლებს ვხსნი.

– მაშინ მე მაგნიტოფონს წავიღებ, – ამგზის გამვლელი და საძარე მინას ამტვრევს.

* * *

ყველა სასმელს სამოცპროცენტიანი წყალი მირჩევნია.

* * *

მიხო და ნიკა დედის ხელჩანთაში იძეძებიან.

– არა გრცხვენიათ? როგორ შეიძლება სხვის ჩანთაში ხელის ფათური? – ამუნათებს დედა.

– როგორ, შენ სხვისი ჩანთა დაგაძვს? – უკვირთ გავშვებს.

* * *

– გატონო გენერალო, თქვენი ბრძანება შესრულებულია! – უპატაკებს მიხო ყაზარმაში მოულოდნელად შემოსულ მეთაურს.

– მე რომ არაფერი მიბრძანებია?

– მეც არაფერი გამიკეთებია!

* * *

– შენ, რა, ნეკნი გენანება? – ამუნათებს ადამი ღმერთს.

– არა, უბრალოდ, ცუდი წინათგრძნობა მაძვს...

* * *

– მიწა, კაპიტანო, მიწა მოჩანს, ვაშაა!! – ყვირის გახარებული მეზღვაური.

– რა გაღრიალებს, შე დებილო, ჯერ ხომ ზღვაში არც გავსულვართ!

* * *

მეძავებიც ეწევიან თვითრეალიზაციას.

* * *

განცხადება: „გავაძირავებ მყუდრო ოთახს ქალაქის ცენტრში. ფანჯარა ეზოში გადის. კარ-ფანჯარა გამაგრებულია. საუკეთესო მეზობლები. დაცვა, სავჯერადი კვება, დღეში ორჯერ გასეირნება...

* * *

ჩემს საზღვარგარეთ ნათესავებსაც გაუჩნდათ ნათესავი საზღვარგარეთ.

◎ ლარის კურსი

15 სექტემბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები

ინგლისური გირვ.	1	3.3250	**ლარი**
აშშ დოლარი	1	1.8500	**ლარი**
ევრო	1	2.2690	**ლარი**
რუსული რუბლი	1	0.0633	**ლარი.**

◎ დღეს – ხვალისათვის

ჩვენი მემკვიდრეობის გადასარჩენად

კულტურული მემკვიდრეობის სფეროში არსებულ სავალალო მდგომარეობაზე ბოლო ხანს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო ხშირად საუბრობს დიად. ძეგლთა მოვლა-პატრონობისა და მართვის შექანიზმების უქონლობამ, საკანონმდებლო ბაზის დაუხვეწაობამ, ნიმუშთა ხნოვანებამ, ბუნებრივი თუ ანთროპომორფული ფაქტორების ზემოქმედებამ, უახლესი ინფორმაციის ბანკისა და რეგულარული მონიტორინგის უქონლობამ, და ბოლოს, სარესგავრაციო-საკონსერვაციო სფეროში პროფესიული კადრების სიმცირემ და არაკონკურენტულმა გარემომ შექმნა ის მძიმე ფონი, რაც სადღეისოდ გვაქვს.

ამ წინაპირობების გათვალისწინებით და რაკი სახელმწიფოს ნებაც არის, სამინისტრომ შეიმუშავა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა, რომლის მიზანი სწორედ მემკვიდრეობის გადარჩენა და მომავალ თაობათათვის მათი ღირსეული შენარჩუნებაა. მის განხილვას სამინისტრო ფართო საზოგადოებრიობის მონაწილეობით ფიქრობს. პირველი ეტაპი ჟურნალისტებისათვის გაცნობაა და მიაჩნია, რომ საზოგადოებრიობის, მასმედიის მჭიდრო მხარდაჭერისა და თანადგომის გარეშე შეუძლებელია საუბარი მემკვიდრეობის გადარჩენაზე. მეორე ეტაპი ითვალისწინებს პროგრამის არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის გაცნობას და სპეციალისტების განხილვას.

პროგრამა ჟურნალისტებს წარუდგინა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ ნიკა ვაჩეიშვილმა.

როგორ ესახება სამინისტროს პრობლემების მოგვარების გზები, რას გვთავაზობს სახელმწიფო პროგრამა?

უწინარესად საშური საქმეა ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების მომზადება. ამ მხრივ პირველი ნაბიჯი უკვე გადაიდგა. თბილისის სამხატვრო აკადემიაში დაარსდა სარესტავრაციო-კონსერვაციის ფაკულტეტი. ჯერჯერობით იგი მომიჯნავე პროფილის სპეციალისტებს გადაამზადებს და ძეგლთა დაცვით საქმიანობას შემოსავლიან სფეროდ აქცევს. სახელმწიფო და კერძო ინვესტიციების ზრდა უკვე თვალსაჩინოა. მაგალითად, საქართველოს ძეგლთა გადარჩენის ფონდმა სამინისტროსთან თანამშრომლობით 100 000 აშშ დოლარი გამოყო მემკვიდრეობის სფეროს დასაფინანსებლად.

საკონსერვაციო და სარესტავრაციო სამუშაოების ხარისხის ასამაღლებლად გათვალისწინებულია კონკურენტუნარიანი სფეროს შექმნა. ამიერიდან სამუშაოები კონკურსისა და ტენდერის წესით დაფინანსდება. სპეციალისტების პირობების გაუმჯობესება და დასავლური ქვეყნების უახლესი გამოცდილების გაზიარებისა და სწავლა-განათლების მისაღებად შესაძლებელი გახდება მავლინებები. ამ მიზნით უკვე დაიდო ხელშეკრულება სამინისტროსა და საერთაშორისო ორგანიზაცია „ICCROM“-ს შორის.

კულტურის სამინისტროსა და იუნესკოს დახმარებით ასოციაცია „ინჟინერული აზრი“ ამიერიდან ფლობს თანამედროვე იტალიურ საკონსერვაციო ტექნოლოგიებს ძეგლთა სტაბილიზაციის საქმეში.

ნოემბერში კულტურის სამინისტრო საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს შეიტანს საქართველოს პარლამენტში, იურისტები ამაზე უკვე მუშაობენ.

პროგრამის ფარგლებში კულტურის სამინისტრო ახორციელებს რეგიონალურ პროექტს „საქართველო გადაარჩენს თავის უნიკალურ მემკვიდრეობას“. მისი პრინციპია რეგიონებში არსებული, ხშირად უცნობი ძეგლების გადარჩენა და მან ნელ-ნელა უნდა მოიცვას მთელი საქართველო. ამჟამად პროექტის მიხედვით ცხადდება ტენდერი XII-XIII საუკუნის ძეგლის – სამღვერთისა და IX საუკუნის წინწყაროს ეკლესიის გადარჩენის საპროექტო წინადადებაზე და მეთოდებზე.

ცხადდება ტენდერები აგრეთვე ქვემო ქართლში მდებარე ჩხიკვთას, გუდარხის, გომარეთის ღვთისმშობლის, არჯევან-სარვანის სარკაბილიტაციო სამუშაოების, თრიალეთის ბურნაშეთის გადარჩენის საპროექტო წინადადებაზე და მეთოდიკაზე. მიმდინარეობს თირის, ბაჯითის, უბისას, ბარათის, ტაბაკინის, შემოქმედის მონასტრის ფრესკების, კაწარეთის, აკურის სტაბილიზაციის ღონისძიებები. რკონის მონასტრის, დედოფლის გორის ნასახლევის, ერედვის, ვერეს ბაზალიკის (შიდა ქართლი), თმოგვის, თოკის (სამცხე-ჯავახეთი) სარკაბილიტაციო სამუშაოების პროექტირების ეტაპი.

ამჟამად პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს უძრავი და მოძრავი ძეგლების აღრიცხვა და სახელმწიფო რეესტრის ჩამოყალიბება, მხარეებში, ქალაქებში, მუზეუმებში, კერძო კოლექციებში, საცავებში დაცული ხელოვნების ნიმუშების ელექტრონული პასპორტიზაცია.

დაწყებულია ზოგიერთ მუზეუმ-ნაკრძალის რეაბილიტაციის პროექტის ხორცშესხმა, მაგალითად, არმაზისხევის არქეოლოგიური კომპლექსის, ლიახვის ხეობის ისტორიულ-ხუროთმოძღვრული ნაკრძალის, თრიალეთის მუზეუმ-ნაკრძალისა, მესხეთის მუზეუმის გათბობა-ვენტილაციის სისტემისა, მალე ვარძიის მუზეუმ-ნაკრძალში დაიწყება კლდის გაწმენდითი სამუშაოები და წყალმრიდი ჯებირების აღდგენა.

არც თბილისის საცავები დარჩება უყურადღებოდ. პირველ ეტაპზე მოხდება ხელნაწერთა ინსტიტუტისა და შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში უნიკალური ექსპონატების კონსერვაცია-რეაბილიტაცია. რესტავრატორები უკვე მუშაობენ ფიოსმანის უცნობი ნამუშევრის აღდგენასა და ბიჭვინთის IV საუკუნის მოზაიკების რესტავრაცია-დაცვაზე.

პროგრამით ფინანსდება ახალი ინიციატივები კულტურული მემკვიდრეობის – სამუზეუმო, პოპულარიზაციის, საგამომცემლო, საგანმანათლებლო სფეროებში თემატური, ღია კონკურსები. მათ განიხილავენ და ვიზას მისცემენ დარგობრივი საექსპერტო კომისიები.

რუსუდან მუხიგულაშვილი.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

ხსოვნა

რუსუდან ჯინაშვილი

საქართველოს მოდისა და ჩაცმის კულტურის რესპუბლიკური ცენტრის თანამშრომლები დიდი გულისტკივილით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სამკერვალო დარგის ღვაწლმოსილი მუშაკი **რუსუდან ჯინაშვილი,** რომელმაც პოლიტექნიკური ინსტიტუტის მსუბუქი მრეწველობის სამკერვალო ტექნოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ შრომითი საქმიანობა დაიწყო ჯერ მე-7 სამკერვალო ფაბრიკაში, ხოლო შემდეგ 30 წლის განმავლობაში სათავეში ედგა მოდისა და ჩაცმის კულტურის რესპუბლიკური ცენტრის სამოდელო საამქროს, რომელსაც გამორჩეული პასუხისმგებლობით და ერუდიციით ემსახურა და თანამშრომლებისა და ხელმძღვანელობის დიდი მადლიერება და პატივისცემა დაიმსახურა.

წავიდა ჩვენგან თავის სამშობლოზე და კუთხეზე უზომოდ შეყვარებული ერთი ავკარგიანი ქართველი ქალი, რომელსაც შეეძლო ერთდროულად დაეგუქსე და მოგფერებოდა კიდევაც.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

მოდელების სახლის კოლექტივი.

მეუღლე ირა ჩალათაშვილი, და მანანა ჩაჩხიანი, ცოლისდა მანანა, დისწულები ზვიად ჯეჯელავა, გიორგი ბობოხიძე, რძლები მერი არქანია, ნუცა კუხიანიძე, სიძეები მირიან ჯეჯელავა, მალხაზ ბობოხიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზვიზი ჩაჩხიანი

პანაშვიდი 14, 15 IX, 17 სთ. დაკრძალვა 16, IX, 15 სთ.

შვილი თენგიზი, და ნათელა, დისწული სოსო კაციტაძე ოჯახით, ბიძაშვილები და მამიდაშვილები მერი კუხალაშვილი, ლამარა, ძაძუ ლორთქიფანიძეები, ია, თინა ნემსაძეები, გულიკო ქარსელაძე, მულისშვილი რევმ მესხი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ია კუხალაშვილი-ცერცვაძე

პანაშვიდი 16, 17 IX, 16 სთ. დაკრძალვა 18 IX, 15 სთ. მისამართი: სიმონ ჩიქოვანის (ყოფილი ხილიანის) ქ. №20, მე-6 სადარბაზო.

შპს „თბილმეტრომშენის“ თანამშრომლები იუწყებიან, რომ №1 საგვირაბო რაზმის უფროსის მოადგილე ერმილე კერესელიძეს გარდაეცვალა ღედა

ქეთევან ნიკოლოზის ასული ყიფიანი-კერესელიძე

და მწუხარებას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

შპს „სტილის“ კოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს

რუსუდან ჯინაშვილის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

შვილები კახა, ლაშა, ზვიად გაგოშაშვილები, შვილიშვილები მარიამ, ბაჩა, თამუნია, ლუკა, რძლები ნანა ფანცულაია, ნათია ნიშნიანიძე, მძახლები რეგინა ბაზაძე, თამარ ჩიჯავაძე, ცოლისდები ეთერ, ნათელა ლომაძეები ოჯახებით, მაკა ლომაძე, ლევან ხომერიკი, ბიძაშვილები ალექსანდრე, დოდო, ციცო გაგოშაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზოთა ვიქტორის ძე გაგოშაშვილი

პანაშვიდი 14, 15 IX, 17 სთ. დაკრძალვა 16 IX, 15 სთ. მისამართი: გოგებაშვილის, 52.

◎ ტელევიზია **ოთხშაბათი, 15 სექტემბერი**

07.55 მოამბე **08.10** ღამის მოამბე (გამ.) **09.00**, **12.00**, **15.00**, **20.00**, **23.00** მოამბე **09.10** მულტსერიალი "მარსუპილამი" **09.40** "იმღერე რამე" **10.10** მხ. ფილმი **"ათოვდა ზამთრის ბალებს"** (ბ) მე-**2** ს. **11.30** "ამბები ჩვენზე" **12.15** სერიალი **"ზღვის რაჯა"** **13.00** ქიმერიონი **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.15** დოკ. ფილმი "ცეკვის ენა" **15.20** საღამოს საუბრები **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.05** სერიალი **"ზამთრადა"** **16.30** "ეძიე ქალი" **17.00** მულტსერიალი "მარსუპილამი" **17.25** ძველი ადგილი **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი **"წვრილვარსკვლავთა ღამე"** **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი **"ზღვის რაჯა"** **22.00** მიამბეთ თქვენზე **00.00** მხ. ფილმი **"არასერიოზული კაცი"** (ბ)

19.00 მულტფილმი "მარსუპილამი" მე-**3** ს. **19.30** "ამბები ჩვენზე" **20.00** "იმღერე რამე" **20.30** სერიალი **"წვრილვარსკვლავთა ღამე"** **21.30** ისტორიანი **22.00** მხ. ფილმი **"რეპორტიორი"** (ბ)

07.30 დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეიპუცები" **09.40** სერიალი **"შეყვარებული ქალები"** **11.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **12.00**, **15.00**, **18.00**, **21.00**, **02.00** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.30** მხ. ფილმი **"ჭეშარიტი სიყვარული"** **15.25** **ფეხბურთი** **17.05** სერიალი **"მაშველები"** **18.20** "ტელეიპუცები" **18.55** სერიალი **"ბევრილი ენლზი"** **19.45** სერიალი **"შეყვარებული ქალები"** **22.00** დოკ. ფილმი **22.45** **ჩემპიონთა ლიგა**. **"ბიაძსი"** – **"იუვენტუსი"** **01.00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა

18.00 მულტსერიალი "ცეცხლის შვილები" **5-6**ს. **19.00** მინისერიალი **"ადვოკატთა ბიურო"** მე-**3** ს. **20.05** დოკ. ფილმი **21.10** კონცერტი **22.15** მხ. ფილმი **"შესანაარო"** (ბ) **1**-ლი ს.

რედაქციას მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!

საქართველოს რესპუბლიკა
Sakartvelos Respublika
გამომცემელი შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები.
მთავარი რედაქტორი **რუსლან რუსია.**
ნომრის მორიგე რედაქტორი **ანზორ ბასილაია.**

ინდექსი 66434, მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა: **sakresp@gol.ge**
ვებ გვერდი: **www.open.ge/sakartvelos-respublika**